

№1-10

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



განათლება

(წელიწადი მესამე)

I

ი ა ნ ვ ა რ ი

1912 წ.

№1-10



ჯენრის პესტალოცი

- ზინაარსი:** 1. რედაქციისკან. 2. არიოდუ სიტუკა ახლად დასაბეჭდად დამზადებული „კურთხევისხელ“ კეთილის მოსურნესი. 3. ქართული საღმრთო წერილის მკვლევარები **ა. ხახანაშვილისა**. 4. უმედაბის ფესვები **ილია ნაკაკაშიძისა** „ქართლის“ შვილები „სკვანის“ (დასსიათუბა) **იპ. ვარაგავისი**. 5. ქალთა ხელსაქმე; დიასახლისობა, სელახისობა, გონებითი პრაქტიკული მეცადინობა **ი. ფერაძისა**. 6. ჭიკიკის **ილ. ალხაზიშვილისა**. 7. მოკლე საუბარი ანტიმომადან, ფიზიოლოგიიდან და ჭიკიკიდან **ექიმ. ევგ. ლოსაბერიძისა**. 8. გახსნილი ბაღი (ლექსი) **ვაჟა-ფშაველასი**. 9. უარობი სმა პირზე შეყენის **დ. თურდოსპირელისა**. 10. ექსპრომტი, მისივე. 11. ქალთუთერი და სირინობა (პოემა) **ირ. ევდოშვილისა**. 12. მელადატე (თარგმანი) **ილ. გოგიასი**. 13. † ნინო ქიქოძის **მეგობართაგანისა**. 14. სასიქადულო სიტყვებზე და მშვიდობიანი გარდაცვალება (ხელოვნობის სსფხსს) **იაკობ გოგებაშვილისა**. 15. ლაგირელ ქართულთა კულტურული ხაზი **ვარლამ ბურჯანაძისა**. 16. გიორგი სსკაძე **ივ. გომარაძისა**. 17. მოწერილი ამბები (წერთი სსხსეკედან) **საჩხერელისა**. 18. ზსუსხლ ბ-ნს „კოლხიდის“ შედგავს **მასწავლებლისა**. 19. უცხეთი — ახალი პრეგრამა დასწვის სკოლებში Ratti-ს. 20. ბიბლიოგრაფიები. 21. განცხადებანი.

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო
„ს ა ხ ა ლ ხ მ ბ ა ზ ე თ ი“
 (წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული
ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა
 დამატება გამოვა კვირაობით
 გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს
 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.
 ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი.
 ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
 განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის
 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.
 1912 წლის ხელის-მომწერთ პრემიად შეეცემა ქართული სიტუკა-კაზმულ სსზ. კრებ.
 პირველი ტომი „გრდემლი“, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურთდება **იანვარშივე**.
 რედაქცია დაახ 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.
 რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი**.

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი
„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით
 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწეროებს გაზეთის ფასი
 შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-
 დაწინ 4 მანეთის შესრულებამდე.

ადრესი: Батумъ „Батумисъ Газети“.
 რედაქტორ-გამომცემელი **ა. მ. ჭელიძე**.

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

I ი ა ნ ვ ა რ ი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომ-
რის ფასი

35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: **Тифлисъ. Дворянская, Грузинская**
Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

რედაქციისაგან

მეხუთე წელიწადია, რაც ჩვენი გამოცემა, ჟურნალი „განათლება“ გამოდის. თუ რამდენათ სამძიმოა ჩვენში დროული გამოცემების ბეჭდვა, როცა არსაიდან არავითარი დახმარება და არც ნივთიერი შემწეობაა, ყველასათვის ცხადია. სწორედ ამ გარემოებაში იყო თავიდანვე ჟურნალი „განათლება“, მას აკლდა სახსარი არსებობისა, მაგრამ ბევრისაგან გვესმოდა გამამხნეველელი სიტყვები: გაუძელ, გაუძელ როგორმე, ჟურნალი თავის გზას თვითონვე გაიკაფავს და ხარჯიც შემდეგში შემციირდებაო; ამას გვეუბნებოდნენ

ყველანი, ვისაც „განათლების“ არსებობა სახეიროდ მიაჩნდა. ჩვენც, როგორც ჩვენი ჟურნალის პატივცემულმა მკითხველებმა იციან, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, პირნათლად გამოვდიოდით ჩვენს მკითხველებთან: ჟურნალს დაპირებულს დროზე ვუგზავნიდით ყველას და, რაც კი შეგვეძლო, არც მისი თანდათან გაუმჯობესება დაგვიტოვებია უყურადღებოდ, რასაც შემდეგშიაც ვფიქრობთ იმ იმედით, რომ მკითხველთა რიცხვი იმატებს და მით ჟურნალის არსებობასაც მეტი საღსარი აღმოუჩნდება. მეტის-მეტმა



ბევრმა ხარჯმა და ზარალმა გვაიძულა ჟურნალის ფასი ათი შაურით გაგვედიდებინა; ამ სახით სოფლის მასწავლებლებს და სოფლის სახალხო სამკითხველოებს წლიურად, გაგზავნით ჟურნალს ორ მანეთ ნახევრად ვუთმობთ. პატივცემული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს ფასი ჟურნალ „განათლებისათვის“ დიდი არ არის და ყველასთვისაც ხელმისაწვდენია, ვისაც კი სურს მშობლი-

ურს ენაზე თვალ-ყური ადევნოს აწინდელს მეცნიერებას, სწავლა-აღზრდის საქმის მოწესრიგებას საღი პედაგოგიურის თვალსაზრისით და სიტყვა-კეზბულ მწერლობასაც. რედაქცია არ ჰკარგავს მომავლის იმედს და ამ ნომრით იწყებს 1912 წლის გამოცემას, მასთან ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ მკითხველი საზოგადოება მომდურავი არ დარჩეს.

ორიოდე სიტყვა ახლად დასაბეჭდად დამზადებულს „კურთხევანსედ“

მემთხვევა გვქონდა დაგვეთვარიელებინა მოსკოვში დასაბეჭდად დამზადებული „კურთხევანი“, რომლის გამოცემას კარგი ხანია ელის ჩვენი ეკკლესია. ეს „კურთხევანი“ არ იბეჭდება იმ სახით, რომელიც აქამდის ცნობილი იყო ჩვენს სამღვდლოების შორის. იგი გამოდის ბევრნაირად შესწორებული და შეცვლილი. „კურთხევანის“ შესასწორებლად ტფილისში შესდგა კომიტეტი ეგზარხოზის თავჯდომარეობით და ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. რა თქმა უნდა, ტექსტის შესწორება და შეცვლა თავს იდეს ქართული ენის მკოდნე პირთა, საღვთო მწერლობაში გაწვრთნილ-გამოცდილთა.

ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდნენ კომიტეტის წევრნი, როცა ასწორებდნენ უკვე ძველად დაბეჭდს „კურთხევანს“, ხოლო ეს კი ექვს

გარეშეა, რომ მათ მოახდინეს შესამჩნევი ცვლილება აქამდის ცნობილს ტექსტში. შევადარეთ რა ორიოდე ნაწყვეტი ძველი და ახალი გამოცემისა, დაგვებადა სურვილი მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი იტენეულობა და აზრი იმის შესახებ, რამდენად სასურველი და შესაწყნარებელია ტფილისის კომიტეტის მიერ „კურთხევანის“ ტექსტის შეცვლა.

კომიტეტი, როგორც ქვემო მოყვანილი რამდენიმე მაგალითიდან დაინახავს, ცდილობს შეასწოროს ენა, როგორც სტილის მხრივ, აგრეთვე გრამატიკული ფორმების მიხედვით. გარდა ამ გარეგანი შეცვლისა, კომიტეტი ამოკლებს ტექსტს, ადგილ-ადგილ სთარგმნის ახლად სლავიანური წიგნების თანახმად და ამ გვარად უარჰყოფს საქართველოს ეკკლესიის მიერ ძველი დროიდან მიღებულს დედანს, დამყარებულს ბერძნულს ორიგინალზედ.



მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს იმ შესწორებისას, რომელიც წილად ხვდებით

ძველად დაბეჭდილი იყო აქამდის:

- შეჰკეცოს
- ჩუტნო
- შუტნიერებითა

შიშუტლნი და ქელდადრეკილნი ვართ:

- წყალთა ამათ შინა
- მიქცევად
- განახლება
- აღმკაცელი
- სულად
- ლოცვა ნათლისაჲ
- მაცხოვარ
- ოჯფალი...

იბეჭდება ახლა შესწორებული:

- შეკეცოს
- ჩუტნო
- შუტნიერებითა

შიშუტელ და განცხადებულ არს

- წყალსა ამას ზედა.
- მიმქცეველი
- ბრწყინვად
- აღმკუეცილი
- სლვად
- შედეგი ნათლის ღებისა
- მაცხოვარ, ვისა მეშინის
- უფალი... ვისგან შევსძრწუნდე.

ამ მაგალითებიდან მკითხველი დარწმუნდება, რომ კომიტეტი ასწორებს როგორც ენას, აგრეთვე ლექსიკონს, სცვლის ფორმებს და სიტყვებს, უმატებს ახალს განმარტებას და წინადადებას. ეს ცვლილება იმდენად თვალსაჩინოა, რომ საჭიროება იბადება აგვიხსნას კომიტეტმა, რით ხელმძღვანელობს იგი ტექსტის ამ გადაკეთებაში. ჩვენ წინაპრებს ათასი წელიწადი მეტი ჰქონია ნათარგმნი სამღვთო წერილი, შეუნახავს იგი ექვთიმე და

გიორგი მთაწმინდელის შემდეგ მტკიცედ და შეურყევლად, ახლა კომიტეტი ტვირთულობს ამ მძიმე და დიდმნიშვნელოვან საქმის გარდაქმნას მიუწულომელ მიზეზებით მკითხველისთვის და ეკლესიის მსახურისთვის.

მივმართოთ ცოტა რთულს მაგალითებს, რომელნიც უფრო მკაფიოდ გვიჩვენებენ, რა გაბედულებით სცვლიან ტექსტს და შეაქვთ თავისებური ელფერი „სამღვალო წერილში“.

ძველად დაბეჭდილი იყო აქამდის: საცნობელ მიეც და ნივთიერთა არა დაიყენებოდეს ურთიერთას

შენდა დიდებასა აღვაგლენთ თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლად წმიდისა სახიერით და ცხოველს მყოფელით სულით შენითურთ

მოსრულნი ესე აღსრულებად სულითა წმიდითა აღავსენ

ახლა იბეჭდება შესწორებული:

საცნობელნი მრავალნი მიეც არა დამყენებელი ურთიერთას.

შენდა დიდებას აღვაგლენთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა

სჯულისანი სულითა წმიდითა აღავსენ.



ეს მოყვანილი ადგილები არყევენ „კურთხევანს“ იმდენად, რომ ყოველი მსმენელიც, რომლის ყური შეჩვეულია წინანდელს ტექსტს, მაშინვე იგრძნობს შეცვლას და დაეკითხება თავის თავს, რას ნიშნავს ესე?!
 არ გვინდა გავაგრძელოთ ამონაწერი შედარებით ძველს და ახალს გამოცემაში, რადგან ეს მოითხოვდა ვრცელს წერილს. ზოგან და ზოგან ახალს გამოცემას აკლია შედარებით ძველს ტექსტთან რამდენიმე ფურცელი, მაგალითად, „აღსარებიდან“ გამოკლებულია რვა ფურცელი. ხშირად ორი-სამი წინადადებაა გადევნილი, ანუ ორი-სამი სიტყვა (მაგა-

ლითად: „ესიცა“, „ესე“). ან მცველი და გადასმულია სიტყვები: „აკურთხე მიმქმელი“-ს მაგივრად ნახმარია მიმქმელი აკურთხე“, „ეტყოდეს“ მაგივრად — „სთქვეს“, „კეთილის მოქმედსა“ მაგივრად — „მშენიერსა ხუროსა“.

ამით ვათავებთ ამ მოკლე წერილს და მივაქცევ ყურადღებას ვისიც ჯერ არს, რათა დროზედ იქმნას გამორკვეული, რა აიძულებს კომიტეტს შესცვალოს ძველი ტექსტი, რით ხელმძღვანელობს ამ ცვლილებაში და რომელი დედანი აქვთ მიღებული საფუძვლად ფორმის და შინაარსის გადასაკეთებლად.

კეთილის მოსურნე.



ქართული სამღვთო წერილის შესახებ

ბულ-ახლილი აღსარება ყველას და ყველაფერში ვერ მოუხერხებია. მეც ამ რიცხვში ვარ ჩასათვლელი, მხოლოდ ერთი პირობით: რაც ქვემოლ მოგეხსენებათ, ჩემი წრფელი რწმენაა და მისი ეჭვის თვლით განხილვა შეუწყნარებელი ცილის წამებათ გამოდგა. შესაძლოა ვინმემ კიდევ მიუიჟინოს „ჩამორჩომილი“ და „დაძველებული“ მსოფლ-მხედველობის აღსარება. ან გამკიცხოს მეორემ ამ ჟამად გათახსირებული და აბუჩად აგდებული „პატრიოტული“ გრძნობის გამოთქმისთვის. მე მაინც ჩემსას ვიტყვი, საქვეყნოდ აღვიარებ გულში ნადებს.

მიყვარს ქართული ეკლესია, მიყ-

ვარს მისი გარეგანი გეგმაც, იქ მწყობრად მალობებლთა გუნდი და ტკბილ ხმაზე წაკითხული სამღვთო წერილი. მიყვარს ჯერ იმიტომ, რომ მხოლოდ აქ მესმის დიადი და გამომეტყველი მამა-პაპური ენა, რომელზედაც ღვთისადმი ლოცვას ალავლევდნენ ჩვენი წინაპარნი, აღმაშენებელი მცხეთის, სიონის და გელათის ტაძრებისა. სასოების გარდა, რომელიც ავსებს ჩემს დაწყულეზულ გულს, ქართული სამღვთო წერილი მიღვიძებს ჩაფერფლილს პატრიოტულს სიამაყესაც. როცა ვისმენ სამოციქულო კითხვას, მაშინ მაგონდება მეფე დავით აღმაშენებელი, რომელსაც თან დაჰქონდა იგი



მოგზაურობის და ომიანობის დროსაც, არ გააჭარებდა არც ერთ დღეს, რომ არ წაეკითხა მოციქულთა საქმენი. ჩემი ოცნება აცოცხლებს მაშინ ათასი წლის წარსულ სურათს, ვხედავ ახოვან და სახელოვან მეფეს ხელნაწერ სამოციქულოს კითხვით აღტაცებულს და მასთან ძველ საქართველოს, მორწმუნეს და მტკიცეს ეკლესიის და მამულის დაცვის საქმეში. როცა დაუჯდომელი გაისმას ღვთის-მშობლის ხატის წინაშე და სულს ეწვეთება მალამოსავით აქ ამონაკითხი სიტყვები, მაშინ ცოცხლად ვხედავ თვალცრემლიან მეფე თამარს, რომელიც მუხლ-მოდრეკით ჩაჰკვირვებია ლოცვანს და შეჰვედრის უფალს საქართველოს დიდებას და ბედნიერებას. როდესაც ჩემი ყური გაიგონებს ნაზად დაწყობილს „მამაო ჩვენო“, მაშინ გამომებატება მეფე ირაკლი კრწანისის ველზე გულ-მხურვალედ მლოცავი, რათა ააცდინოს მამულს კარზე მომდგარი საშინელი განსაცდელი. მესმის „ქრისტე აღსდგა“ და წამსვე ვხედავ დავით გარეჯის მონასტრის ბერებს, რომელთაც ზედ აღდგომა ღამეს, ლიტანიობას, დაეცა სპარსეთის შემოსეული ჯარი და მათი უმანკო სისხლით შეღება სავანის ზღუდენი.

წყნარი და საიდუმლოებით მოცული გალობა „რომელი ქერუბიმთანი“ უცებ მაგონებს იმ მოსწავლე

ბავშვებს, რომელნიც სკოლაში ანგელოზის ხმაზე აღუღუნებდნენ ამ ლოცვას, განსწავლულს წმ. ექვთიმეს მიერ. ვხედავ ჩამწკრივებულ ბიჭებს, ცეცხლებრივ ანთებული თვლებით, ვხედავ მათ დედამას ხელ-აპყრობით შემავედრებელს, რათა გაუზარდოს უფალმა შვილი მამულის მცველად და კერის სანთლად. სმენად ვარ გადაქცეული, როცა დიდებულად კითხულობენ სახარებას, მკაფიო ენით გადმოსარგმნილს დაუღალავი მუშაკის გიორგი მთა-წმინდელის ღვაწლით. ესტკვები კითხვის ძველებური კილოთი, აღტაცებაში მოვდივარ სამღვთო წერილის ღრმა ცოდნით და დაუშრეტელი სიყვარულით, რომელიც ერთად ჩააქსოვეს ღირსმა ქართველმა მთარგმნელებმა. სწორედ აი მაშინ ვგრძნობ სიამაყეს, როდესაც ვუკვირდები ამათ შეუღარებელს შრომას და ვგრძნობ, რანიჭით, შრომის მოყვარეობით და შეგნებით ათასი წლის წინად გადმოიღეს ქართულად ეკლესიის საჭირო და აუცილებელი წიგნები. ეს სამღვთო წერილი, რომელიც გაისმოდა ათასი წლის წინად ქართველი ერის ბაგეთაგან, შეგვრჩა აქამდის და მეოცე საუკუნის მორწმუნე ხდება დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ირაკლის თანამედროვედ: იგივე ლოცვა იმავე ენით, იგივე გალობა იმავე ხმაზე, იგივე სამოცი-



ქულო და სახარება მაკავშირებს ძველ დროთა ქართველ საზოგადოებასთან და ჰყოფს განუწყვეტლად წარმოშობას და განვითარებას წარსულს და აწმყო საუკუნოებისას. ამიტომ მიყვარს ქართული ეკლე-

სია, ამიტომ თავ-გამოდებით ირრისა დავიცვათ ძველად ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის.

ა. ხახანაშვილი.

უიმედობის ფესვები

პრესისმიმსტებს, უიმედო ხალხს, ჩვენ დროში უფრო ნასწავლთა შორის შეხედებით. ნუ თუ სწავლა, გონების განვითარება—უიმედობის წყაროა? რა თვისების არის ეს სწავლა-განათლება, რომელიც სასო-წარკვეთილებაში ჩაგდებს ხოლმე ადამიანს? ძირი რომ უნახოთ დღევანდელ აღზრდა-განათლებას, იქნებ მივაგნოთ პრესისმიმსტის აღმზრდელ გახრწნილ ფესვებს.

ვთქვათ საშუალო სასწავლებელში, გიმნაზიაში აბარებენ ქართველი მშობლები თავიანთ შვილსა. ბავშვი—ცოცხალი, ბუნების სიყვარულით სავსე არსებაა. ბავშვი და ბუნება ერთია. იმიტომაც არის, რომ ბავშვი, სიარულს რომ ისწავლის, მაშინათვე დედა-მიწას დაუწყებს ხოლმე ჩხრეკას, — ეტრფის ყვავილებს, მცენარეებს, ცხოველებს, კატა, ძაღლი, ფრინველი—მისი გულითადი მეგობრებია. ბუნება ბავშვის ოჯახია, მახლობელი სფერა, რომელთანაც იგი რაღაც იდუმალი დაფებით არის დაკავშირებული. თითქო ცხოველებიც გრძნობენ ბავშვებთან ერთობას, დანდობილი გულით უცქერიან იმათ, არ გაურბიან ბავშვებს, უყვართ მათთან ცელქობა და თამაში.

მიეცით ბავშვს პაწია ნიჩაფი ხელში, გაუკეთეთ ეზოში ქვიშის პაწია გორაკი და დარწმუნებული იყავით, რომ მას სამუშაო არ გამოეღევა. ყველაფერი დაავიწყდება ქვეყანაზე და ცხარედ, გულ-მოდგინედ შეუღდება მუშაობას. ამხანაგები თუ იშოვა, მაშინ ხომ ერთი ორად იმატებს მისი მხნეობა და ხალისი. პაწია არსებანი ერთი ფაცი-ფუტკში არიან. შეუღდებიან მაშინათვე ქვიშის სახლის შენებას. თხრიან ქვიშას, გამოჰყავთ გვირბები, ნაფოტებს შოულობენ და მით ამაგრებენ სახლს. გულ-მოდგინედ შეუღლიან ერთმანეთს. ჩხუბი ძალიან იშვიათად მოსდით ხოლმე ამ დროს. იციან, რომ საერთო საქმეს აკეთებენ; მუშაობაში ჩხუბი და მეტოქეობა მოზრდილთა ჩვეულებაა, ბუნებას რომ მოსწყდება ადამიანი, თითქო თავის მოყვასთანაც კავშირს ჰკარგავს, განმარტებული სულდგმულია მაშინ იგი ცხოვრებაში, გარეშა მოკვდრები ეგულდება და მთელი თავისი ძარღვები უნდა დაჭიმოს და ავარჯიშოს თავისი კეთილ-დღეობის დასამკვიდრებლად. ბავშვები კი ბუნების შვილები არიან. როცა წაიჩხუბებიან, მალე ისევ შერიგდებიან. საერთო დედის კალთა—მათი შე-



მაერთებელი ძალაა. ბავშვები, უჭკუო არსებანი, თითქო ინსტინქტიურად, ალოლოთი გრძნობენ იმას, რაც ჭკვიანმა მოზრდილებმა დაივიწყეს, რომ დედა-მინა ვრცელია და ყველა მაზე დამკვიდრებულ სულდგმულთათვის სამყოფია. ამ ჭეშმარიტების შეგნება—მხოლოდ ადამიანის გონების და გულის განათლებაზეა დამოკიდებული.

შეიძლება სთქვათ, რომ თამაშობა-თამაშობაა, და რად უნდა იჩხუბოს ბავშვმა თამაშობის დროს თავის ტოლ-ამხანაგებში. თქვენ გავიწყდებათ, რომ ბავშვის მუშაობას ჩვენ იმიტომ უძახით თამაშობას, რომ გარედან, „ჭკვიანურად“ უცქერით მათ გულ-მოდგინე ფაცი-ფუცსა, „ჭკვიანურად“ ვსჯით იმის შესახებ, თუ რა უმნიშვნელო შედეგი უნდა მოჰყვეს იმათ სათამაშო მუშაობას. ბავშვებისათვის კი ეს თამაში—ცხოვრების საგანია, მთელ მათ არსებას ეუფლება, ისინი დინჯად, დაკვირვებით უცქერიან თავის ხელობას. უყვართ ის საქმე, რომელსაც აკეთებენ და უყვართ ერთმანერთი, საერთო საყვარელ საქმეში მოზიარენი. მოზრდილთ კი სძულთ ერთმანერთი, რადგან თვითეულმა მათგანმა საკუთარი საქმე აიჩინა ცხოვრებაში და მისგან ელის გამდიდრებასა და ბედნიერებას.

დაცქერდით ბავშვის პაწია სახის გამომეტყველებას მუშაობის დროს და თქვენ უეტყველია დარწმუნდებით, რომ იგი სულაც არ ხუმრობს, დინჯი დაკვირვებით აკეთებს თავის საქმეს. თქვენ გეცინებათ. ბავშვი ხომ ბავშვია, ჯერ გაუნათლებელი პაწია არსებაა, მან სხვა „გონიერი“ ხელობა არ იცის და რაც იცის, იმას გულდასმით, დინჯად აკეთებს, და რატომ არ გეცინებათ, როცა განათლებული კაცი, რომელმაც ცხოვრების საგნის გამორკვე-

ვას ბევრი დრო შესწირა, ცხოვრებაში მართლა სახუმრო საქმეს დინჯად აკეთებს. რატო არ გეცინებათ, როცა იგი გულდასმითა და ჭაბან წყვეტით სცდილობს თავისი საკუთრების გამრავლებას, და არ იცის, რომ ყოველი ახალ-შემძენილი საკუთრება—მისი ცხოვრების ნაწილია. მისი ნიჭის, ცხოვრების წყლის შთამოქმედი, რომ საკუთრება არის—ნივთად ქცეული სოცოცხლე, მოელვარე ფიმიანდურებში დანთქმული ცხოვრება. რატო არ ესმის გონიერ ადამიანს, რომ საკუთრების შეძენა—მისი სულიერი ძალღონის დამარხვაა, მისი ნიჭის, ტალანტის სამარვა და ამ მხრივ ყოველ ჩვენ ნივთს ის კი არ უნდა დავაწეროთ, გარედან ჩემი, ივანიკას ან მახარბელას საკუთრებააო, არამედ აქ განისვენებს ჩემი, ივანიკას ან მახარბელას ცხოვრების შინაარსიო.

ჩვენ გვისწავლია, სოკრატის ბიოგრაფია, წავგიკითხავს და არ გვახსოვს კი მისი შესანიშნავი სიტყვებო. არ გვახსოვს, როგორ გაჩერდა იგი სავაჭრო ღუქნის წინ, დაკვირვებით დაათვალიერა იქ გამოფენილი ნივთები და სთქვა: რამდენი ნივთი ყოფილა ქვეყანაზე, რომელიც სრულებით არ არის ჩემთვის საჭიროო.

ბავშვებს რომ ბუნების კალთას მოსწყვეტენ და გიმნაზიაში მიაბარებენ, ყოველთვის გამახსენდება ხოლმე ადამ ევას სამოთხიდან განდევნის ამბავი. თითქო მშობლები ამ განდევნისათვის თავის შვილებზე შურს იძიებენ. ჩვენ დავკარგეთ სამოთხე ჩვენ წინაპართა წყალობით და თქვენც უნდა დაკარგოთ ჩვენის წყალობითაო.

ხე ცნობისა კეთილისა და ბოროტისა დღეს გიმნაზიებში ჰყავის და სანამ ჩვე-



ნი შეილება მისი ნაყოფით იკვებებინ, სამოთხეს ვერ დაუბრუნდებიან.

გიმნაზიაში გამეფებული მეცნიერება ისე განიჩევა ბუნების კალთაში შეძენილ მეცნიერებისაგან, როგორც მეცნიერ ბოტანიკოსისგან შეკრებილ-გამხმარი მცენარეების ჰერბარიუმი—ცოცხალ, დედა-მიწიდან ამოსულ, აყვავებულ მცენარეებისაგან, იმიტომაც არის, რომ გიმნაზიაში კურს-დასრულებულთა გული ძველი ენების, ლათინურისა და ბერძნულის გრამატიკის ფურცლებ შუა გამხმარ ყვავილს წააგავს ხოლმე.

ყმაწვილმა გაიარა უიმედობის პესსიმიზმის აღმძვრელი სკოლა და მერე ბევრი უნდა ეცადოს, რომ თავის გულს სიცოცხლის შნო და ელფერი დაუბრუნოს. უფროს ერთი ისე სამუდამოდ, სიკვდილის დღემდე უიმედო პესსიმისტად რჩება და თავის მემკვიდრეთაც უანდერ-

ძებს ხოლმე ამ პესსიმიზმს, რადგან რაიცა ერთხელ სულს დაანდობის, საშვილი-შვილოდ გადაიცემის.

პესსიმიზმის აღმძვრელ ბაცილლას პირველად მაშინ უკაპავს ხოლმე ბავშვი, როცა პირველად დაამთქნარებს, მის თვალ-წინ გადაშლილ სასწავლოდ საჯაროდებულო წიგნის შემხედვარე. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ პესსიმისტთა უმრავლესობის სიტყვებისა და ნაწარმოების მიკროსკოპიული ანალიზი რომ შეიძლებოდეს, ჩვენ უეჭველად აღმოვაჩენდით მათში ამ პირველ-ჩაყლაპულ ბაცილლის შთამომავლობას.

პესსიმიზმი დღეს ცხოვრების არა ნამდვილ, არამედ დამახინჯებულ კანონთა შეგნების შედეგია და ამ კანონთა დამამტკაცებელი—დღევანდელი სასწავლებელია.

ილია ნაკაშიძე.

„ახალი ქართლის“ შეილება

„ჭ კ ვ ი ა ნ ი“

(დახასიათება)

II.

როგორც მოგახსენეთ, ფლიდებით სავსეა ჩვენი კურთხეული, მაგრამ ბევრთაგან მოძულებული, საქართველო. ისინი შხამით ავსებენ საზოგადოებრივ ატმოსფერას და სულიერ გადაგვარებისაკენ მიაქანებენ საბრალო ერს. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონებო, ნუ დაღონდებით, სასოს ნუ წარიკვეთ: ჩვენში „ჭკვიანები“ ბევრია, ძლიერ ბევრი! გეამათ,

იმედი მოგეცათ? მართლაც ნამდვილ მოქალაქესათვის, მგრძობიარე მამულის შვილთათვის იმაზე სასიამოვნო რა იქნება, რომ მათ საყვარელ მხარეში ჭკვიანები გამრავლდნენ? ოღონდაც, დავაკვირდეთ ამ ჩვენი ახალ დროის „ჭკვიანებს“, კარგად ავათვალ-დავათვალიეროთ. ჩვენ არც ისე განებივრებული ვართ ბედისაგან, უეჭვოთ რამე მივიღოთ, უხიფათოდ,



იმედ გაუცრუებლად რამე შეგვრჩეს... ვის არ მოეხსენება; რომ „ახალ ქართლში“ სუყველაფერი მომეტებულ შემთხვევაში წალმა-უკუღმა ტრიალებს: კრავი მტაცებლობს, მგელი სულგრძელობს, ბერი ერობს, ერი ბერობს, მხდალი ფართი-ფურთობს, მამაცი კუთხეში მიმალულა. გარყვნილება ბრჭყვიალებს, უმანკობა კონკებშია გახვეული, ფლიდი ბელადობს, ნამდვილი ბელადი კი ბოსელშია დამწყვდეული, ან ტყეშია ჩადებული და იქ შიმშილ-სიცივით სული ძვრება; უნიჭობა გვირგვინ დადგმული ყოყაჩურად დაიარება, მჭერმეტყველობს, იმონავებს, ნიჭი კი ხშირად თავჩაქინდრული, შეუმჩნეველი, ცხოვრების ტვირთით დამძიმებული, ლანდივით დაიარება და თვის ნიჭს დავთარში, სარდაფში ან რომელსამე კანცელარიაში ახრჩობს... და თუ ეს ასეა, სამწუხაროდ, ჩვენში, მაშ შეიძლება ჩვენებური „ჭკვიანიც“ უჭკუო იყოს, უჭკუო კი მართლაც ჭკვიანი.

— ვინ არის ჩვენში ჭკვიანი ან ჭკვიანად აღსარებული? ბევრი!

„ჭკვიანად“ ითვლება ჩვენში ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც არც წვადს დასწავს და არც შამფურს: ენა შაქრიანი, უწყინარი, დამთბობი, ამტანი, აუღელვებელი, ის ყველგან მიღებულია, ყველასაგან საყვარელია; მას ყოველსავე საქმეში მოთავედ ასახელებენ, ყველგან ჩრინან. მართლაც, ის აქაც არის მეთაურებში და გამგეებში, იქაც, მაგრამ, რასაკვირველია, არსად მისი გული, გონება, ენერგია არ არის. რითიმე გატაცება მას არ შეუძლია და მისის აზრით, არც კი შეშვენის: ეს ფანტაზიორებს, დონკიხოტებს, აი მაგალითად ცხვედაძე რომ იყო, ასეთებს შეშვენის. მწერლობას ის გაურბის; მწერლობას ის ახლა თითქმის უკად-

რისობს, რადგანაც ეს ხელობა მისი აზრით, გამოგდებულების და უადგილობა მოხეტილობებს შეპფერის; მას კი შესამჩნევი ადგილი უჭირავს. მართლა იყო დრო, როდესაც ის მწერლობდა, ცდილობდა მაინც რამე დაეწერა, მაგრამ ეს მაშინ იყო, როდესაც პატარა კაცი ბრძანდებოდა და გზას იკაფავდა ცხოვრებაში. თავგანწირვა ან რა იმისი საქმე! მისის აზრით, უსამართლობასთან ბრძოლა, როდესაც ამ უსამართლობის წარმომადგენელი შენზე ძლიერი და ღონიერია, უბრალოდ დროს დაკარგვა, უმიზნო და უშედეგო უარყოფაა პირადის უვნებლობისა: აბა ვის რა არგო საბრალო მოხუცმა დიმიტრიმ თვისი გატაცებული პროტესტით?! არავის... თითონ კი იწამა. ან ვის რა გაუკეთა გაბრიელის სისხლით დაწერილმა, დაურღვეველი ლოდიკური კანონებით შეკრულმა და შეგნებულ მომავლის შეილურ გრძნობით გაუშქებულმა პოლემიკურ ხასიათის მოხსენებებმა? არავის. შემთხვევით სოსიკო მერკვილაძეს რომ არ აღმოეჩინა, ერთი ქართველიც ვერც კი წაიკითხავდა. რომ წაიკითხეს, მერე რაო? ვის აუტოკა გული? ვინ გამოიყვანა სამოქმედოთ?... არავინ თითონ კი სულმნათი, ასეთმა ბრძოლამ ბოლოს დროს სულიერადაც შეარყია!.. ასე მსჯელობს ჩვენი ჭკვიანი, ფხიზელი, დაამებული, ფრთხილი, აუღელვებელი, ვითომც საქმიანობა დაუსახავს მიზნად ამ ჩვენ ჭკვიან მოღვაწეს. და აკი შინ და გარედ ის მიღებული და პატივსაცემი პირია!.. არავინ კი არ ამჩნევს, მომეტებულად შინაურებში, რომ ის ღმერთს და „მამონას“ (კუჭს, ფაშვს) ერთნაირად „ჭზვიანურად“ ემსახურება, რომ არც ერთს მის საქმეს ნიჭის, გატაცების, ენერგიის და უანგარობის ბეჭედი არ აზის, რომ მისი



„ნელ-თბილი“ საქმიანობა უფრო უკუყო-
ბის შედეგია, ვინემ ჭკვიანობის და რომ
ასეთნი პირნი ისტორიას ვერ შექმნიან,
ეროვნულ საქმეს ერთი ბეწვითაც ვერ
წასწვევენ წინ... მაგრამ საზოგადოებაში
მაინც „ჭკვიანის“ სახელი აქვს დავარ-
დნილი.

ჩვენში „ჭკვიან“ და მცოდნე ექიმათ
ის ითვლება, რომელსაც „თავი მალლა
დააქვს“: წარბებ შექმუხნული დადის,
ძნელად თუვისმე დაელაპარაკება ღთუ და-
იწყო ისეთის აპლომბით და რიხით, მოჰ-
ყვება ლაპარაკს, თითქოს შეუცდომელი
ქურუმი იყოს, თითქოს ყველაზე მალლა
იღგეს ჭკუით, დაკვირვებით, ცოდნით. მის
თვალში ყველა მისი კოლლეგები ჰიგმე-
ბი, არამზადები, დილეტანტები, ერთის
სიტყვით პატარა კაცუნები არიან. რო-
გორც დიდის ნიჭის პატრონი, ის თხოუ-
ლობს თავისადმი პატივს, თითქმის თაყვა-
ნის ცემას. პატარა, წვრილმან ეროვნულ
საქმეებში და მუშაობაში ის აბა როგორ
მიიღებს მონაწილეობას?! ეს მას არ ეკად-
რება, ეს მისი დამამცირებელი იქნება!
მხოლოდ ისეთ დაწესებულებებში და სა-
ზოგადოებებში იწყებს მუშაობას, სადაც
მას უსათუოდ თავმჯდომარეობა ან მისი
ამხანაგობა მოეღის. რუსების თქმის არ
იყოს: „БОЛЬШОМУ КОРАБЛЮ БОЛЬШОЕ
И ПЛАВАНІЕ“! ამ როლში ის უფრო იბე-
რება, უფრო მჭევრმეტყველურად სდუმს,
ვინემ რასმე აკეთებს გულით, სულით,
გატაცებით. მას უფრო აინტერესებს პრო-
ცესი და მეხანიკური მიმდინარეობა სხდო-
მებისა, ვიდრე საქმეების არსებითად გარ-
ჩევა და გადაწყვეტა.

როგორც ექიმს, მას უმთავრესად კლი-
ენტები მალალ წრეებში ჰყავს, ცნობილ
პირებს ექიმობს, რასაკვირველია, იმის-
თვის, რომ სახელი გაითქვას და ქანქარიც

შეიძინოს. დაბალ ხალხს ის არ ეკარება;
ხალხიც მას არ ეკარება, უკეთესი უმ-
ვსთქვათ, ხალხს ერიდება, ეშინიან მას-
თან მისვლისა, რადგანაც ბევრი სმე-
ნია მის შესახებ... სოფელს ეს ვაჟბატო-
ნი სრულებით გაუბრძობს: აბა რა უნდა
გააკეთოს იქ? ხომ ჩამორჩა მეცნიერებას?!
პირიქით მას ებრალებიან ის მხატვ და
ახირებული ექიმები, რომლებიც ცხოვ-
რების მოძრაობაში აქტიურ მონაწილეო-
ბას იღებენ, რომლებიც, გარდა საექიმო
მეცნიერების პრინციპებისა, სხვა უფ-
რო მალალ პრინციპებსაც აღიარებენ და
ემსახურებიან შეძლებისა და გვარად სო-
ფელს, ხალხს. „ჩერჩებები, სულელე-
ბი არიანო“, იტყვის ხოლმე მათზე ჩვე-
ნი „ჭკვიანი“ ვაჟბატონი. ჩვენს საზოგა-
დოებაში ასეთს „ჭკვიან“ ვაჟბატონებს
აქვს პატივი, გავლენა, სახელი; ჩვენში
ასეთს ვაჟბატონებს თვლიან „ჭკვიან ქარ-
თველებად“ და ის კი არ იციან, რომ
მათ დიდი ხანია ხელი აიღეს ქართველო-
ბაზე და თვისი პირადი და ოჯახური
ცხოვრება მოაწყეს ისე, რომ არავინ დას-
წამოს შოვინისტობა, მამულიშვილობა.
უცხო ენა მეფობს მის ოჯახში, კერძოთ
კაბინეტში, მაშინაც კი, როცა ქიზიყელს
ან ჩოხატაურელს იღებს და ელაპარაკე-
ბა; უცხო ენაზე დაწერილი წიგნები და
ჟურნალ-გაზეთები ამშვენებენ მაგიდებს...
ეს ხომ ასეა, მაგრამ მათ საზოგადოებაში
მაინც „ჭკვიანის“ სახელი აქვთ დავარ-
დნილი!

„ჭკვიანთაა“ აღსარებული ის ქართ-
ველი მოხელეც (მსაჯული, მასწავლებელი
და სხ.), რომელიც სცილლა და ხარიბ-
დას შუა უენებლად დანავარდობს და სა-
ზოგადოდ დრო-შერჩეულად იქცევა და
მოქმედობს. ის არავის აწყენიებს: არც
ბატონს და არც პატრონს. ყველგან და



ყველასთან ორკოფობს, მშვიდად, ყუათიანად იქცევა. უფროსთან თავმდაბალი, გამგონი და აღმასრულებელია; მის წინააღმდეგ არც ერთს შემთხვევაში არ წავა, წინააღმდეგ აზრს არ გამოსთქვამს. როცა უფროსი მისს შეხედულობაზე, შეეკითხება, ხშირად პირდაპირ უპასუხებს „მე თქვენი აზრისა ვარო“. შეიძლება უფროსის აზრი მისი რწმენის წინააღმდეგ იყოს, შეიძლება მისს წმინდათა წმინდასაც ბღალავდეს—ეროვნულ თავმოყვარეობას შეურაცხყოფდეს, მაგრამ ეს არაფერია! ჩვენი „ქკვიანი“ ვაჟბატონი ოფიციალურ საქმეებში და კრებებზე თავის დღეში მხარს არ დაუჭერს და არ დაადასტურებს ქართველივე მოხელე—ამხანაგის აზრ-შეხედულებას, რაც გინდ პრინციპიალურად სამართლიანი იყოს იგი; ეკრძაღვის, სოლიდარობა, შეთანხმებულნი მოქმედება არ დაგვწამოს უფროსმაო... სხვებს კი სიამოვნებით უერთდება, მეგობრულად ხელს აწოდებს. ქართველ ამხანაგებში ის ყოყოჩობს, მათ ის არაფრად აგდებს; მათთან კარგი განწყობილება არა აქვს. და ამას „ქკვიანურ“ მოსაზრებით სჩადის: სურს თვის ბატონებს თითქოს უთხრას: „ხედავთ, მე ჩემიანები არ მიყვარან, იმათთან არაფითარი კავშირი არა მაქვს, მე თქვენი ვარო“. უცხო ტომის ამხანაგებში ის „ქკვიანურად“ თავმდაბლობს; ცდილობს ყველას ასიამოვნოს, ყველასთან კარგ განწყობილებაში იყოს; ყველა მიიღოს ოჯახში, ყველასთან მეგობრულად ცხოვრობდეს. შეიძლება ეს უცხო მისი ერის მტერიც იყოს; უპატიოსნო გაუტანელ ადამიანდაც იყოს ცნობილი, მაგრამ ეს ჩვენი „ქკვიანი“ ვაჟბატონისთვის სულ ერთია. პირიქით, რაც უფრო კაციქამია და ხეპრეა უცხო ამხანაგი, იმდენად უფრო მეტად ფეხქვეშ ეგება მას.

ოჯახური მისვლა-მოსვლა ჩვენს „ქკვიანს“ განსაკუთრებით უცხოელებთან აქვს, თავისიანებში თითქმის არ დაიარება, თავისიანებს თითონაც კარებს უკეტავს. ეს იმისთვის, რომ ბატონებმა მის კეთილსაიმედობაში ექვი არ შეიტანონ და თავისიანათ ჩათვალონ. ეს ატესტატი კი მისთვის თავი-და თავი ცხოვრების მიზანია!.

ჩვენი „ქკვიანი“ ცდილობს მისმა შვილებმა უცხო ენები უნაკლულოდ შეისწავლონ: კილო ლაპარაკისა, გამოთქმა ზედმიწევნით შეითვისონ. ვინ იტყვის რომ ეს ცუდი არისო? ღმერთმა, მართლაც, გაამრავლოს ჩვენში უცხო ენების მცოდნე პირნი! მაგრამ ჩვენი „ქკვიანი“ სამარცხვინო საშუალებას ხმარობს მიზნის მისაღწევად: ის ჯრჩევს, თითქმის უბრძანებს შვილებს ამხანაგობა და მისვლა-მოსვლა მხოლოდ უცხო ტომების ბავშვებთან გქონდესო, თავისიანებს არ მიეკარონ, სხვათა შორის, იმისთვისაც, რომ გამოთქმა არ გაიფუჭონ, ქართულად არ ილაპარაკონ; სასწავლებლებშიაც ისინი მამის ნებართვით სამშობლო ენას არ სწავლობენ!—

რას დებულობენ მერე ჯილდოდ ასეთი დაძვირებისათვის, თავმოყვარეობის და ეროვნულ გრძნობის შელახვისათვის, ასეთის ყოველივე ადამიანურ ღირსების ახლისათვის ჩვენი „ქკვიანნი“ ქართველები? სინიღისს თუ შეარცხვენენ, ადამიანობას თუ დაჰკარგვენ, ეროვნულ გრძნობას თუ ფეხით გასთელავენ, მუხანათის მონა-მორჩილი გახდებიან—მაშინ ამის ნაცვლად თანაბარი ღირებულობის წარმატება, დიდება, პატივი ან სიმდიდრე მაინც უნდა მიიღონ!.. მაგრამ ასეთს პატივს და დიდებას მათ ვინ აღიარებს?! ცოტას წაუჯიკიანებენ ხოლმე სამსახურში, ერთი წლით



დაუჩქარებენ ჯილდოზე წარდგენას, შუათანა ადგილზე სტოვებენ და უცხოეთში არ გადააგდებენ.. აი შედეგი მათის „ჭკვიანობისა“, უკეთ რომ ვსთქვათ, უკულმართობისა და გადაგვარებისა!

ღმერთო ჩემო! მერე როგორ გამრავლდნენ ჩვენში ასეთი „ჭკვიანები“! ყველგან, ყველა სფეროში ისინი ბლომად არიან. მწერლობს, ქართულ ლიტერატურას ვითომც ემსახურება ვინმე პირი და ამავე დროს სამსახურში და პირად ცხოვრებაში „ჭკვიანობს“; რომელიმე სულიერი მამა თავისიანებში სიმართლის, პირდაპირობის და ეროვნულ სიწმინდის დაცვის მქადაგებელია, კერძოდ პირად ცხოვრებაში და სამსახურში კი უსათუოდ

„ჭკვიანობს“; ჩვენში ჭკვიანობს მასწავლებელი, ჭკვიანობს ბერი, ჭკვიანობს ვეჭილი, ჭკვიანობს ექიმი, ჭკვიანობს ვაჭარი... ბატონებო, აბა რათ ჩამოვთვალოთ, ჩვენში თითქმის ყველა ჭკვიანობს, ვისაც დიპლომი მიუღია და კერძო შრომით და ინიციატივით ცხოვრებას გაურბის.—აი სიმბტომი ჩვენის დაავადყოფებისა! მერე სადა ხართ თქვენ, ქართველო ბელეტრისტებო და დრამატურგებო? რათ არ გვისურათხატებთ ამ შინაურულ მტრების საზიზღარ სახეს, რათა ყოველმა პატიოსანმა მნახველმა ამ სახეს შეაფურთხოს და ზიზღით პირი იბრუნოს?—ველით.

იპ. ვართაგავა.



ქალთა ხელსაქმე: დიასახლისობა, ხელისნობა, კონებითი პრაქტიკული მეცადინეობა

1. ქალთა ხელსაქმე... ხელსაქმეს ბევრს სკოლაში ასწავლიან დასავლეთს ევროპაში... მეცნიერები ხელსაქმის სწავლებას მოწაფეთათვის მეტად სასარგებლო მოგვლენად სთვლიან. ისინი მხრდოდ მავნებლად სთვლიან ქალთა თვალების მხედველობისთვის წვრილი სავსების კეთებას და ისეთს მუშაობას, რომელიც, სავსებითა სიმატარავის გამო, მითხროვს ზედმეტს დაკვირვებას, დიდხანს ცქერას და ამით თვალთა დაღლილობას გამოიწვევს. ასეთს სამუშაოდ ითვლება ქარგვა, სადილეების ამოხვევა, დაღიანდაკება, გვირისტი და სხვა... ხელსაქმობა არ უნდა სწარმოებდეს ხელფანურ განათების ჟამს, მით უმეტეს, თუ სამუშაოდ შავი ფერის მასალა... დიდს სკოლაში სასურველია, რომ გამართონ განსაკუთრებული ოთახები ხელსაქმის სასწავლებ-

ლად. საწერ სავარჯიშოებთან შედარებით ხელსაქმის სწავლება უფრო ნაკლებ მავნებელია მოწაფეთა ჯანის სისადისთვის. ხელსაქმის მეორებით ხერხემლის გაბრუნება ისე შესაძლებელი არაა, როგორც საწერ სავარჯიშოების მეორებით. ხელსაქმე თხრობის თვალის უფრო ნაკლებს მოძრაობას, ვიდრე კითხვა... ხელსაქმის სწავლება შეიძლება დაწვებულ იქმნას სკოლაში უფროსის მეორე წლიდან... ავსტრიაში უშლიან მოწაფე ქალებს ისეთი ხელსაქმის კეთებას, რომელიც თხრობის თვალთა მინახლეობას სავსებზე... ნიმუშები უნდა იყოს მახვილი და იმ ზომისა, რომ მთელმა კლასმა კარგად დაინახოს. რაც შეეხება სამუშაოს ფერს, უბრატესობა უნდა მიექცეს გათეთრებულს ტილას და მხიარული მქრქალი ფერის ქსოვილებს... კერვ



საუმჯობესოა წითელი ანუ ლურჯი ფერის ძაფით. უნდა მიექცეს ურადღობა იმ ქსოვილს, რომელიც ადვილად ხუნდება, ფერი ეცვლება. ამისთანა ქსოვილი საშიშია სწავლაჲს მხრით. ქსოვა უაინაუთ, წინდის ჩხირებით, და ჭრა საშიში არაა.

კერვის დროს არ უნდა დაეგრძნო მარცხნა ხელსა. ორივე ხელი სრულიად თავისუფალი უნდა იყოს... საზოგადოდ მოწაფე ქალები უნდა ერიდებოდნენ თვალთა მხედველობის განკაფულებას ჭრა-კერვის და სხვა ხელსაქმის დროს... ფეხით სატრიალებელს საკურავ მანქანასე მუშაობა მავნებელია ხანდახან ნერვებისათვის, განსაკუთრებით დედათა წესის დროს...

2. დიასახლისობის სწავლება... ეს საკითხი ახალია სწავლა-აღზრდის საქმეში... სასკოლო ჭიგეიანს არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს დიასახლისობის შესწავლას სკოლებში მოწაფე ქალთა მიერ. სწავლებას უნდა ჭქონდეს **საქმიერობითი** (პრაქტიკული) ხასიათი. მოწაფე ქალებს დაწინაწილებენ ჯგუფურად; თითო ჯგუფში შედის ოცი მოწაფე, რომელთაც ხელმძღვანელობს ერთი მასწავლებელი... საკამაა 20 30 კაკვეთილი... ქალები, განსაკუთრებით ისეთნი, რომელნიც მუშათა შვილები არიან, სკოლის გათავების შემდეგ ხანდახან ჰირდაჰირ ქარხანაში სამუშაოდ მიდიან, შემდეგში ისინი თხოვდებიან და ხლებიან დელებად, მაგრამ სამეურნეო, სადიასახლისო აღზრდა კი არ აქვსთ მიღებული... ძლიერ საჭიროა, რომ სახალხო სკოლებში შემოიღონ სადიასახლისო საქმეების სავალდებულო სწავლება, — განსაკუთრებით კი მზარეულობის სწავლება, — ან არა და შემოიღონ დამატებითი კურსი უფველსავე ამის შესწავლად. ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა ექნება **ნივთიერად და ჰიგიენურადაც**.

13--14 წლის ქალები, რომელნიც სახალხო სკოლაში სწავლობენ, ხალისით შეისწავ-

ლიან სადიასახლისო საქმეებს, რომელთა მიმართ მათ აქვსთ ერთგვარი მისწრაფება.

ბელგიაში 1862 წელს შემოიღეს საქალხო საოსტატო სემინარიებში დიასახლისობის თეორიული სწავლება... შემდეგ მას მიუმატეს სამზარეულო ხელობის შესწავლა, რომელსაც ასწავლიდნენ არდადეგების დროს. 1881 წლიდან დიასახლისობის სწავლება ბელგიაში **წესიერად** სწარმოებს ხსენებულს საქალხო სემინარიებში.

გერმანიაში ავგუსტ ფორსტერმა კასსელში გახსნა **სამზარეულო** სკოლა... ამის შემდეგ სამზარეულო ხელობას კასსელის უველა სკოლებში ასწავლიან. ამ შავალითის მიბაძეს ბადენში, საქსონიაში, ჰრუსონიაში, ვიურტემბერგში, და სამზარეულო ხელობას ასწავლიან მრავალს სკოლაში. 1878 წლიდან ვიურტემბერგში არსებობს სადიასახლისო საქმეთა შესწავლი სკოლა, — ბადენში კი არსებობენ — სამზარეულო ხელობის მოგზაური კურსები.

საფრანგეთის საქალხო საოსტატო სემინარიებში ასწავლიან დიასახლისობის შესაფერის საქმეებს, აგრეთვეა — ინგლისში, ნორვეგიაში, შვედიაში და ჩრდილო-ამერიკის შერთებულს შტატებში.

3. ხელოსნობა... ხელოსნობის სწავლება ვაჟთათვის ჰირველად შემოიღეს ფილიანდაში... ჭიგეიანის თვალსაზრისით ხელოსნობას აქვს ორი დიდი უზირატესობა: ა) ხელს შეუწყობს კუთების განვითარებას და ბ) მას შეაქვს სხვა და სხვაობა სასკოლო საგნების მოვლას რიგში. ხელოსნობა განავითარებს როგორც კუთებს, ისე მათთან შეკავშირებულს ნერვებს. ერთის მხრით მუშაობის წარმატებისთვის საჭიროა **სისწორის** (ТОЧНОСТЬ) დაცვა და მეორეს მხრით მუშაობის უამს ნერვები განაკებენ კუთების მოძრაობას. სასკოლო მეცადინეობის მეტებით ბავშვების ბუნებას შეეძინების არა სასურველი ცუდი ჩვეულებანი; ხელოსნობის უმთავრესი საგანია —



ყოველის დონის ძიებით ხელი შეუშალეს სკოლის ამ ცუდი გავლენის ზედ მოქმედებას ბავშვთა ბუნებაზე. ხელისშეწყობის მეხებით ბავშვებს ეძლევათ ჯანის სისხლე, ხელი უმატრდებათ და წარჩინებული თვალ-ზომა (ГЛАЗОМЕТРЪ) ენიჭებათ. მართალია, რომ თავისუფალი გიმნასტიკური მოძრაობანი და სხვა და სხვა ხელსაწყოებზე ვარჯიშობანი ფრიად სსსარკებლანი არიან ფიზიკური (სხეულებრივი) განვითარებისთვის, მაგრამ ყოველივე ესენი მაჯის განვითარებას მცირე უზრუნველბას აქცევენ; მაჯისთვის კი ამოდრავება და ვარჯიშობა უფრო საჭიროა, სანამ სხეულის სხვა ნაწილებისთვის... თამაშობანი ამ მხრით უფრო სსსარკებლანი არიან, რადგანაც მათი მეხებით მაჯა რამდენადმე მოძრაობს... ხელის მოძრაობანი ხელისნობის სხვა და სხვა დარგის მუშაობის შესრულების ჟამს იმდენად მრავალ-მხრეფანი და მრავალ-სსსარკანი არიან, რომ თვით საუკეთესო გიმნასტიკური მოძრაობანი მათ ვერ შეედრებიან...

ამის მეხებით ხელისნობამ გზა გაიკაფა სამკურნალო მეცნიერებაშიც... მკურნალობა ფამენნმა 1910 წელს ფიზიკური მკურნალობის შესახებ მომხდარს მესამე საერთაშორისო კრებაზე დაამტკიცა, რომ ხელისნობამ უნდა დაიჭიროს პირველი ადგილი ფიზიკურ ვარჯიშობათა დანმარებით მკურნალობის სხვა და სხვა საშუალებათა შორის: ხელისნობის სამკურნალო მოქმედება შესდგება შემდეგ მოქმედ ძალათაგან:

- ა. ფიზიკური გავლენა. ხელისნობა კუთების შეკუმშვას გამოიწვევს, და აუმჯობესებს მათს სსზრდობას, აძლიერებს რბილი ძარღვების მოქმედებას, ნერვების და მავნე ნაწილების მომხელებელი ორგანოების მოქმედებას აორკეტებს;
- ბ. სულიერი გავლენა. მჭიდრო კავშირი არსებობს ნერვების შუაგულთა და კუთების შორის... კუთების თავისუფალი შეკუმშვა

ყოველთვის შეერთებულია თავის და ხერხების ტვინის ცნობილ ნაწილების განზიანებასთან... ამის გამო ხელისნობას აქვს გავლენა შუაგულ „ნერვიულ წყობის“ მოქმედებაზე, შეამცირებს გადამტკბულ შთაბეჭდილებათა მიმდევრობას, საკეთილად მოქმედებს ადამიანის სულსა, ნებას და ჭკუაზე, — და ამასთანავე აძლევს მას ზნეობრივს კმაყოფილებას იმის გამო, რომ შეიცვებს წარმოებას მუშაობის მიზნის შესაფერისობას...

გ. ხელისნობას ადგილი აქვს ქლერქის, ქარების და სხვა ხანგრძლივ სხეულებათა რქინის დროს... ხელისნობის სამკურნალო გავლენა დამტკიცდა მომავალ სხვა ავადმყოფობის მარჩენის ჟამს. მრავალი სხეული განიკურნა მისის მეხებით სულიერ ავადმყოფობათა, ნერვების და კულ-ნაწილებების სხეულებათაგან. მართლაც, შესაფერის შრომას, რომელსაც შეუძლია ტვინი აამუშავოს ჭარმინიულად და ყოველ მხრით, ძალუძს მარჩინის ადამიანი სხვა და სხვა ნერვიულ სხეულებათაგან. ქალ. ციურისში მკურნალობა გრომანმა დაარსა სხლი, რომელშიც ავადმყოფებს ახვევენ სხვა და სხვა საქმეს, ამოდრავებენ ხელისნობის სხვა და სხვა დარგში... უკანასკნელს დროს ეს საშუალება სცადა მკურნალობა ლერმა, ბერლინის ახლოს ქ. ცელენდორფში.

მოწაფეები ხელისნობის სხვა და სხვა დარგის შეთვისების დროს უნდა ისე იდგენ, რომ მათის სხეულის რომელიმე სსსარი არ დამახინჯდეს. უფრო სსშიშია ისეთი დგომა, რომელიც ხერხემლის გაბრუნებას გამოიწვევს... მეცნიერთა აზრით, საჭიროა მუშაობის დროს ფეხები განზე გაწეული იყოს და მუხლები გასწორებული... ამისთანა მდგომარეობას ადგილი უნდა ჰქონდეს მსმინ, რადესაც მოწაფე ხერხავს, შალაძინებს და ან სატყნით ხეს ან ფიცარს ადრუტნის. არის მეორენაირი დგომაც ხელისნობის დროს: მოწაფე ერთს ფეხს გადავს წინ დაახლოე-

ბით ერთი ფეხის-გულის სიგრძეზე... ასეთი დგომა მაშინაა უფრო შესაფერი, როდესაც შალაშინი მიიმეა... მოწაფეს შეუძლია რიგობით სამუშაო მაგიდის წინ დგომის დროს ხან ერთი ფეხი გასწიოს წინ და ხან შეერე... ფრად სჭირთა, რომ სამუშაო მაგიდა და ხელ-სამწყო შეეფერებოდენ მოწაფის ტანის ზომას და მის ჭსაკს... თუ მუშაობის დროს მოწაფე წელში იხრება, ამის შეჩვევით გულმკერდი და სტომაქი ძლიერ შეიწროვდება, რის გამო მათში სისხლი თავისუფლად ვეღარ მოძრაობს და ამ ორგანოების სხვა მოქმედებანიც შეიწროებულია. რა თქმა უნდა, რომ ასეთი მუშაობა მავნებელი იქნება მოწაფისათვის... ჩვენ აქამომდის ვლამარაკობდით სადურგლო მუშაობის შესახებ... საჩივინგრო მუშაობის დროსაც სჭირთა ურადდება მიექცეს წესიერს დგომას... გამოცდილი მასწავლებელი ურადდებას მიაქცევს მოწაფის ასეთს თუ ისეთს დგომას საჩივინგრო მუშაობის უამს... მოწაფეებიც ვადლებულნი არიან მისს სხვა და სხვა ჩვენებას დაემოწმებინ...

მოწაფეები უნდა გრიდებოდნენ ხელისნობის შესწავლის დროს დადლილობას. ისეთი სამუშაო უნდა აღიჩინონ, რომელნიც განავითარებენ მარჯვენა და მარცხენა მხრის კუთხებს **თანასწორად**... ძლიერ სსარკებლო იქნება, რომ მოწაფემ **მარცხენა ხელითაც** აკეთოს ის საქმე, რომლის კეთებას შეეჩვია მარჯვენა ხელი... უფრო უპირატესობა ეკუთვნით ისეთს სამუშაოს, რომლის დროსაც შესაძლებელია **ღრმა სუნთქვა**, უკეთუ, რასკვირვულია, სამუშაო ოთახში ბევრი მტვერი არ სდგას. მავნებელია ისეთი სამუშაო, რომლის დროსაც აუცილებელია წელში მოხრით დგომა დიდის ხნის განმავლობაში. უნდა მოერიდონ მოწაფეები მუშის ქადადებს ხეზე მუშაობის დროს. წუბოს გახსნა და სხვა ცუცხლით შესამზადებელი საქმე უნდა ხდებოდეს სახელო-

ნოს გარეშე, თორემ ორთქლი და ბოლომდე ხელისნოს შიგნით ჰქაერს წახდენენ... ზაფხულში სახელონოს ფანჯრები გადებული უნდა იყოს. არამც და არამც შხამით შეზავებული სადებავი მასალა არ უნდა იხმარონ.

ბევრგან დასავლეთს ევროპაში **ხელონობის შესწავლა სავალდებულოა**, განსაკუთრებით სასტატო ინსტიტუტებისა და სახალხო სკოლებში. ზოგიერთს ადგილას დაწესებულია ხელონობის ინსპექტორის განსაკუთრებითი თანამდებობა.

4. **გონებითი პრაქტიკული მაცადინობა.** კავკასიის სასწავლებლებში ბოლო დრომდის (1907 წ.) ურადდება არ ჰქონდა მიქცეული **ხელონობის** და სხვა **პრაქტიკულ საცხოვრებისო** საგნების შესწავლას მოწაფეთა მიერ და არც მათს **ფიზიკურს განვითარებას** გიმნასტიკურ და სხვა მოძრაობათა სშუალებით... კავკასიის სასწავლო ოქვის აწინდელი მზრუნველი **ნ. ფ. რულოლი**, როგორც ვიცით ზედმოწვენით მცოდნეა ხელონობის და საგნების პრაქტიკული სწავლების სადამზრდელო მნიშვნელობისა. (იხილეთ 1910 წლის ანგარიში, მზრუნველისგან შედგენილი) მისი მეთაურობით და გამხნეებით განაღდა ჩვენებურს სასწავლებლებში გიმნასტიკის და სხვა თავისუფალ ფიზიკურ მოძრაობათა და თამაშობათა სწავლება, რასაც არ შეუძლია ხელი არ შეუწყოს მოზარდი თაობის ჯანის სისადეს და იმავე დროს სულიერ ნიჭთა განვითარებასაც... თან და თან ხორციელდება ჩვენს სასწავლებლებში ძველებური ბძრული თქმულება: „**სალი სული მხოლოდ** სადს სხეულშია“... ჩვენ დავამატებთ: **საღს სხეულში სალი ნებაცაა**, სადა სამოქმედო ნიჭი... მოძრაობის მნიშვნელობა, ესდენ დავიწვებული ძველს სკოლასში, დიდა... უფკლივე სოფლად მოძრაობს, უფკლივე მოძრაობით განვითარდება. ჩვენა სიცოცხლე სხვა რა არის, თუ არ მოძრაობა გა-



ქართული ენის ინსტიტუტი

მუდმიბუღი... უმოდრება, ერთს ადგილს ჯდობა, წილა, მუდმივი სიზნტე—ბუნების სწინადმდეგო მოვლენა.. ჩვენ გვსურს მკითხველებს გავანროთ ზოგიერთი ადგილება კავკასიის სასწავლო ოქტის მზრუნველის ნ. თ. რუდოლოფის საინტერესო წერილიდამ, რომელიც დაიბეჭდა რუსულს გაზეთს „გავკავსის“ 1911 წლის 228 ნომერში სათაურით: „по поводу дрезденского конгресса“.

საქმე ისაა, რომ სახედაგოგო მეცნიერებამ ბოლო დროს მხურვალე ურდადება მიაქცია იმ **თვალსაჩინობას** სწავლების დროს, რომელიც კაცობრიობას უმოდვრდა დიდებულმა **პეტალოცციმ**, რომელმაც ამისთანავე გვამცნო, რომ თუ ცოდნასთან არაა შეერთებული ოსტატობა, ხერხი, მაშინ თვით ცოდნა ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებულია... თვალსაჩინობას და გონების მრავლყოფის მეცადინობას აწინდელმა პედაგოგიკამ ფართოდ გაუხსნა. გზა სკოლებში, სადაც მის დახმარებით თითქმის ყველა საგანს ასწავლიან... გამოსადეგია ის, მაგალითად, თუნდა ქართული ენის სწავლების ყამს. ავიდოთ ზეტარა მაგალითად თუნდ ლექსი „გუთნის ჩივილი“ (ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ გვერდი 220 გამოც. 1910 წლ.)

„ჯამბარამ სთქვა: „ჩემი საქმე მბეზდრებსაც ნუ მოსვლია: წვიმა მოვა, დავრბილდები, მზე—ცუცნლივით მომუდება!“

კბილამა სთქვა: „გვერდზე ცურვით გვერდის ტყავი გადამძვრება“

ფრთემ სთქვა: „ბელტის ბრუნებითა ნეკნები სულ დამემტვრევა“

სახნისმა სთქვა: „ქვეშ ტარებით მე მზის შუქი მენატრება“

საკვეთმა სთქვა: წინ ტარებით წინა კბილი არა მჩხება.

რვილმა სთქვა: „წელში წვეთათა წელის მძივი გადამწელება“.

ღირღიტამ სთქვა: „დახვედრება კრინტი ხმა აღარა მჩხება“.

ამ მშვენიერს ლექსში შვიდი სიტყვაა ხას გასმული: „ჯამბარა“, „კბილა“, „ფრთე“, „სახნისი“, „საკვეთი“, „რვილი“ და „ღირღიტა“. ეს სიტყვები სახელებია გუთნის სხვა და სხვა ნაწილისა... სოფლის ბავშვებს (ქართლ-კახეთში) შეუძლიათ ზირდაზირ გაიცნონ გუთანი თვით ხვნის დროს; თვალთ ნახონ. ფრთეს მიერ ბელტის ბრუნება, სახნისის ქვეშ ტარება, საკვეთის წინ ტარება, რვალის წელში წვევა და ღირღიტას ძახილი, მისი ბანი... ამას რადა აჯობებს!.. თუ ბავშვებს ეცოდინებათ ზეტარა გუთნის გაკეთებაც ესეც ხომ კარგი იქნება... იმერეთში კი შესაძლოა გაიცნონ სკოლებში გუთანი ნიმუშით (მოდელი) ანუ გუთნის დიდი სურათით მისი ნაწილების სისწორით და სინხადით გამოხატულებით. მის შეხებით სამშობლო ენის სწავლებას **თვალსაჩინობითი პრაქტიკული ხასიათი ექნება** და მოწაფეთა თვითმეჭმელებაც განვითარდება. ესევე შეიძლება ითქვას ყველა საგნის სწავლების შესახებ. ყოველისავე ამის შემდეგ გასაკვირი იქნება ის აზრები, რომელსაც გამოსთქვამს ბატ. მზრუნველი თვისს ზემოდ ხსენებულს წერილში. იგი ბეძახებს: „დრეზდენში მოხდა საერთაშორისო საჭიგიენო გამოფენა 1911 წლის დონობისთვეში. გამოფენის ყამს მუშაობდა ზირველი ნემეცური კანგრესი, რომელმაც შეამუშავა მოზარდი თაობის განათლების და აღზრდის საკითხები. კანგრესმა სახატოვო ადგილი დაუთმო მოწაფეთა **თვითმოქმედების** განვითარებას საზოგადო სკოლის ყველა საფეხურზე. კანგრესის დადგენილებით თითოეულ სკოლას საზოგადო განათლების ხასიათისას უნდა ჰქონდეს „**შრომის მოყვარეობის სკოლა**“ სადაც თითოეულს მოწაფეს შეუძლია თვისის მოწოდების შესაფერი მომზადება შეიძინოს და, სწავლის დამთავრე-

ბის შემდეგ, საზოგადოების და სახელმწიფოს სასარგებლო წევრი გახდეს.

კონგრესის აზრით, **ხელოსნობის** სხვა დარგები, ცხოვრების თანამედროვე პირობათა მიხედვით, მეტად ხელს უწყობენ **ხასიათის შემუშავებას, ნების გამტკიცებას, და ადამიანის აზროვნების სიცხადის ამოღებას** (საზი ყველგან ჩვენი). ამისთანავე საჭიროდ ცნობილია, რომ ხელმძღვანელს. როგორც შესასწავლს სავსეს, უნდა ენიჭებოდეს **უფრო მეტი დამოუკიდებლობა**, სანამ ეს აქამდის იყო... აი ამის გამო კონგრესზე იმას დაჰმარაგებდენ, რომ **დასაწყისის სკოლაში**, სემინარიაში გურს დამთავრებულ მასწავლებელთა გარდა, ინიშნებოდენ, სატექნიკო ცოდნით აღჭურვილი მასწავლებლები, რომელთაც შეუძლიათ აწარმოონ პრაქტიკული მაცადინობანი, — მწაფეთა თვითმეჭმელების განსავითარებლად... მაგრამ ამ მაცადინობათა მართოდენ ხელმძღვანელი ხასიათი სასურველი არაა. უფრო საუკეთესო შედეგები აქვსთ ისეთს მაცადინობათა, რომელთაც თან ახლავთ **გონებითი მნიშვნელობა** და რომელთა სავსის სკოლაში შეთვისებული ცოდნანი განუმტკიცო მწაფეებს. ამისთანა პრაქტიკულ მაცადინობათა განმარტოებლად საჭიროა გონებითი მუშაობის სახელმძღვანელების, წიგნთსავსების სამკითხველთა, ლაბორატორიების, საცდელ მინდვრების და სხვათა ფართო მწაფობა, აგრეთვე სხვა ზოგად განმანათლებლად წყობებულბათა, — რა თქმა უნდა საჭირონი აქნებან მომზადებული ხელმძღვანელებიც... კონგრესის აზრით, სწავლების საქმის ასეთს დაეყენებს შეუძლია **ნამდვილი განათლება** შეიტანოს **ხალხის ფართო მასსაში**... მხოლოდ მხედველობითს გონებითს მუშაობას არ შეუძლია ამ მიზანს მიაღწიოს: **ცოდნასთან ადამიანს ხერხიც სჭირდება**... სახალხო სკოლის შესახებ ჩვენს სწორედ ამისი

მსგავსი აზრები გამოვთქვით. **ნოემბერი 1910 წლის ანგარიშის ბოლოში** ..

1908 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქმა გადასდგა პირველი ნაბიჯი სწავლების ყველა საგნების კლას გარეშე **პრაქტიკულ მაცადინობათა მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად** კლასის გარეშე პრაქტიკულ მაცადინობათა მიზანია: ა) შეუკავშიროს სწავლებაცხოვრებას და მისცეს მწაფეებს შეძლება უფრო კარგად და უფრო ადვილად შეითვისონ სწავლების სავსათა დასაწყისნი. ამას გარდა პრაქტიკული მაცადინობანი, გონიერ გართობებს ფიზიკურ ვარჯიშობათა, საბავშვო საერთო თამაშობათა და ექსკურსიებთან ერთად, რასაც ასე დაუნიებით ახორციელებენ კავკასიის საშუალო სკოლაში, საუკეთესოდ ატარებინებენ მწაფეებს თავისუფალს დროს და იცავენ მათ „ქუჩის“ გამათანხირებელი გავლენისაგან... დღეს მე ის უფრო მახარებს, რომ 1911 წლის დრეზდენის კონგრესში პირდაპირ სთქვა, რომ იმისთანა პრაქტიკული მაცადინობანი, რომელთაც მე წინაღ „ლაბორატორიული“ მაცადინობანი ვუწოდებ, აუცილებლად საჭირონი არიან საშუალო სკოლის ყველა საფეხურზე და არა თუ მხოლოდ ისეთს საგნებში, როგორც არიან მათემატიკა, ბუნების მეტყველება, ფიზიკა, არამედ ჰუმანიტარულ საგნებშიც (ისტორია, სიტყვიერება, ფილოსოფია)... მაგალითად, ისტორიაში, კონგრესის აზრით, შეიძლება მოეწიოს პრაქტიკული მაცადინობანი: საშინაო კითხვა, რეფერატები, ზეპირი და წერითი, საუბარნი, სამუშაონი ხელმძღვანელის ხასიათისა, სამუშაონი ხატვიდამ, კოლექტივების შედგენა, შეკრება და რიგზე დალაგება სამშობლოს წარსულის ისტორიის გუთხნილებათა... ყოველივე ეს შევნივრად გაცანობს მწაფეს მშობლიურს წარსულს... სწავლების ასეთი მწაფობით, თვით სწავლება გახდება ცოცხალი, საინტერესო; საშუალო



სკოლის მოწაფეებსაც მიეცემათ შეძლება უკეთესად შეითვისონ უმაღლესი მეცნიერების დასაწყისი, უფრო მეტის შეგნებით აიჩვენონ თავისი სპეციალურნი საგანნი და შეითვისებენ უმაღლესი სასწავლებლის კურსსა. ამასთანავე ჩვენი საშუალო სკოლა თავისი ჩაცვივებული მრავალ-საგნოვნობით განდებთ უფრო შეგნებულად, მიმზიდველად, განცხოველებულად. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ნივთიერი სახსარი, ურთმლისოდ არა გაკეთდებარა. უნდა ვეცადოთ და ვამოწინაოთ სახსარი ამა თუ იმ გზით იმ შეგნების წინ წამდგარებით, რომ სკოლაში მოწაფეთა დამოუკიდებლობის და თვითმოქმედების განსავითარებელი ფუძეს შექმნიოთ ჩვენ ასწილ მიჯაგებთ საზოგადოების და სახელმწიფოს იმით, რომ სულით ძლიერს და სხეულით მაგარს საშუალო განათლების ახალგაზრდებს აღზრდით.

ეჭვს გარეშე, რომ განათლების ევკლას საფეხურები თხოულბენ სკოლის მოქმედების ზიარბათა ისეთს მოწესრიგებას, რომელთ მეტებით შეიძლება ბავშვის, ჭაბუკს და მოზრდილს დაებდოს და გაუძლიერდეს შრომის სიყვარული და განუვითარდეს დამოუკიდებლობა და თვითმოქმედობა... ამ ზიარბათა შეუსრულებლად ევკლას მიერ ცნობილი მკვდარი ხასიათი შეჩება ჩვენს სკოლას, რომელიც თავისი მოქმედების გულს შეზღუდავს მხოლოდ იმითი, რომ სავალდებულოდ სთვლის შეასწავლოს მოწაფეებს საზოგადო განათლების ცნობილი საგნები, — ისე კი რომ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონ-

დეთ ცხოვრებას, ვარე შემოერთებულ განკუთმებას და სინამდვილესთან... იმისდა მიუხედავად, რომ ასეთს სკოლაში ბევრს მაცადინობენ, — მაინც წესიერს წარმატებას ვერ აღწევენ, რადგან სწავლა მხოლოდ სკლასო მაცადინობით განისაზღვრება... მაქვს სრული იმედი, რომ ევკლას ახალ სასწავლო წელს სკოლის გარეშე ზრახტიკული მაცადინობანი საშუალო სკოლის ევკლას საგანში უფრო ფართოდ განხორციელებული იქნებიან ცხოვრებაში, როგორც კლასში ცოდნის საუკეთესოდ შესათვისებლად, ისე სკოლის მიერ მოწაფეთა სწავლების და აღზრდის სავალდებულო მიზანთა გეგმის შესაბამად განსხორციელებლად...

სხანს, სიძველეთ საცავს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მოწაფე უსულთ ტიკინს წარმოადგენდა და ერთ თავად ჯდომით და მაცადინობით, ხშირად შეუგნებელი თუთიუუშური ზეზიარობით, ტიკინს ილავებდა.. რა მოგვცა ასეთმა სკოლამ? უმეტეს ნაწილად ნახევრად ნასწავლი, და შეუგნებელი აღამიანები, — რომელთათვის ღვინოსა და არშიეობის გარდა, არა არსებობს რა დედა-მიწაზე... ამას გარდა მოგვცა სხეული, დაავადებული წევრები, რომელნიც ადრე რიგი ვაინანრობით სცნოვრობდა და რიგიც განშორდა წუთისოფელსა... რადგანაც სკოლა არა თუ ხელს არ უწეობდა მათს ფიზიკურს განვითარებას, არამედ მათს ჯანის სისაღესაც ზიარდაზიარ სამარეს უთხრიდა.

ი. ფერაძე.



ჰიგიენა

(წერილი ჰირველი)

„ჯანი მრთელი მოგცეს ღმერთმა
და გული მხიარული“.

(ხალხ.)

ჩვენ ძლიერ ხშირად უცხადებთ ერთ-მანეთს სურვილს: „ჯანი მრთელი მოგცეს ღმერთმა და გული მხიარული“-ო, ეს იმას ამტკიცებს, რომ **ჯანმრთელობის** მნიშვნელობა და მისი ფასი კარგად გვაქვს შეგნებული. მართლაც და ჯანის სიმრთელეს განა სხვა რამ ძვირფასი საუნჯე შეედრება!?

მაგრამ ცარიელი სიტყვით და სადღეგრძელოთი, თუ გინდ სავესე ყანწით ვსვათ, ჯანს ვერავის შევმატებთ. საჭიროა ჰიგიენის ცოდნა, რომ თვითვეულმა ჩვენგანმა ბუნებრივად, ჰიგიენურად იცხოვროს და სხვასაც ასწავლოს ზომიერი, გონიერი ცხოვრება.

ჰიგიენა გვასწავლის: რა ადგილი და მდებარეობა ავირჩიოთ სოფლის თუ ქალაქის გასაშენებლად; საცხოვრებელი სახლი რა ნიადაგზე და რა გვარი უნდა აშენდეს, რომ ჯანმრთელობას ხელი შეუწყოს. გვიჩვენებს რა გვარ სისუფთავით შევინახოთ ჩვენი თავი და ტანი, სახლი და კარ-მიდამო, ქუჩები და მოედნები და სხვ. და სხვ. არის აგრეთვე ჰიგიენა ბავშვის აღზრდა-განათლებისა (ჰიგიენა სკოლისა). ჰიგიენა დარიგებას გვაძლევს როგორც უნდა გვეკონდეს ჭამა-სმა, ჩაცმადანსურვა, შრომა, ძილი, გათბობა, მოსვენება და ასე გასინჯეთ ჰიგიენა ქალ-ვაჟთა სიყვარულის ვითარებაშიაც-კი ერევა

(სქესებრივი ჰიგიენა), ერთის სიტყვით აკენის არტახიდან, უკანასკნელ კუბოს ფიცრამდე ჰიგიენა მფარველი ანგელოზით თანა გვსდევს ყოველ ჩვენს ბიჯის გადადგმაში და ცდილობს თავიდან ავაცილოს ჯანის ყოველივე ავადობა—სულიერი და ხორციელი, ხოლო ვაი იმას, ვინც ჰიგიენის ურჩი გახდება—ადრე თუ გვიან დაუსჯელი არ დარჩება.

ჯან-მრთელი კაცი, რა თქმა უნდა, ძალ-ღონით და ენერგიით სავსეა, შრომის უნარი მეტი აქვს და თუ განათლებულიც არის უფრო მედგრად ებრძვის ბუნებას სარჩო-საბადებლის შესაძენად. ცხოვრებაში გამეფებულ საჭირ-ბოროტო ტალღებსაც ისე ველარ ეჩაგვრინება, ამას კი თანა სდევს მთელი ოჯახის უექველი კეთილ-დღეობა, ქონებრივი ძლიერება, ზნეობრივი ამბლლება, მრავალჟამიერება, უმრეტელი სიხარული და წარმატება.

საზოგადო ჰიგიენა არა თუ კერძო კაცის, მთელი ხალხის და სახელმწიფოთა ცხოვრების ვითარებაში შედის—ჯანმრთელობის დაცვა—აღდგენაზე ზრუნავს. ჰო და ის სოფელია ღონიერი და ბედნიერი, რა სოფელშიაც ყველა ოჯახი ჯან-მრთელი და შრომის მოყვარეა; რა სოფელშიაც ოჯახის ყოველი წევრი თავის უნარის და გვარად შრომობს, ქალია თუ კაცი ოჯახს ჰმატებს—სარჩო-საბადებელი



შეაქვს. ამით ოჯახის შემოსავალი გასავალს სჭარბობს, სიმდიდრე გროვდება, წარმოიდგინეთ ამისთანა იდეალური სოფლები მთელს მაზრაში, მთელს გუბერნიებში და მთელ სამეფოში. ჰო და რა ძლიერი და ღონიერი უნდა იყოს ეს ბედნიერი სახემწიფო!! აი ამ იდეალისაკენ მიისწრაფის მთლად განათლებული კაცობრიობა.

აბა ავიღოთ ახლა ას კომლიანი სოფელი და ამათში თუნდ ხუთი კომლი სწავლი ვიანგარიშოთ... ეს ხუთი კომლი, შრომის უნარს მოკლებული, რასაკვირველია, უნდა დაბეჩავდეს. ამისათანა ოჯახს არა თუ თავის თავის შენახვა აღარ შეუძლია, პირ იქით ყოველ ცისმარე დღე ვალიანდება—მეფახშის ქსელში ებმის და ანუ სოფლის სამადლო ხდება.—სოფელი ამით საშინლად ზარალობს, რადგან მწარმოებელი მუშა ხელი აკლდება და შემოსავლის მაგიერ, პირიქით, გასავალი მატულობს. ამ გვარად ჩვენი მეზობელი, ივანეა თუ პეტრე, მარტოდ თავისათვის კი არ დაბეჩავდა, მთელს სოფელს დააკლდა, სოფლის ტვირთი გახდა.

თვითვეულ დაბეჩავებულ კომლზე დღეში თუნდ ერთი მანეთი ხარჯი რო ვიანგარიშოთ, გამოვა რო სოფელი ხუთ კომლზე თვეში 150 მან. ხარჯავს ანუ წელიწადში **ორას თუმანს**. ერთს მაზრაში რო ასი სოფელი ჩავთვალოთ და ერთს გუბერნიაში თუნდ ხუთი მაზრა, მაშინ მთელი გუბერნია მოგების მაგიერ ყოველ წლივ ზარალობს ერთ მილიონ მანეთზე მეტს. მაშინ როდესაც, ამ 2500 დაზარალებულ კომლისთვის, უკეთეს პირობებს რო ხელი შეეწყოს, თვითვეული

ოჯახი ადვილად შესძლებდა, ყოველსავე ხარჯს გარდა თუნდ სამი მანეთის გადარჩენას, მაშასადამე ესენი თავის წილად მთელს გუბერნიას ყოველ წლივ ასიათას მანეთამდე (100,000) ძალა—სიმდიდრეს შესძენდენ—ფულად იქნებოდა იგი შეძენა, თუ სარჩო-საბადებელით.

რაც აქ სოფლის მუშაკზე, მიწის მწარმოებელზე ითქვა, იგივე ითქმის მოქალაქეზე და ქალაქის მუშაკზე. იგივე ითქმის ყოველ წოდების მშრომელ კაცზე და ხელოსანზე, განურჩევლად იმისა კაცი საზრდოს მოსაპოვებლად, ჭკუა-გონებით შრომობს, იბრძვის, თუ ფიზიკურ ჯანღონით.

ღიად, უგუნურ კაცს თუ უხარიან თავის მეზობლის დაბეჩავება, თორემ განვითარებულ გონებისთვის ადვილი მისახვედრია თუ რისთვისაც და რად უნდა ვზრუნავდეთ „სხვითა“ ჯან-მრთელობისათვის და მის კეთილ დღეობისათვის. გონიერმა ადამიანმა კარგად იცის რა დიდი მორალური (ზნეობრივი) და ეკონომიური ძალა-მნიშვნელობა აქვს მთელ კაცობრიობის კეთილ დღეობისთვის თვითვეულ კაცის ჯან-მრთელობას და მის კეთილ დღეობას, კულტურულ განვითარებას.

ყოველად კეთილს, ჭეშმარიტად განათლებულ ადამიანს სხვათა ჭირიც თავის ჭირად მიაჩნია და არა ისე, როგორც ბრძანებს ჩვენებური ბრიყვული ანდაზა: „სხვითა ჭირი; ღობეს ჩხირია“... აქ სიტყვა მოკლედ მოვსჯრად და შეუდგეთ ჰიგიენის შესწავლას—რაც ვისწავლოთ სხვასაც ვასწავლოთ.



თ ა ვ ი I.

ჰ ა მ რ ი.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა... ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერიითა“... შოთა.

I.

დასაბამითი მთავარი მიზეზი სიცოცხლის გაჩენისა და მისი აღორძინება-განვითარებისა არის: 1) სითბო-სინათლე ანუ მზე, 2) სინოტიე ანუ წყალი, 3) მიწა ანუ დედა-მიწა და 4) ჰაერი ანუ ატმოსფერო.

სადაც-კი ეს ოთხი უმთავრესი შემოქმედებითი ძალა ბუნებისა, ზომიერად არის შეკავშირებული, სიცოცხლეც იქ სდულს და გადმოდის. ამ გვარი ბედნიერი კუთხე ქვეყნისა ადამიანისთვისაც მართლაც რო ნამდვილი ედემი და სამოთხეა.

სამაგიეროდ ამ ოთხ სტიქიონიდან აბა რომელს გამოაკლებთ, რომ სიცოცხლის ჩარხი წამსვე არ ჩაიშალოს. ამიტომაც ჰიგიენა მეტად დიდს ყურადღებას აქცევს ამ ოთხსავე სხეულს ბუნებისას, რადგანაც მთელი ჩვენი სიცოცხლე, კეთილ-დღეობა და ჯანმრთელობა ამათ რაოდენობაზე და სიავ-კარგეზეა დამყარებული.

II

გავიცნოთ ჯერ პირველად

ჰ ა ე რ ი.

მთელს დედამიწის ბურთს გარს არტყია ატმოსფერო. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, ისე „დავცურაობთ“ ჰაერში, როგორც

თევზი წყალში. ჰაერი ჩვენთვის ყოველ წამის საზრდოა, სიცოცხლის წყაროა. დაბადების პირველ წამიდან ვიდრე სიკვდილამდე, ჰაერით გვიდგია პირში სული, იგია ჩვენი უკვდავების წყარო.

საზრდოებლად, საკვებათ დღეში სამჯერ ჰამა-სმა ჩვენთვის სრულებით საკმარისია, მაგრამ ჰაერის შესუნთქვა-კი თვითვეულ წამში 15—15 ჯერ გვჭირდება—საათში თითქმის ათას ორასჯერ უნდა შევისუნთქოთ, რომ პირიდან სული არ ამოგვხდეს.

გაგონილი გექნებათ, რომ სახელოვანმა ექიმმა ტანერმა თავის თავზე სცადა: აღმოაჩინა რო შიმშილს (სრულებით უქმელად) ადამიანს შეუძლია სამი კვირა (21 დღე) გაუძლოს, ხოლო უსმელად (მწყურვალი) მხოლოდ დღე-ღამე (24 საათი) სძლებს. აბა ახლა სცადეთ ჰაერის შეუსუნთქველად დიდხანს შესძლებთ განა სიცოცხლეს!? დიდი ქებაა, რომ სუნთქვა ერთს წამს შეაჩეროთ, მაგალითად, მარგალიტის მამებარი მუშა ზღვაში რო ჩადის, როცა ყურყუმელაობს, რაც გინდ გამოცდილი იყოს, ერთს წამზე მეტს ვერა სძლებს უჰაეროთ, უსუნთქველად.

მაშასადამე, თუ კი ყოველ-დღიურ საკმელ-სასმელის არჩევანში ვართ, ნუ თუ იმას უფრო არ უნდა ვცდილობდეთ, რომ ცხოველ-მყოფელი ჰაერი, შინ თუ გარედ ყოველად უბიწო და უმწიკვლო გვქონდეს!?

ჰაერს სხვა ბევრგვარი დანიშნულებაც აქვს. მაგალითად, შესუნთქული ჰაერი თუ ჩვენთვის უკვდავების წყაროა, სამაგიეროდ ამოსუნთქულ, ამოქშენილ ჰაერის უკანვე ჩასუნთქვა სისხლს გვიშხამავს. აი ამ გაფუჭებულს, ჩვენს ამოსუნთქულს წამხდარს ჰაერს, ისევე ჰაერი ანიავებს—ბუნებაში ქსაქსავს, ჰფანტავს, განაზავებს.



გარდა ამისა ჰაერს დიდი გავლენა აქვს ჩვენზე თავის ტემპერატურით (სითბო-სიცივით), იგივე ჰაერი ზოგჯერ ჩვენი მტერიც არის—ერთი ადგილიდან მეორეში გადააქვს ქარს სხვა და სხვა გვარი ჰაერის ბაცილ-მიკრობები—აქ თუ გვაშორებს, იქ შეჰყრის.

შემდეგი ქვემდებარე წერილებიდან უფრო დავრწმუნდებით რა დიდი წვლილიც უძევს ჰაერს სიცოცხლის ჩარხის ტრიალში.

III.

ატმოსფეროს ჰაერი უმთავრესად შესდგება ორი გაზისაგან *) აზოტისა და მჟავბადისაგან. გარდა ამისა ჰაერში შერეულია წყალ ორთქლი და ნახშირ-მჟადა გაზი. აგრეთვე თეზაფი, აზონი, ამიაკი არგონი, თეზაფ-მჟავა, ნახშირ-წყალმბადი და მტვერი, ამასთანავე თვით მტვერში ყოველთვის ურევია: მტვერი

მინერალური ლითონთა და მიწალებთან ანადენი; მტვერი **ორგანიული** ცხოველთა და მცენარეთაგან ანადენი და მტვერი **ცოცხალ ორგანიზმათაგან** შემდგარი. ესე იგი თვალთ უხილავ ცხოველთა და მცენარეთ ქარი აიტაცებს ხოლმე მალლა ჰაერში. ზოგჯერაც არა ამ ქვეყნის მტვერი, ციდან, ვარსკვლავებიდან წამოსული დაცურაობს ჰაერის მაღალ ფენებში.

ამ გვარად ატმოსფეროს ხალასს ჰაერს შეადგენს **მხოლოდ** მუდმივი ორი გაზი: **მჟავბადი** და **აზოტი**. დანარჩენები, რაც აქ ზემოდ ჩამოვთვალეთ, შემთხვევით არიან შერეულნი და ამიტომაც ჰაერში მათი რაოდენობა სრულებით შემთხვევითია.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ავსსნად, ცოტადნათ მანინ, რა არის **გაზი**, რადგან ამის შემდეგ ძლიერ ბეგრვან გვექნება დასახელებული. **გაზი** (ლათინური სიტყვა) ჰაერგვარი სხეულია, როგორც ორთქლი, ოშნივარი, მაგრამ ჰაერით თვალთ უხილავია, ანა აქვს არც გემო, არც ფერი და არც სუნი. მაგალითად **თითონ ჰაერი არის გაზი**.

მე-XVII საუკუნემდე არც იცნობდენ კარდა ჰაერის სხვა ამ გვარ სხეულს. ხოლო

ამ უამად ბუნების მარტივ სხეულთა შორის ცნობილია სულ სუთი გაზი: **მჟავბადი, აზოტი, წყალბადი, ფტორი და ხლორი**. ამათში ფტორი თუმცა უფერულია, მაგრამ ძლიერი სუნი უდის; ხლორი მთავრითადად ფერისა და საშინელი მძიმე, მადრჩობუას სუნი უდის. დანარჩენ გაზებს არც ფერი აქვსთ, არც გემო და არც სუნი. ამ ბოლო დროს მცენიერებმა შემთხვევით აღმოაჩინეს კიდევ ორიოდე გაზი.



მოკლე საუბარი

ანატოლიდან, ფიზიოლოგიიდან და ჭიკეინიდან

„დაკნინების,
დამცირების
ქართულ უღვას მწარე ხანა
და კარგს იზამს,
თავის მიზანს,
თუ მიხედავს ხან-ღა-ხანა“!

დ. თომაშვილი.

„რაც საჭიროა
ჩვენთვის, არ ვიცი,
ხოლო რაც ვიცი,
როდღე გვჭირია“.

ფაუსტი.

ჩემო საყვარელო მეგობარო! ვიცი სმირად მიგიქცევია უურადღებს ადამიანის აკებულებისათვის, მისი ასობის ადგილ-მდეობარებისა და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულებისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი ვერც შეგინიშნავს და ბევრის დანიშნულებას და არსებობის მიზანს ვერ გავიგია. მე მინდა რამდენიმე დაგეხმარო და ორიოდ სიტყვა გითხრა ამის შესახებ. იმედია უურს დამიგებო.

ადამიანის სხეულის უმთავრესს ნაწილს შეადგენენ ძვლები. იგინი წარმოადგენენ მის სიმტკიცეს და სიმკვრეს. ძვლები რომ არ ყოფილიყვნენ, ადამიანს არც დგომა, არც ჯდომა, არც გაულა და არც მუძობა შეუძლებოდა. მთელი მისი სხეული ცემივით რბილი და მოთენთილი იქნებოდა. მაგრამ ძვლები სხეულს იმაგრებენ და ადამიანს ყოველსავე მოქმედებას უადვილებენ. ძვლები ერთობ მაკარი და მკვრივია. ეს სიმკვრივე აისახება მით, რომ ძვლების შესადგენათ შეერთებულია ორგანიული ნივთიერება არა ორგანიულ მარაგებთან (კირთან, ფოსფორთან და სხვასთან).


ძვლის ნივთიერება ორნაირია: მკვრივი და

ფხვიერი. ეს უკანასკნელი დასვრეტილ-დაცხვულია. ფხვიერი ნაწილი მოქცეულია ძვლის შუა გულში, მკვრივი კი გარედან არის გადაკრული და კარგ საფარს წარმოადგენს მასში მოთავსებული ნაწილებისათვის.

ძვლებს ის ადგილები, სადაც კუთები ეკვრის, დაკორძვილი აქვს. მათ ემხვევთ აგრეთვე ნასვრეტები, ზაწაწკინტელა ხერქვები, რომლებშიაც შედიან და გამოდიან სისხლის მიმომქცევი მილები და ტვინის ძაფები-ნერვები. ძვლები ერთათ აცმული და შეწეობილი წარმოადგენენ ჩონჩხს. ჩონჩხში ჩვენ შეგვიძლია შემდეგი უმთავრესი ნაწილები გავარჩოთ: თავი, კისერი, ტანი-გულ-მკერდით, ხელები და ფეხები. თავის ძვალი ყოველის მხრიდან დაფარულს ძვლის კალთოს წარმოადგენს, რომელსაც მხოლოდ წინიდან და ძროში აქვს ნახვრეტები. ამ ძვლის კალთოს თავის ქალას უწოდებენ. ერთის შესვლით კაცს ეგონება, რომ ამ ქალას ერთად ერთი ძვალი შეადგენსო, მაგრამ თუ კარგად დაუკვრებით ნახვით, რომ თავის ქალაში რაოდენიმე სხვა და სხვა ძვალია ერთმანეთთან მჭიდროთ შეერთებულ-შეკავშირბულ ი. მაგ. ცალკე ძვალს



წარმოადგენს შუბლის ძვალი, რომელსაც მარ-
ჯვნიდგან და მარცხნიდგან მჭიდროდ უერთდუ-
ბა სათუთქლის ძვლები, ზევიდგან კი თხემი.
თხემი უკან შეერთებულია კეუის ძვალთან,
რომელიც სახსრით კისრის ან ქედის ძვლებს
უერთდება. ეს ზემო ჩამოთვლილი ძვლები



ადამიანის ჩონჩხი.

ადამიანის წარსებობის ჰირველ ასაკში ერთმა-
ნეთთან თვალსაჩინოთ არიან შეერთებული.
მათ შუა ბლანდია გავლებული, რომელსაც
უიფლიბლანდს ეძახიან. ეს ბლანდი შემდეგ-
ში, როცა ადამიანი იზრდება, ძვლად იქცევა,

გაქვავდება, და ისე მჭიდროთ ერთებს ძვლებს,
რომ მათი დაშორება შეუძლებელია. — ეს
ძვლები ერთი ერთმანეთში ხერხის კბილები-
ვით არიან ჩამჯდარნი და შეხორცებულინი.
უმთავრესი ბლანდი გაივლის შუბლის ძვლის
დასაწყისიდან თხემის ძვლებ შუა და უწყვეს
კეუის ძვლის დასაწყისამდე. ამას ისრის მსგა-
სი ბლანდი ეწოდება. წინა და უკანა თავთან
ამ ბლანდს აქვს თავისუფალი ადგილი, რომე-
ლიც ახალ დაბადებულ ბავშვებს კარგად ემხნე-
ვით და რომელიც სამს და ოთხ კუთხფანს
წარმოადგენს. ორი წლის შემდეგ ეს ადგი-
ლები ძვლით ივსება და მერმე აღარც კი ემ-
ხნევა.

ზემოთ ჩამოთვლილ ძვლებს გარდა თავის
ქალაში კიდევ შემდეგი ძვლებია: ზეგითა ვების
ძვალი, ლოყის და ცხვირის ძვლები; თავის
ქალაში შიგნით მუცთი ცხვირის მსგავსი ძვალი,
რომელსაც ცხავს უწოდებენ. სოლის და სხ-
ნისის მსგავსი ძვალი და სხვა და სხვა მცირე
ძვლები; ძირა ვების ძვალი, რომელიც უგრი-
მალთან იწყება, წინისკენ მოდის და ნიკაპთან
თავდება. უგელა ამ ძვლებს კარეთ კანი მკვრი-
ვი აქვთ და შიგნითა კი ფხვიერი, ღრუბლის
მსგავსათ დასურვეტილ-დაცხავული. ამ ნასუ-
რეტში იმყოფება წითელ-უგითელი ქრნის
მსგავსი ნივთიერება, რომელსაც ძვლის ტვი-
ნი ჰქვიათ. აქვე გადის სისხლის სადენი მი-
ლები და ნერვები (ტვინის ძაფებში).

მე ვთქვი, რომ კეუის ძვალი კისრის ან
ქედის ძვლებს უერთდება მეთქი. ქედის ძვალი
შვიდია. იგი კეუის ძვლის დასაბამიდგან იწყ-
ება, ერთმანეთს სრტილებით უერთდებიან და
თითქოს ერთი მუცრეზე სსედან—ისე არიან
დაწყობილი. ამ ძვლებში ჰირველ ძვალს „ატ-
ლანტი“ ჰქვიათ. შემდეგ ძვალი მათში ეგვ-
ლანზე უფრო დიდია. მისი უკანა ქიმი ამო-
ზიდულია კისრის და გულმკერდის ხერხემლის
ძვლების დასაწყისში და ადვილად ნახავთ თუ
ამ ადგილზედ უკნიდგან ხელს მოისვამთ.

ხერხემლის ძვლები, ან ხერხემლის მძივები, ბევრია. ამათში თორმეტი ხერხემლის გულ-მკერდის ნაწილს ეკუთვნის, ხუთი წენისას, (5) ხუთი გავისას, და ოთხი კუდუსუნისას. გულ-მკერდის ხერხემლის ძვალს აქვს ტანი და ქიმები, ერთი იმათგანი უკან არის გაშვებული და ორი კი განზედ. ამთ ხრტილის და სახსრის საშუალებით უერთდებიან ნეკნები, ან გვერდის წკნელები, რიცხვით თორმეტი. ეს ნეკნები იწყება გულ-მკერდის ნაწილის ხერხემლის პირველი ძვლიდან და მოდის წინ გულის ფიტრისაკენ. იგინი დაკორძალი და ცოტათი რკალივით მოხრილ-მოღუერტილია და შვიდი იმათგანი კაკნატელათი გულის ფიტრის მიემბის, სამი ერთმანეთს ხრტილ ნარევი სახსრით და ორიც თავისუფლად დათავდება.

ცოტა სხვანაირი შენობა და მოყვანილობა აქვს წენის ხერხემლის ძვლებს, მაგრამ ამაზედ აქ აღარ შეხერხდება და თქვენ ურადლებას მივაქცევ უმთავრესად საჯდომის ან გავის ძვლის შენობა-მოყვანილობას. გავის ძვლები, როგორ ზევითაც ვთქვით, ხუთია. იგინი ერთმანეთს არიან მიხორცებულნი. ეს შესორცება მეხუთმეტე წელიწადზე იწყება და თავდება 25-ზე, ამათ ცრუ მძივები ჰქვიათ, რადგან ნამდვილი ხერხემლის მძივის მარტო მსგავსება აქვთ შერჩენილი. გავის შიგნით პირზედ არის ორი წევა ხერხელებისა, ოთხ-ოთხი თვითუფლის მხრით; ეს ხერხელები უკანაც გადაან. უნიდგანვე გავის ძვალს აქვს 3--4 ბორცვი, რომელიც ოდესღაც აქ უფოთელ ძვლის ქიმებს მოგვაცოცნებენ. გვერდიდან გავის ძვალს უერთდება მენჯის უსახელო ძვლები, ზევიდან წენის ძვლების და ქვევიდან კი კუდუსუნი, კუდუსუნში ოთხი ძვლია; ერთ იმათგანს, რომელიც ეველასე ზევით სძევს და დიდია, ორი ცქინტი აქვს იქით აქვთ გაშვებული, რაც ხერხემლის ძვლების ქიმებს მოგვაცოცნებენ. დანარჩენი ძვლები აღარ

გვანან ხერხემლისას. ეველასე ძვლებშიც ვეფის ძვლიდან დაწყებული, ქედისა და სხვა ძვლებში თვით კუდუსუნამდის არსებობს ერთი ხერხედი, რომელშიაც მოთავსებულია ხერხემლის ტვინი.

გავის ძვალს მარჯვნიდან და მარცხნიდან უერთდება მენჯის უსახელო ძვლები, რომლებიც წინით დაბლისკენ წამოხიდულნი ჭიპის გასწვრივ შეერთდებიან და აკეთებენ რკალს, ხიდის კამარის მსგავსათ. მთლად ეს ადგილი წარმოადგენს ძრო გავარდნილ უსწორ-მასწორად ჯამს, რომელსაც ნაპირები ორი მხრით ძალზე გადაქსნული აქვს და ერთი კი ჩამომტვრეულია. ამ მენჯის უსახელო ძვლებს უერთდება სახსრით ტაბუნის ან თეძოს თავი, რომელიც კვირისტავით მრგვალია. მრგვალ თავს დაბლა მისდევს ეული და შერმე კი მთელი ტანი თეძოს ძვლისა. თეძოს ძვლი დათავდება მსხვილი და დაკორძვილი თავით, რომელსაც მუნღის სახსარში წვივის ძვლები უერთდებიან. ამით სუეველას წინიდგან მუნღის კვირისტავი აფარიათ. წვივში ძვლი ორია: ერთი მსხვილი და მეორე წვრილი და ცოტა მოკლე. იგინი კოჭისა და ქუსლის ძვალზე არიან მიმბულნი. ამის შემდეგ იწყება ფეხის ტერფი. ტერფში რამდენიმე სხვა და სხვა ზომის და მოყვანილობის ძვლია. ეფველივე ეს თავდება ფეხის თითებით.

მაგრამ ახლას იხვე ზევით უნდა დავბრუნდე. მე ვსთქვი, რომ გულ-მკერდის ხერხემლის ნაწილს ნეკნები უერთდება მეთქი. ამ ნეკნებზე უნიდგან და ზევიდან ზურგში დაკრულია ორსავე მხარეს ფართე ძვლი, რომელიც ეფველს თქვენთაგანს უნახავს და რომელსაც ბეჭს უწოდებენ. ბეჭს სამკუთხეოვანი ფორფიტის სახე აქვს. შინაგანი შეხსენილი ნაწილით იგი ნეკნებზე არის დაყრდნობილი და კუთებით ეკვრის იმათ, ზევითა, ზურგის ნაწილი თავისუფალია და აფრთთ ორ ნაწილად განიფოფება: ბეჭის ზურგის ზევითა და ბე-



ჭის ზურგის ქვევითა ნაწილად. ბეჭის ნაწი-
რები ყოველგან ერთნაირი არ არის. ზევითა
ნაწილი უფრო სქელია და აქვს ამონაჭერი
ღაფიწის ან კიბკიბის შესწერებლად. ღაფიწი
იწეება ბეჭთან, მოდის და უერთდება გულის
ფიტარს. იგი ცოტა დაგრეხილ-გადგეგრადია
და აქვს კარძები კუთების მისაკრავად. ღა-
ფიწი მხარ-ბეჭს ამაგრებს და მუდმივ თანას-
წორობაში აყენებს მას. ვის თქვენგანს არ
უნახავს კიბკიბა გატეხილი კაცი, რომელსაც
მკლავი ჩამოვარდნილ-ჩამოკიდებული აქვს!
ბეჭს აგრეთვე ბეჭის თავთან უერთდება მხა-
რის ძვალი. ამ ძვალს იდაფში შეუერთდება
მკლავის ან წერათის ძვლები; რიცხვით ორი:
მაჯისა და წერათისა. ამთ კიდევ მაჯა, სდაც
რამოდენიმე სხვა და სხვა ზომის და მოყუ-
ანილობის ძვალია, მერმე ხელის ჩონჩხი და
დაბოლოს კი ხელის თათები.

ყველა ეს ძვლები, სხეულში მოთავსებული,
შეერთებული არიან ჯერ სხვა და სხვა ნაირი
ხრტილით, მერმე სახსრის ბუდით, რომელ-
საც კარედგან მაჯარი ხმელი ძარღვები არტ-
ეია და ბოლოს კი კუთები. სახსრის ბუდეში
მუდამ იმყოფება წროლი, სითხე, რომელიც
ძვლების ერთმანეთზედ წოდას და ხახუნს ამ-
ცირებს და მერმე მათ მოძრობას ყოველ
მხრივ უადვილებს. თქვენც ხომ ურმის ღერძს
ქონს ან სახსრს უსვამთ ადვილ სატოკა-
ვით!

— მე ვთქვი რომ ძვლებს სხვა და სხვა
სახე და მოყვანილობა აქვს მეთქი, და მართ-
ლაც თუ კარგათ დაუკვირდებით, თქვენ შეამ-
ჩნევთ, რომ ზოგი ძვალი გრძელია და წვრი-
ლი, ზოგი მოკლე და მსხვილი და ზოგიც
ბრტყელი ფირფიტასავით. ამასთანავე უხდა

შეგნიშნათ, რომ თვით სერხემალი ღარვით
სწორი კი არ არის, არამედ მიხრილ-მოხრი-
ლი დაზნექილი. აგრეთვე ძვლის თავი ყო-
ველს სახსარში მსხვილია და ტანი კი ვიწ-
რო. რათ არის ეს ასე?

უნდა გითხრათ, რომ სწორეთ ამაში გა-
მოიხატება ბუნების სიდიადე და გონივრობა.
მან ისე მოაწყო და განამზადა კაცის აკებუ-
ლებაში ყოველივე, რომ უკეთესი აღარ შეიძ-
ლება. იგი შეეცადა, რაც შეიძლება ცოტა
დაეხარჯა და ბევრი კი გაეკეთებინა. და მართ-
ლაც, ადამიანის სხეული ხუროთ-მოძღვრების
და ტეხნიკის უდიადესი ნაწარმოებია. აქ სავ-
სებით ნახმარი და დაცულია ის კანონები,
რომლებიც ხუროთ-მოძღვრებაში და ტეხნიკა-
ში ახლაც ყოველს ნაბიჯზე ისმარება.

ხერხემალი მიხრილ-მოხრილია, ძვლების
თავები დამსხვილებული, მისთვის, რომ უფ-
რო კარგათ აიტანონ სიმძიმე ჯერ თავის
თავისა და მერმე გარეშე. მაგრამ ვინაა,
რომ ადამიანი რამდენიმე ათეულ ფუთ ჭიკრს
ატარებს თავისს ბეჭებზედ. რომ სხეული კერ-
გათ არ უფთვილიყო აკებული და მოწყობილი,
იგი ხომ ერთ წამში დაამსხვრედა და შტვრად
იქცეოდა!.. მაგრამ დიდი არის ბუნება და
საკვირვლ არიან საქმენი მისნი. ამის შესა-
ხებ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ვითარ
განსდიდნე საქმენი შენნი და ყოველივე სიბრ-
ძნით ქმენ!“

ამას შემდეგშიაღ დავინახავთ.
ექიმი ევ. გ. ლოსაბერძე.
(შემდეგი იქნება)



ეპიკური ხმა ჰირსე შეყვინა

შემოდგომის ღამე იყო. ჟანგიან-ღრუბ-ლიანი ცა ჩამოსწოლოდა გატიტვლებულ არე-მარესა და ცრემლებად აღნებოდა. ეს ის ცრემლები არ იყო, რომლითაც გაზაფხულისას ალიონის აწვევის უმაღლეს მოვლას ხოლმე მწვანეთ აფოფინებულ წალკატსა. არა! ეს იყო სევდიანი, კაე-შნიანი, რომ მით გამოეტირა დაკარგული ბედნიერება, ფირუზ ზვირთებში მოკისკასე გაზაფხულის მშვენიერება.

ქარი გაშმაგებით ჰქროდა. ეხეთქებოდა ხეებს, სახლებს, რომ ძირიან-ფესვიანად ამოეთხარა, წივილ-კივილით შეესვა ფრთებზე და დასასამარებლად გაექანებინა. ხან ბრძოლის გეგმასა სცვლიდა: მუდარით მიჰმართავდა სახლში შეეშვათ, რომ ჩაჰკონებოდა თავის უსაყვარლეს სტიქიას—ცეცხლსა. მაგრამ ისევ მალე ჰკარგავდა მოთმინებას და შეებრძოდა ხოლმე განწირულებითა.

ყველაფერი შავ, მოკუმშულ სილუეტებად გამოიყურებოდა. ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც სიცივისაგან გული უთრთოდა მაგიდას მისჯდომოდა.

ოთახში სანთელი ბჟუტავდა. შავ ფონზე მქრქალი სხივები ცოდვილთა სულეზივით დაფარფატებდნენ. ჰაბუკი ღრმა ფიქრში იყო გართული. პრტყელი და მაღალი შუბლი ნაოქებით ჰქონდა დაღარული, რაც ამტკიცებდა, რომ მის თავზე ბევრჯელ დაეჭუბა სევდის გრიგალსა. ცის ფერი თვალები არ მოძრაობდნენ, ერთ წერტილს მისჩერებოდნენ. ღრმისულღრმესი იყო მათი გამომეტყველება. საოცარი სისწრაფით რბოდნენ ხან სივრცის

და ხან კაცობრიობის მიერ განვლილ ჩაწყვდიადებულ საუკუნეთა მთების გადაღმივ.

ჰკითხულობდა „მანფრედს“, რომელიც ჰიმნია უიმედობისა, ცივი სასოწარკვეთილებისა. პოემის თვითეული სტრიქონის საფეხებით შეესაბამებოდა მის ობოლ სულის კვეთებას, გულის განწირულ კვნესას. ისედაც დასევდიანებული შეჰბოჭა კაეშანმა, რომელიც გამოწვეულია არა კერძო, პირადი ცხოვრების უკმაყოფილებით, არამედ ცხოვრების საფილოსოფო თვალთ განქვერტით. ისიც იცოდა, რომ მისი ფიქრები ახალი არ იყო. უსრულებელ ჟამთა სრბოლაში გაისმოდა ხან კვნესა გოდება, ხან კი წყევა-კრულვა უხილავი ძალისადმი, რომელიც განაგებდა მათ ცხოვრებას და იგინი კი ვერ მისწვდნოდნენ, ვერ გაეგოთ სათნოება იყო დასაბამის შემოქმედი თუ ბოროტება. ელვის სისწრაფით გაურბინეს მათ სახეებმა, რომელნიც თავ-დავიწყებით ეძიებდნენ ცხოვრების მიზანს, მაგრამ ამოვების მეტს ვერასა ჰპოვებდნენ. დიახ, ცხოვრება ცდუნება ყოფილა. ქვეყნად არა არს რა ყავარჯნად იხმარო, ჰპოვო სულის საყუდელი. არ არსებობს ფაქიზი რწმენის წმინდა ტაძარი, რომელიც ესიზმრებოდა ჟამსა ყრმობისას. ვაჰ, რა მწარე ყოფილა ამოვებათა ამოვების შეგნება.

ბუნება? ბის წიაღში მაინც ვერ ჰპოვა ადამიანმა მიზანი? ოცნების ვარდი ნუ თუ იქაც ვერ გადაფურჩქნა. წყეულიმც

გაოხრებული ბალი

მთი უყურეთ ჩემს ტურფა ბალსა
ნაოხარს-ლა ჰგავს,— უპატრონოსა!..
წყაროც დამშრალა უკვდავებისა
რო ჩუხჩუხებდა ბალის ბოლოსა.

*

ჩამქნარ-ჩამდნარა მცენარეები:
ვარდნი, იანი, ხენი მყოვანნი.
გამხმარს ხეებზე, დამქნარს ბუჩქებზე,
სხედან, ჩხავიან ყვავნი, ყორანნი.

*

აღარ სწვევია ჩემს ბალს ბუღბუღი,
თუმც გაზაფხულმა სუფრა გაშალა;
არ დასტიკტიკებს თავზე მერცხალი,
გადაკარგულა, ისიც გამწყარალა.

*

უფროთხიან ჩემს ბალს სხვა ცხოველებიც
როს საქეიფო არა-რა სდნება:
არც თვალს ახარებს და აღარც სმენას,
ბალის ნაყოფით ველარვინ ძღება.

*

ერთი უყურეთ ვარდის ფესვებში
მოურიდებლად გველები ძვრება!..
ვაჰ, რა ძნელია შვენიერება
ოდეს ჩვენ თვალ-წინ იღუპვის, კვდება.

*

მშველელის ხმალი ამოწეული
აღარ ამოდის, ქარქასში რჩება..

გველებით წნული ღობე ავლია
ბალში გადასვლა მძაგს, მეძნელება.

*

ვინ იღვა თავსა შეჩვენებულმა
აღსავსემ გესლით, ბოროტებითა
და ჯოჯოხეთად გარდაქმნა ბალი,—
ელემი თავის მოქმედებითა?!

*

სიმახინჯეა ამისი მქნელი
და ვერაგობა გულის, ტვინისა
ბოროტებისგან შეზელილ არსთა,
ნაყოფი წყეულთ ბილწის ჟინისა.

*

შორით ფუცქერი და ცრემლსა ვაფრქვევ,
ვერ გავიყვანე მილი ცრემლისა
მის მოსარწყავად, განსაცხოველებლად
თუმცა მკლავს მუდამ ნდობა შველისა.

*

მიმქრალი თვალი ჩემზედა ჰრჩება,
ჩემგან მოელის იგი შველასა,
ვაჰ რო ველარ ვშველ... თქვენ ჭირსა გპა-
გემუდარებით, ძმანო, ყველასა: რავთ
უშველეთ რამა, თქვენი ჭირიმეთ,
ჩემის გულის და გონის მწველასა!..

ვაჟა-ფშაველა.



იყოს იგი წყეულიმც! სწორეთ იგია ადამიანის უსაზღვრო ვაების, დაუსრულებელი გოდების. განა ეგ არაა, რომელიც ჰხიბლავდა ადამიანს? აღმოსავლეთის ლეგენდები განა მაგის მიერ არ იყო ნაკარნახევი? განა ელლადა არა აკვანი გრძობის წარმტაც მითეა-ზღაპრების? ელლინს მთიებით მოჰქედლილი ცა ბედის სიმბოლოდ ეგონა. მგოსანნი მთვარიან ღამეს მათი მზერით სთხზავდნენ ლეგენდებს საოცნებოს, ფიქრთა წარმტყვევნელს. ტყეში ნიმფებისა და ფერიების ქვეყანა ეგონათ. რამდენჯერ მოუჯჯადოებიათ ამ ტყის ასულთ გრძობის მეუფე, რომ გამოჰქცევია ფიქრ-ცრემლიანი, სოფელს უღმობელს, ცოდვის სავანეს. თუ სოფლად ხმაურ-ქოთქოთი მეფობდა, იქ მღუმარება, ყრუ მღუმარება განისვენებდა მარადისობის ფრთებზე. ტყის სიხშო მსწრაფლ შემოარტყავდა გაღავანსა და ჩაიხუტებდა. ფოთოლთა შრიალით უმღერებდა მგლოდიას, რომელიც არ მოიპოვებოდა თვით ბეთჰოვენის სიმფონიაში.

ადამის ძეს ეგონა, თითქოს აგრუხული ტევრი ჩასჩურჩულებდა.

კაცთ ნათესავი გამთიშებია, არ მეკარება, რადგან არა სწამს ჩემი მნიშვნელობა, ვერ განიცდის სიმშვენნიერეს გრძობისას; რჩეობს ბრძოლაში განვლოს დრო, ვიდრე დამიმეგობრდეს, აღმადლდეს სულით. რჩეობს შურსა და ღვარძლიანობას, რჩეობს ყინულის ველზე დალიოს სული, ვიდრე მე მეყმოს, შემეთვისოს. ჩემი წიაღი იაკვანოს ციურის ხმებით ჩემის ნიმფების უკვდავებასა ეზიაროს, იმარადისოს.

ღიად ბევრჯელ მოუხიბლავს ბუნებას ადამიანი, რომელსაც მოსწყინებია ერთფერობა, ერთ სახეობა და მიუმართავს მის მშვენებისთვის. მაგრამ ვაგლახად ფარ-

საგად თვალი ერთხელაც კი ვერ მოუღვლია მიდამოსათვის, რომ ის ბუნება, რომელიც საოცნებო თაიგულად იყო გადაფურჩქენილი, გატიტვლებულა, სულმთლად პარტახს დამსგავსებია, გაყვითლებული ფოთოლნი, წარმტაცი შრიალის ნაცვლათ, ქარს ევედრებიან მძლავრად მოჰბეროს, აიტაცოს მადლა, სულ მადლა, რომ ერთხელ, ერთხელ კიდევ შეჰხედოს მოკაშკაშე მზეს და სამუდამოთ გადაეშვას თვალ-უწვდენ ხევში.

ოქროვანი თმიანი ფერიება რაღა იქმნენ? სადღაა მათი მოქნილი რხევა?

რატომ აღარა სწნავენ ყვავილთა გვირგვინს? რატომ აღარა წკრიალებენ ოლიმპის სიმღერითა? შემდეგ გაჰხედავს ტბასა ლერწმოვანს ვერცხლის ზვირთებით მოლივლივს, მოციმციმარეს, შეჰხედავს სწრაფად გედთა შორის ქალწულ დიანას, რომლის სახეს გადაჰფარებია სიკვდილის ფერი. დიანა ერთხელ კიდევ მიმოავლებს თვალს გრძნებით მთვლენამე ტბას, ჩაიქვითინებს ვით გამწყდარი სიმისა თრთოლა და სათანელის ისრისაგან განიგმირება.

მსახვრალი ხელი კვლავ ძალუმთ მოიმართება.

დემონთა ცეკვა და ორგია გაიმართება.

განწირულის ხმა სათუთ გულში კვნესით ჩაკვდება.

შემოქმედების ძალთა-ძალო, თუ კი შენ მარალა ყოველივეს დასაბამი ხარ, თუ კი შენგნით არს ეს ქვეყანა ხილულად ქმნილი; თუ კი ედემი აყვავე ოდესლაც, სადღაც. სად არის იგი? რატომ ვერ ვპოვეთ?

რათ ვერ აღვმართეთ ბედის გაღმა რწმენის ტაძარი? რათ ვერ ავანთეთ სიყვარულის წმინდა ლამპარი, სულთქმით რათ დავძრწით უდაბნოში მიუსაფარი?



შებრალებისა ბჭემდის კენესა ნუთუ არ სწვდება?

არა! სტყუიან, დიახ ურცხვათ სტყუიან ყველა ქურუმები, წინასწარმეტყველნი.

„შენ მას დაუწყებ ძახილს და არ გიპასუხებს“ — ვით მიპასუხებს, ოდესაც იგი ულონო არის ჩაწყვდიადებულ ჯოჯოხეთის მეუფებასთან.

„მწუხრისას განისვენოს ტირილმან, ცისკარსა სიხარულმან“ — ო ხა, ხა, ხა, ხა, რაოდენი ცდუნებაა შიგ, რაოდენ ჟამსა უნუგეზნია მაგ იმედებით. ბოლოს კი... ბოლოს გაჰნადგურებია იმედის მთები და გულის წიაღში სისხლ-ნარევსა ცრემლიად ჩამდნარა.

რა თავში ვიხლი ამ ცისკარსა, თუ კვლავ შესცვლის მწუხრის ბინდ-ბუნდი.

რაში მჭირია სიხარული, გაბედითდება.

ხალხო, ეჰ ხალხო, რისთვის უნდა იყვნეთ მხიარულნი?

„მწუხრისას განისვენოს ტირილმა, ცისკარსა სიხარულმა“ განა წყვდიადში ეგ ცისკარი ისე არ ჰქრება, ვითა კვამლი ცისა სივრცეში? მაშ, რად იტყუებ ადამის ძეგ, თავს ფუჰ ოცნებით, მიპასუხევით რას მოვლით არ ყოფნის მხრიდან?

სდუმდა ყოველი. მხოლოდ გრიგალი ველურ მელოდიას გაჰკიოდა... მასში ისმოდა ლუციფერის გრძნეული ხარხარი. უნდოდა მისთვის ბანი მიეცა, მაგრამ ყარბი ხმა პირზე შეეყინა...

დ. თურდოსპირელი.

კიევი.

20 აქტ. 1911 წ.

მქსპრომტი

(უძ. B—ix-ს)

რითმებისგან აგიკინძავ კუბოს ჩემსა სულის ტრფიალს, თეთრ სუდართ შემოგარტყავ მთვარისა და ვარსკვლავთ ციალს სათუთ გულის ძაფებისგან დავწნავ შენთვის უხრწნელ გვირგვინს ბეატრიჩებს მგოსანსავით აფჩქურდები, მოვრთავ ქვითინს ცის ეთერში აგიტაცებ თეთრ ღრუბლებზე დაგასვენებ მწუხარების სიმფონიას გიგალობებ, გიფსალმუნებ.

დ. თურდოსპირელი.

კიევი.

22 დეკ. 1911 წ.

ქალთეთერი და სირინოზი*)

შავი ზღვის პირს სალი კლდეა
ჩამოთლილი სიპი ქვისა,
ზედ კოშკა ამართული.
კოშკი ქალთეთერისა.
ცალ მხრივ ტყე აქვს მოკაბდული
მეორე მხრივ ზვირთი ზღვისა,
ჯერ იქ არვინ არ ყოფილა
გარდა ქალთა ეთერისა.
აქ იყო და აქ სცხოვრობდა
მარტოთ, მარტო, მხიარული,
ზღვას ჰფერავდა, ანათებდა
სხივი მისი გაბადრული.
თვალსა სჭრიდა ელვარება,
კონცხზე მთვარე ტრიალებდა
და ქვევით კი ზვირთი ზღვისა
ბობოქრობდა, ღრიალებდა.
ეს შავ-ბნელი ზვირთი იყო,
ფიქრი იყო შავი ზღვისა
და ამ ზვირთის მონაფეთქი
კოშკია ქალთ ეთერისა.
მის გარშემო ქარიშხალი
ღმუილ-კენესით სცემდა ფრთებსა
და მთის შვილი, მთიდან ნატაც
ვარდს ესროდა ყვავილებსა.
თვის კოშკზე კი ქალთეთერი
იდგა დინჯათ, მოელვარე,
სალხინოთ და სააშკოთ
ჰყვანდა მხოლოდ ერთი მთვარე.
და როს დილით ტალღის ფრთაზე
მოდგებოდა გულ-ზვიადი
იმის ყელის განთიადზე

იღვიძებდა განთიადი!
მთის ქელიდამ, ქალებილამ,
მინდვრიდამ და ველებილამ,
შორილამ და ახლოდამა,
კილით-კიდე, ყოველ მხრილამ,
იქით ისრის ფრთებით ჰქროდა
ყველა ჩიტი, ყველა სირი:
„ქალთ ეთერო, ქალთ ეთერო!“
ეხსნებოდა ქვასაც პირი.
ლომი კაპარკ მოზიდული
ანებებდა თვის მსხვერპლს თავსა,
სიყვარულით დაბნედილი
უყურებდა სანახავსა.
და ვეფხვი კი დაზნექილი
ვერ ჰბედავდა კამარასა,
ეთერის სხივს თავს აყრდობდა,
ყურს უგდებდა ნანინასა.
მხოლოდ მტრედი, მხოლოდ მტრედი
სადმე ქალას ლულუნებდა
და მზის მხრებზე დალალ-კავებს
სინანულით უყურებდა.
უყურებდა მამაც არწივს,
კოშკის თავზე მოტრიალებს,
ძირს ეცემა მკერდ ნაგმირი,
სისხლი მიდის, მითქრიალებს.
და მიმინოც ფრთა ნაწური,
მამაცი და გამბედავი,
ვით აწყდება კოშკის წვერსა,
უბედური და ღლე-შავი.

მიტომ არის ეს სალი კლდე
ღღესაც სისხლით შეღებილი,
მიტომ ისმის ზვირთებილამ,
კვენსა, ვმინვა, მოძახილი.

*) პოემიდან გამოტოვებულია პროზათ
დაწერილი შესავალი—პროლოგი.



ღიახ კოშკზე, ლალის კოშკზე
 დღესაც სცხოვრობს ქალთეთერი
 და თვის სახის სახატავათ
 სარკე უდგა მშვენიერი.

ღილით ადრე ზღვისკენა ჰშლის
 ჩამოვარდნილ დაღალ კაგებს,
 ზღვის მხეფეებით ტანს იმოსავს
 და იმ სარკეს ხელთ იკაგებს.
 ვინ დაჰხატავს დაუხატავს,
 თუ არ თვითონ მისი სახე,
 ქალთეთერის დამხატავიც
 მე მხატვარი ვერა ვნახე!
 თრთოლვია, თუ ღიმილია,
 თუ ზვირთების გმინვა, კვნესა,
 გამოცანათ აწერია
 მხოლოდ ერთათ-ერთ სარკესა!

იყო ღამე, ტურფა ღამე,
 ქალთეთერულ მოკაშკაშე,
 მთვარე მის კოშკს მიჰპაროდა,
 ტკბილ სიზმრების მოგანგაშე.
 და ვით მთისა ნაკადული
 ჩაჰმღეროდა ყურში ზღაპარს,
 თან გულ-მკერდზე აკვდებოდა,
 ვით ფარვანა წმინდა ლამპარს.
 მოუთხრობდა: „ქალთეთერო,
 აღდექ, აღზედექ მოისმინე
 და იგი ხმა, ის ტკბილი ხმა
 სარეცელად მოიფინე.

ტალღა ტალღას ჩოგანსა სცემს
 და ნიაფი სიმსა ჰკოცნის,
 ეს ხმა ღმერთთა გალობაა,
 ეს ჩანგია სირინოზის.
 ცას შემდგარან ვარსკვლავები,
 დაუხრიათ მთებს ოავი ძირს,
 ეს ხმა ღმერთთა გალობაა,
 ეს ჩანგია სარინოზის!

სირინოზი

ზღვის მომღერალს მემახიან
 და ხმელეთის შემამკობელს,

ქარიშხალის მოციქულს მგლობითეას
 დასაბამის გამომცნობელს.
 უკვდავების ყვავილი ვარ
 და სიკვდილის ცრემლი მწარე,
 სიხარულის ღიმილი ვარ
 და სევდების მგლოვიარე.
 დღე და ღამე, რომ შეიქმნა
 იმ წუთიდან მოსდევს ტალღებს,
 ძირს ზღვის ქაფურს ვებრძოლები
 მაღლა ცაში ყორან-ღალღებს.
 ზღვის სიმდიდრე სულ არ მინდა
 და თუ ვკრეფავ მარგალიტებს,
 ეს მიტომ, რომ გადუყარო
 გემზე მოქიკიკე ჩიტებს.
 მე სხვა მინდა, სხვა მწყურიან:
 ბრძოლა, თრთოლა, გულის ლევა,
 ხან ყივილი ზღვის ფაფარზე,
 ხან უფსკრულში გადასევა.
 ერთ ზვირთს მიტომ ვაპობ შუა,
 რომ მეორეს გადვუარო,
 წინ აღმიდგეს ცა, ხმელეთი,
 მე ბრძოლა არ ვიუარო.
 ერთი არა ჩემი ფიქრი,
 მოსახვეჭი და სალარო,
 იქით! სივრცეს კიდევ იქით
 გზა გავკაფო მე სალარო.
 საჭე ჩემი მხოლოდ ერთი
 ზღვის ლერწამის ჩანგი არი,
 იმის გარე მეგობარი
 მე ვერ ვპოვე მეგობარი.
 შეუპოვრის სიმი დავექან,
 ამოვგრიხე, ამოვსანთლე
 და ჩემ გულის იანბაზში
 ჩაუშვი და ამოვნათლე.
 თან ცრემლები მიმაქვს ზღვისა,
 მის ნაღველი, მის ჩივილი,
 მესმის, მესმის წიაღიდან
 მისი კვნესა და ტკივილი.
 წავიღებ და იქ გადავიტან
 სადაც გდემლს სცემს სიხარული



კიდევ იქით, სივრცის იქით,
 იქ ღმერთია ამართული!
 ეჰ, ყორნებო, რას დამჩხავით,
 ვერ მიჰხვდებით თქვენს საწადელს,
 მე ბინდშიაღ კარგათ ვხედავ,
 ღრუბლებს იქით დიად კანდელს.
 თქვენც ბაყაყნო, რას მომყვივით,
 სასაცილოთ ბაყაყების,
 მე გული მაქვს გულთ-მისანი,
 მას გზა-კვალი გაეგების.
 და შენ გველო, ჩემო გველო,
 მოსისინე, ნესტრიანო,
 ვფიცავ ისარს, შენსვე ისარს,
 რომ თავი არ ვიზიანო.
 ზღვის ყვავილო, შენ გამომყე,
 მო შეგაბა ჩანგის ყელზე,
 და თქვენ გედნო ზღვის ფრთოსანო
 საყვარელნო საყვარელზე,
 ახლო მოდით, გადაგოცნოთ,
 გამომყევით ზღვის ტალღებზე;
 ბროლის ყელი გადამადეთ
 მარმარილოს მაგარ მკერდზე.
 სიმი მღერის, სიმი კვენისი,
 სიმი თრთის და სიმი ღელავს,
 შორს ლაყვარდის დასაქანზე
 წითლათ-ყვითლად მთვარე ელავს.
 ის გავეზავნე მის საძებრათ,
 მეც იქითკენ ვეშურები.
 ან მივახწევ გულის წადილს,
 ან უფსკრულში ჩავინთქმები.
 შენ გუშავო, ღამის მნათო,
 გთხოვ მას თავზე დაანათო,
 რაც შენს სხივებს დავაბარე
 უამბო ღა ეკამათო!

მთვარე

ქალთეთერო, ქალთეთერო,
 სირინოზი აღგზნებულა,
 ჩანგი მისი შორიღამ შენ
 გეიადონ-გებულბულა;

აწ შენ გედებს, შენ დაგვეტებს
 შენ კოშკის ძირს დასტრიალობს,
 უკვდავების წყაროს გულში
 ჰსურს სიმები ამოავლოს.
 ჰსურს შენს კოშკზე კოშკი დადგას,
 შენივე გულის ჰანგებისა,
 ზედ სიმები აქვითინოს,
 სიმები ზღვის ტალღებისა.
 ჰსურს შენს მკერდზე დადგას ჩანგი
 და იქიღამ ზღვას დასძახოს,
 უკვდავების წყაროს ჰანგით
 დაატკბოს და დაამოს!

ქალთეთერი

მთვარე, მთვარე, თავთ-ბალიშო,
 ზღაპარი ვაქვს მეტად ტკბილი,
 გავიღვიძე და ზღაპარი
 თვალ-წინ მიდგა მე ნამღვილი.
 ზღვის ყვავილი მართლაც მღერის,
 ბანს გედები მისძახიან,
 ბუმბერაზი მთა-გრეხილნი
 მის ტკბილს ხმაზე თავსა ჰბრიან.
 ჩემი ხომლი—შუბლის ჯილა
 დაშვებულა ზღვის წიაღზე,
 სჩანს, რომ ჩანგი ეამება,
 ეძინება მის წყრიალზე.
 კოშკის წვერზე რომ ვარდი სდგა,
 აღარ მიქნევს ფურცელს ღაწვზე,
 ვარდი ვარდსა აღარ ჰკოცნის,
 აღარ მიმზერს განთიადზე.

მთვარე

განთიადი არ გეგონოს,
 თვალ-ჟუჟუნა ქალთეთერო,
 სირინოზი მოჰქრის შენკენ,
 ეთერთ მეფე, მშვენიერო.
 განთიადის ნიაგია,
 ხელთ უჭირავს მისი ჩანგი,
 მას ზღვის მგოსანს ეძახიან
 და მისია ამხანაგი.



ქალთეთერი

სხვა სად არის განთიადი,
ანუ დილა ჰანგოსანი,
თუ არ იგივე ქალთეთერი,
კიდიო-კიდე სხივოსანი.
ჩემო სარკვე, მოდი ჩემთან,
ნიესვენე ბროლის თითებს,
მსურს ცა თვალ წინ გადმეშალოს
და ჩავხედო ზღვაში ზვირთებს.
დავინახო ვარსკვლავებში
სერაბიმი ვით მადიდებს
და ვით ისმის ქება-ქება
ქალთეთერის კიდიო-კიდეს.

სერაბიმი

ანგელოზნო, მას უმღერეთ,
უგალობეთ მშვენიერსა,
ვინც ძედ თვისად მიაჩნია
ცა და მიწის გამგებელსა.
ანგელოზნო, გარს შემოკრბით,
ყურახვენით ზღვის მგოსანსა
და ლაღადით, ხელ აპყრობით
მუხლს უდრეკდეთ მის ლოცვასა.
ღვთის ქმნილებავ, ვარსკვლავ-მთვა-
გუნდრუქს სხივი გაუტარეთ, რე,
სირინოზი — ზღვის მგოსანი
შეაქეთ და ანეტარეთ.

ქარიშხალი

აფრას ვცემ და ანძა კენესის,
ზღვა ღელავს და ზღვა ღრიალებს,
მის ზვირთებზე სირინოზი
მისცურავს და მისრიალებს!

ქალთეთერი

ვხედავ ქაბუქს არწივ-ფრთოსანს,
მოჰქრის, როგორც ქარიშხალი,
და მის ჩანგზე სიმათა თრთის
მთლათ სამყაროს ძალთა-ძალი!

ვხედავ ქაბუქს გავაზ-ქორუღს,
წინ რომ ზვირთი ეგებება
და მის ჩანგის სიმთ თრთოლვაზე
ზღვა ხან ღელავს, ხან წყნარდება.
სერაბიმი მას აქებენ,
ციდამ ისმის ლოცვის ხარი
და გარშემო ალ-ქაჯებს კი
შეუყრიათ თვისი ჯარი.
ჩანგს რომ ჩოგანს კვესებო დაჰკრავს
ნაპერწკლებით მოჰქრის ელვა,
მაშინ ისმის ალ-ქაჯთ ჯარში
კენესა, გლოვა, გულის ღევა.
მაგრამ უცებ შავი ზვირთი
ჯოჯოხეთის წინ უდგება
და ზღვის წილ-ჯურღმულებში
ქაჯთ ფერხული იმართება,
წინ პირს უღებს გველაშაპი,
ყორანთ გუნდი თავს დასჩხავის,
სარკვე, სარკვე, პირველათ ვარ
მნახავი ამ სანახავის!
ალარც მთვარე ჩემსა ახლოს,
შუქი იქით მიწურულა,
და ის ვარდიც, ჩემი ვარდიც
იმის გულზე ამოსულა.
სარკვე, სარკვე, ჩემს ნაწნავებს
მის სიმღერა მკერდზე მაშლის,
რისთვის იწვევს მისკენ გული
და ეს მკერდი რისთვისა თრთის.
მის თვალებში ვარსკვლავებს ვქვრეტ,
ჩემი არი ეს თვალები,
მთებს ჩრდილი ველს მოუფინავთ
ჩემი არის წამწამები,
მე ბუღბუღი მკერდ ქვეშ გულათ
მქონდა, მყვანდა სასაყვარლოთ,
ეხლა ვხედავ იმის ჩანგზე
იმის სანაცვლ-სათაყვანოთ.
სარკვე, სარკვე, ჩემი სახე
მის სიმებზე იქარგება,
მითხარ ვინ ხარ, რა სული ხარ?
ქალთეთერი გეკითხება!

სირინოზი

მე სირინოზს მეძახიან
 ზღვის მგოსანს და ზღვის მომღერალს,
 ხან ავის ბედის მაკურთხებელს,
 ხან თვის ბედის დამაწყევარს!
 ეხ, რომ გითხრა, რისთვის გითხრა,
 რათ ავშალო გულის იარა,
 ზღვის შვილი ვარ, მის მებრძოლი,
 გულიც მანვე გაამწარა.
 შორიდან ვარ წამოსული,
 შორს მივდივარ, იქით კიდეს,
 იქნებ ჩემი გულხელობა
 ჭკუა დამჯდარს გაუკვირდეს!
 მაგრამ ჩანგი, ჩემი ჩანგი
 თავის სიზმრებს მიაქვს, მისდევს,
 მოვინდომო შევებით ჯდომა,
 სიმი მაინც გამოფრინდეს.
 თან წაიღოს ჩემი გულიც,
 მიატაროს, მოატაროს,
 ვიდრე ჰნახავს და იპოვის
 უკვდავების წმინდა წყაროს.
 წამოვსულვარ მის საძებრად,
 ცხრა უფსკრული გადმოვსცურე,
 ქარ-ცეცხლსა და ზვირთთა ღრიალს
 გული ჩემი დავაწურე.
 ბევრჯელ მიგდო თვის ლაშებში
 მე სიკვდილმა ონავარმა,
 ბევრჯელ სიმი შევავლიჯა
 ჩანგს ავსულთა ქარიშხალმა;
 მაგრამ ვიცი, კარგათ ვიცი:
 მივახწიო სანეტაროს,
 მივიდე და დავეწაფო
 უკვდავების წმინდა წყაროს.
 თან ფიალას წამოვიღებ
 ტინის ცრემლით ავსებულსა,
 ზღვას ვასხურებ აიაზმათ,
 დავამშვიდებ იმის გულსა.

კაენი

ციდამ ლოცვის ზარი ისმის,
 ზღვიდამ მსხვერპლი ეწირება,
 აბელ, აბელ, მაგონდები,
 ვხარხარებ და მეცინება...

უორანი

მე გავლილი ბევრი ვნახე,
 გამომვლელი ვერავინა,
 ვინც წავიდა ჩემს ფრჩხალებში
 დაიკვნესა, დაიგმინა.

გველი

როგორც სატრფოს ნაზი ხელი
 მკერდს სირინოზს უსვამ ნესტარს
 გულში უშვებ წვეთ-წვეთათ შხამს.
 როგორც უკვდავების ნექტარს!

სირინოზი

ჩუმათ, ჩემო მუხანათნო,
 ვერ მისწვდებით გულის წადილს,
 გველ-ბაყაყნო, და ყორნებო,
 ვერ გაჰმართავთ ჩემზე ხადილს.
 და შენ კაენ, და შენ კაენ,
 ჯოჯოხეთის ძუძუს შვილო,
 არ გვეგონოს, რაცა ჰნახე,
 რომ იგივე მოიხილო!
 ტკბილო ჩანგო, ჩემო ჩანგო,
 გედებ შუა გამაცურე
 და ნიაგო, ნაზი ფრთები
 მიფათურე, მაფათურე.
 ცხრა უფსკრული გადმოვსცურე,
 წინ მეთე მეგებება,
 ერთილაა, მასაც გავალ,
 აღსასრული აღსრულდება!

ქალთეთერი

სარკეს შენკენ მოვაბრუნებ,
 ჩაიხედე, დამინახე,



სირინოზი

ჩემს გულში კი გადმოვიდა
 სალოცავათ შენი სახე.
 მე სიზმრების წვიმაში ვარ,
 ცისარტყელა თავს მავლია,
 მკერდით შენკენ გადმოვხრილვარ,
 სიმთა ძალამ გადმომძლია,
 მე აქ ვდგევარ, ყელს გეხვევა
 ზღვაში ჩემი დაღალ-კავი,
 სარკეს შენკენ მოვაბრუნებ,
 დაინახე სანახავი!

მეათეა ეს უფსკრული,
 ჩვენ ორ შუა ამართული,
 უკვდავების წყაროს ეძებ —
 და ეს არის ჩემი გული.
 სირინოზო, სირინოზო,
 მკერდი მიკრთის, მიკანკალეებს,
 ახლო მოდი, ზღვის მგოსანო,
 რომ ჩაგხედო შენს შავს თვალებს.

როგორც ტალღას ზვირთ მოწყვეტილს
 შორს გხედავდი ჩემს სარკეში,
 ახლო მოდი, ზღვის ყვავილო,
 რომ ჩაგიკრა ძუძუებში,
 სიზმრათ ვნახე, დავეჭირე
 არწივს, გულზე მხვევდა ფრთებსა,
 გამედვიძა, გადმოვხედე
 მოელვარე შენს თვალებსა.

მე რომ თავით ვარდი მედგა,
 ისიც შენთან წამოსულა,
 პირ-ფარეში მთვარის სხივი
 შენს ხუჭუჭში ჩაწმანულა.
 ჩემს ტუჩებზე ღიმი შეშრა,
 ის მანდ არი შენს ჩანგს დაჰკრთის,
 უკვდავების წყაროს დაჰლეც —
 ქალთეთერი მკლავს გადაჰშლის.

ზღვა ტალღას სცემს,
 ტაშს შენ გიკრავს,
 შენ გადიდებს, ზღვის მგოსანო,
 ქალთეთერი შენ გეძახის,
 მე წყაროვ, შენ ჰანგოსანო!

მეათე უფსკრულის პირას
 შევდექე და შენ შემოგცქერი,
 არ ვიცოდი, თუ სახელად
 წყაროს ერქვა ქალთეთერი.
 გიყურებ და მაგონდება
 მე აჩრდილი წინამძღოლი,
 გიყურებ და მაგონდება
 მე აჩრდილი თანამყოლი!

გახსოვს დილით, გარიჟრაჟზე
 ჩანგს რომ ხელი მივაკარე,
 შენ ნიავათ დაიქრიალე,
 და ჰანგებში შემეპარე.

გახსოვს ერთხელ, ოხ ეს წუთი
 იყო შხამი, იყო მწარე,
 დავწყევლე და გადავრტყორცნე
 ჩემი ჩანგი მგლოვიარე;
 ღრუბლებიდან ნაზი ხელი
 გამოკურდა, მომაწოდა,
 შითხრა: „ჩემკენ მოაშურე,
 თუ ზღვამ გული დაგიკოდა“.

ბევრჯერ მოღლილს, მოქანკულსა,
 გულს ხელები მეკრეფოდა,
 მაგრამ შენი გაღმილით
 გული ისევ ცოცხლდებოდა.
 ზღვის ფაფარზე თან მომდევდი,
 ზღვის უფსკრულში ჩემთან იყავ,
 ოცნებავ და ცხადზე-ცხადო,
 ასე ორათ ვით გაიყავ!

ერთხელ ვნახე მე სიზმარი:
 დამხვეოდნენ მკერდს ყორნები,
 ველზე ვეგდე ცოცხალ-მკვდარი,
 ხარხარებდნენ მეგობრები;
 მკლავს ვერ ვძრავდი მოსაქნევად,
 გულშიც ზიზღი გამშრალიყო,
 ვამბობდი: ეჭვ, მუხანათებს
 ასე როგორ დავებრიყო!

მაშინ, ტუბილო უკვდავებავ,
 იღუმალათ ჩამჩურჩულე,

მთად გადიქცა ჩემი გული,
ჭირი მოვიჭირნახულე!
შენ სევდების ნანინა ხარ,
სიხარულის განთიადი,
ოხ, გთხოვ, შეგთხოვ დამენახო,
გადიხადე პირს პირბადი!

ქალთეთერი

ოქროს ნისლო, მთას გადადი
და მთას იქით გაითენე,
მთვარევ, ჩემკენ დაიხარე,
ჩემს დაწვებზე დაესვენე!
ხომლო, კოშკის წვერს დაეშვი,
გულს ბაღდადი გადამხადე,
მარცხო, ვარსკვლავთ-ვარსკვლავო
შენ ნანინა დაგვიმზადე!

სირინოზი

ვეძებდი და ახლა ვპოვე,
გულმა ახსნა გამოცანა,
ეს იგია, ეს ის არის,
ჩანგს ვინც ჰყვანდა მარად თანა
ოცნებაში ჩახლართული,
აწ წამოდგა ჩემს წინ ცხადი
ჩანგო ჩემო, შენს სიმებზე
ათამაშლა განთიადი!
სარკვე, სარკვე, ბრძოლის სარკვე,
უკვდავების წყაროს ვხედავ,
ლამაზ ტუჩებს დასიუხჩუხებს,
დაწაფებას ვერა ვხედავ.
სარკვე, სარკვე, ბროლის სარკვე,
მანდ ღუღუნებს ტრედი ტკბილად,
კოშკი ჰყვავის, კოშკი მღერის,
გადაიქცა მთლათ ღიმილად.
შენსკენ მოვალ, სულ ახლო ვარ,
უკვდავების წყაროს პწკერო,
ეს მეათე უფსკრულია,
ქალთეთერო მშვენიერო!

უორანი

ბევრი ვნახე მე გავლილი,
გამოვლილი ვერავინა,
იმ წყაროს პირს ვინც მივიდა
ყველამ მწარეთ დაიგმინა.

ქალთეთერი

საშინელი ჯურღმულია,
შიგ დასტურავს სევდის კუბო,
სირინოზო, ამ მეათე
უფსკრულში არ დაიღუპო.
ჩემს დალაღ-კავს გადმოუშვებ,
ის შეაბი შენს ჩანგს ყელზე,
გულის ბაღდადს ზღვას მივაფენ,
ვარდს გადმოვყრი მის ტალღებზე;
და ია კი, მე და ია
მუხლს მოვიყრით სალოცავად,
ზღვის ღმერთთათვის დავწვავ ზამბახს
შენს დასაფარ-დასაცავად.

ქარიშხალი

აფრას ვსცემ და ანძა კენესის,
ზღვა დელავს და ზღვა ღრიალავს,
და ვით ჯაქვზე დალაღ-კავზე
სირინოზი მისრიალავს!

ია

უფსკრულს პირი გაულია,
წიალი დულს, მოჰქუხს ზევით,
ზღვისა ძალნო, შეისმინეთ,
გეხვეწებით, გევედრებით.
წარემართე ლოცვა ჩემი,
ვითაარცა საკმეველი
შენს წინაშე, ღმერთო ზღვისავ,
შეიწირე ეს სურნელი!

ქალთეთერი

აღვაპყარნი ხელნი ჩემნი
მსხვერპლს სამწუხროდ ჰე, უფალო,

ლამპრად მკერდის შუქი გფინე,
 ზღვის ღმერთო და, ძალთა ძალო!

კენი

ლოცვად მიჰქრის ქალთეთერის
 ზვირთებ შუა წმინდა გული,
 მსხვერპლიცა და სამსხვერპლოცა
 იყოს კრული, იყოს კრული.
 ჯოჯოთა და ბაყაყთ ჯარი
 გამქარალა და მიმალულა,
 აღარა სჩანს ყორანთ გუნდი,
 გველიც თითქოს დახუთულა.
 და ლოცვად კი ზვირთებშუა
 ქალთეთერის მოჰქრის გული,
 მსხვერპლიცა და სამსხვერპლოცა
 იყოს კრული, იყოს კრული!

გედები

ჩვენ გულ-თეთრი გედები ვართ,
 და სირინოზს მივდევთ თანა,
 უკვდავების წყაროს პირზე
 გვსურს ვიმდეროთ ნანინანა.
 სირინოზი კოშკისაკენ
 მისცურავს და თანა მღერის,
 მის ჰანგები ტუჩებია,
 ტუჩებია ქალთეთერის.
 სირინოზი მალლა იწევს,
 ქალთეთერი უქნევს ხელსა,
 ცა გახსნილა, სერაბიმნი
 მათ უკმევენ საკმეველსა.
 ტალღა ტალღას ხან მოჰხვედება,
 ისმის ზღვისა ვაშა-ტაში,
 ხან ზღვა უცებ მიყურდება
 და ლოცულობს თვის წიაღში.
 ქალთეთერის კოშკის წვერზეც
 მთვარე ჯიღათ გადმომდგარა,
 ვარსკვლავთ ჯარი საციმციმით
 მის გარშემო შეიყარა.
 მზე ამოსვლას ვერა ჰბედავს;
 მის მაგიერ ეთერ მზეობს,

დღე და ღამე სადღაც გაჰქრენენ,
 ქალთეთერი დღე-ღამეობს.
 სირინოზის ჩანგის ხმაზე
 მის წამწამი თრთის, თამაშობს,
 სირინოზის დაკრულს ჩოგანს
 ქალთეთერი დაჰკისკასობს.
 და იმის ჰანგს ზღვის წიაღში
 ნაშობს, ზვირთებ გამოზდილსა,
 არა ჰყოფნის თვით სამყარო,
 ზღუდეს უბობს თვით სიკვდილსა
 მისცურავს და ჩოგანსა სცემს,
 ქალთეთერი უქნევს ხელსა,
 ხომღმა დაჰკრა... განთიადზე
 შეეჭედა ყელი ყელსა!!

—
 და აღსრულდა... ეს წუთია
 საუკუნო, დასაბამი,
 უკვდავება და სამოთხე
 ორნივე ერთათ დასაბამი;
 ცა და მიწის შემეერთი,
 მათი საწოლ-საგვირგვინო,
 სანატრელი წყაროს წვეთი,
 გრძნეული და საამტკბილო.
 ტუჩი-ტუჩებს დაეწაფა,
 მკერდს აცურდა ბროლის ხელი,
 მაგრამ ვაი! ამ დროს გაწყდა
 სიმი მათი მიმჯაჭველი!
 გაწყდა სიმი, სირინოზი
 მსწრაფლ ჩაეშვა ზღვის უფსკრულში,
 საუკუნით დაიძინა
 ქალთეთერის მთრთოლვარ გულში.
 გატყდა ჩანგი, გაწყდა სიმი,
 ზღვის მგოსანი აღარ გალობს,
 აკოცა და მით დააკვდა
 უკვდავების გრძნეულ წყაროს!
 მის ჩოგანი მიაქვს ტალღებს,
 ზვირთებს შუა კუბო სცურავს,
 ვით სიზმარი მიაქვს კოცნა,
 ზედ ღრუბელი დაუხურავს.
 იას ლოცვა პირს დააკვდა,

ციდამ ისმის გლოვის ზარი,
კოშკის წვერზე სდგას კაენი
და გულს ჰზარავს მის ხარხარი.
ყორანთ გუნდი აქეთ მოჰქრის,
უკან მოსდევს ბაიყუში,
გველი კუბოს ჩაჰსისინებს,
კუბოს ქალთეთერის გულში.

პირველი ყორანი

მეგობარო, გახსოვს გმირი—
ზღვის ტალღების სირინოზი?

მეორე ყორანი

ის კოშკიდან ძირს დაეშვა,
ვით ღემონი—ანგელოზი!

მესამე ყორანი

ნისკარტი მაქვს გაღესილი,
ჩვეული ვარ ამგვარ მსხვერპლზე,
გავძღები და დავიძინებ
მინელებულ მის თვალეზზე.

მეოთხე ყორანი

მიყვარს გული დაისრული,
მით ადვილათ გავკრავ ფრჩხალებს,
მაშ ყორანი რათა მქვიან,
თუ ფრჩხალი არ მიეღვარებს!

ბაყაყი

გატეხილი ჩანგის სიმზე
დახლართულა ბალახები,
მოწყვეტილი ვარდის შტოაზე
შემომჯდარან ბაყაყები.

გველი

მე სიმღერა მისთვის მიყვარს,
რომ მომღერალს მიგეპარო,
აუცურდღე იმის გულ-მკერდს,
მის მეგობარს დავედარო.
ვაფათურო ზედ ისარი,

როგორც ტურფა სატრფოს ხელი
და ჩუმ-ჩუმათ შიგ ჩაუშვა
ჩემი გესლი მომშხამელი.

კაენი

სალამი თქვენდა, შავო ყორნებო,
სალამი თქვენდა, ბაყაყო, გველნო,
მოკვდა აბელი, იმის მაგიერ
თქვენ დაგმეგობრდით გულის მოძმენო.
ვისაც ღმერთისკენ მიაქვს თვის ზღვენი,
ვითა სირინოზს, ვითა ზღვის მგოსანს,
მას თქვენი ჯანი მარად უკან სდევს,
შავი ფრთოსანი მისდევს თეთრს ფრთოსანს
სალამი შენცა, ქალთაეთერო,
ჯოჯოხეთიდან სამოთხის სახე,
ჩემზე გამწყრალი ღმერთის ქმნილებავე,
და ჩაშვებულო ზღვაში ვით მახე.
მე მარტო ვიყავ, იმავ თავიდან
ღვთისგან წყეული, შეჩვენებული,
მაგრამ ნაკურთხი ჯოჯოხეთიდან
თქვენ გეგებებით აღტაცებული!

გედები

მოკვდა მგოსანი, მოკვდა მგოსანი,
ქალთაეთერის ბაგე ტკბილია,
კოშკის წვერვალზე მოკვდა მგოსანი
და ეს სიკვდილი ტკბილი ძილია.
ჩვენ ფრთებით შევკრავთ მისთვის ნაზს კუ-
ყელს გადავადებთ გულზე კამარათ, ბოს,
და გატეხილი ჩანგის სიმღერას
ტალღა იმღერებს მარად და მარად.
მოკვდა მგოსანი, მოკვდა მგოსანი,
გრძნეულ წყაროს პირს შესწყვიტა ლოცვა,
ზღვაც ჩვენთან ერთათ მოსთქვამს ღ ჩივის
რათ დაეწაფა, ოხ, რათ აკოცა.

ქარიშხალი

შორით ვყეფდი, მარად ვიყავ
ბრძოლის აღით აღზნებული,

ახლო მოველ, დავეწაფე,
შესწყდა სიმი, მოკვდა გული!

ზღვის ნიავი

ქალთეთერის ნანინა ვარ,
და მისი ვარ მოციქული,
მისი ძეგლი მინდა ვნახო
ზღვის მგოსანზე ამართული.
მინდა ვნახო სირინოზი,
გაუქროლო მას თვალეზზე,
დავინახო როგორ უკრთის
ქალთეთერი წამწამებზე.
მინდა მის გულს ჩაფერფლილსა
დაუქროლო დავკრა ფრთები,
გავიტაცო და მოვფინო
მის ცრემლი და მის სიზმრები.
ვხედავ ბაგე ისევ უთრთის,
ტუჩი ისევ გაულია,
სჩანს, რომ კოცნა ქალთეთერის
თან ნალველათ წაულია!

ქალთეთერი

მე ქალთეთერს მეძახიან,
ბროლის სარკე ხელთ მიჭირავს,
თმას მივარცხნის ტალღა ზღვისა
და ღრუბლებზე ტკბილათ მძინავს.
მთვარე პირის ფარეშათ მყავს,
ვარსკვლავები თანამხლებლათ,
ზღვის ზვირთები სადარაჯოთ,
ზღვის მგოსნები შესაქებლათ.
ჩემს დაღალის ბეწვს აბამენ
მომღერლები თავის ჩანგსა,
ზღვის დედოფალს მეძახიან,
მთრთოლვარ გულის ამხანავსა.
მე ქალთეთერს მეძახიან;
ზღვის ღმერთების მონად მპყრობელს,
დასაბამის პირველს დღესა
და მის ბოლოს დამამხობელს!

ბაყაყები, ყორნები, გველები

კუბოს მივდეგთ მერამდენს,
სათვალავი არ ითქმება,
უკვდავების წყაროს, ვიციოთ,
ხვალ მეორე მიადგება.

კაენი

ერთი კუბო—ორი გუნდი,
ეშმაკის და ანგელოზის,
მხლებელ-ჭირისუფალია
ორივე ერთათ სირინოზის.
სამოთხის კარს მიაქვთ გედებს,
ჯოჯოხეთი დაობლდება,
მაგრამ მის გულს ჯოჯოხეთი
სამოთხეშიც თან შეჰყვება!

ზღვა

უძირო ვარ, მარად ვღვლავ,
მიდის ტალღა, მოდის ტალღა,
გემი გემს სდევს, იძირება,
დატრიალებს ცაში ღალღა.
განთიადსაც პირს გადავბან,
მწუხრსაც შეხფებს მივასხურებ,
უძირო ვარ და კუბოებს
მე არ ვსთვლი და არ უყურებ.

გედები

მოკვდა მგოსანი, მოკვდა მგოსანი,
ქალთეთერის ბაგე ტკბილია,
ვაი სირინოზ, ვაი სირინოზ,
თვით ჩანგი შენი გატეხილია.
მოკვდა მგოსანი, აღარ გაისმის
ზღვის მონასტერში იმისი ლოცვა,
ჩუ! ჩვენთან ერთათ ნიავიც მოსთქვამს:
„რათ დაეწაფა, ოხ, რათ აკოცა“!

სამოთხე

გულთუმწიკვლო გატანჯულებს,
ქვეყნის მოყვას-მოციქულებს,

ქარიშხალის ამხანაგებს,
ზღვის წიაღში დამარბულებს;
მე ჩემს ბჭეში მივცემ ადგილს,
სირინოზსაც კარს გაუღებ,

მას ღმერთებთან, როგორც თვითღმერთს
ვადიდებ და გავაუფლებ!

ჯოჯოხეთი

ღამე მიდის—ღღე თენდება,
ჩემს ლეგიონს ემატება,
სირიზონიც ჩემსკენ მოდის,
სირიზონიც მეახლება.

ვინც რომ ეძებს ქალთა ეთერს,
შეჭხვდება და შეეყრება,
უკვდავების წყაროს დაჰლევს,
ჯოჯოხეთის მკლავზე კვდება.
ჩემსკენ მოაქვთ სირინოზიც,
გველ-ბაყაყებს, ყორანთ ჯარსა,
ვაშა ეთერს, ქალთა ეთერს,
ჯოჯოხეთის დამაარსსა!

სამოთხე

ქალთ ეთერის წმინდა ბაგემ
სირინოზი აზიარა,
ვით ძე ღვთისა თვითაც ღმერთი,
დაიეკლა დაინარა.
ჩემსკენ მოაქვთ გედებს კუბო
და აღსდგება აქ ძე ღვთისა,
მისთვის მზაა, მის სამყოფო
ბჭე სამოთხის ღმერთებისა.
ვაშა, ვაშა ქალთა ეთერს,
მას შევასხათ ქებათ-ქება,

ვინც მის ტუჩზე ეზიარა
ის სამოთხის მკლავზე კვდება!

ქალთეთერი

კამარა ვარ ორთა შუა;
სიკვდილის და უკვდავების,
მე ვარ ბალი სამოთხისა.
მე ვარ ცეცხლი ჯოჯოხეთის!
ერთი მკერდი—ორი ძუძუ
ლალის კოშკზე გადმიშლია.
თმა გიშერი ჩანგს სიმებათ...
ლახვარი და ნაზი ია!

გედები

შემოკრბით დანო და სირინოზი
იმ კორდის ძირში დავასაფლავოთ,
სადაც დილდლით მღერის ბუღბუღი
და ბუკიოტი კენესის საღამოთ.
სადაც ეკალი ყვავილებ შუა
ჩაწმახნულია, გახლართულია,
სადაც ტინიღამ მთის ცრემლი ჰყვენავს
და სამუღამო გაზაფხულია!
იქავ დავმარხოთ იმისი ჩანგი,
ეთერის თმისა გაწყვეტილ სიმით,
რომ სასაფლაო მან დაამოს
სევდის ღიღინით, ტკბილის ღიღინით!
რომ მის ზღაპარი ძველათგან თქმული,
სამარადისო, მუღამ ახალი,
სევდამ წაიღოს, ქვეყნათ მოჰფინოს,
როგორც ამბავი მართლის მართალი!

ი. ვედოშვილი.

10 აქტ. 1911 წ.

ქ. ჩინი იარა.



მოღალატე

(თარგმანი)

ზარმა დაიწკრიალა, ამდენხანს მრავალ-ფეროვან ჟრიამულით გარემოცული გიმნაზია მიყუჩდა. მხოლოდ მე-VI კლასი კვლავ განაგრძობდა ყაყანს. იქ რალაზედაც ბჭობდნენ.

— არავითარი ახსნა-განმარტება იმასთან საჭირო არ არის, — შენიშნა ბოლოს ერთმა — მაღალმა გამხდარმა და წვრილ მტრედის ფერ თვალებიანმა ყმაწვილმა; ეს იყო მოწაფეთა რევოლიუციონური ჯგუფის ხელმძღვანელი. — ვერ გამოვიყვანეთ და გათავდა!

ხელმძღვანელ მოწაფის მიერ გულმოსულად და ბრძანების კილოთი წარმოთქმულმა სიტყვებმა ჯეროვანი გავლენა იქონია ამხანაგებზე. დავა შესწყდა. ყველანი თავ-თავის ადგილზედ დასხდნენ.

ამ დროს შემოვიდა მასწავლებელი.

— ეგ რა ბღღვირი დაგიყენებიათ? — შენიშნა იმან, დაჯდა და უფრო ღრმად დაელარა მაღალ შუბლზედ ხშირად დანაოქებული კანი.

მოწაფენი ადგნენ.

— ბატონო მასწავლებელო! — დაიწყო ერთმა მათგანმა. ზოგს, რალაც იღუმალსულის კვეთებით სახე აებრაწა, დანარჩენებს გაუფითრდათ და ნაცრის ფერი გადაეკრათ.

მასწავლებელმა, რომელიც მთელის ყურადღებით ჩასცქეროდა საკლასო ჟურნალს, მძიმედ და უხალისოდ აიღო გაქადარავებული თავი.

— ჩვენ ვერ გამოვიყვანეთ ამოცანე-

ბი, — განაგრძობდა მოწაფე, — რომელიც თქვენ შინ სავარჯიშოთ მოგვეცით.

მოხუცი მასწავლებლის სახეზედ ცხადად აღიბეჭდა სიმკაცრე და უკმაყოფილება.

— დასხედით! — წარმოსთქვა მან ბრძანების კილოთი და ისე დახურა ჟურნალი, რომ არც-კი უკითხავს: აკლდა თუ არა ვინმე გაკვეთილს.

— რა მიზეზის გამო ვერ გააკეთეთ ამოცანები? დრო არა გქონდათ?

ზოგმა თანხმობით უპასუხა, ზოგმაც უარყოფით.

— ვერავინ ვერ გააკეთა?

— ვერავინ! — უპასუხა რამდენიმე ხმამ ერთად.

ეგ-კი ყოვლად შეუძძომებელია და დაუჯერებელიც! — სთქვა მან და წამოდგა.

— აქ, თქვენს შორის ვიცი ისეთი მოწაფეები, რომლებიც საუკეთესოდ და სამაგალითოდ მიმაჩნია, ისინი მუდამ რიგიანად და კეთილ-სინდისიანად ამზადებდნენ გაკვეთილებს, მათ შეუძლიანთ ამ ამოცანებზე ათჯერ უძნელესიც გადასწყვიტონ.

მოწაფენი ჩაქვავებულნი ისხდნენ თავთავიანთ ადგილზედ და ყველას ერთი და იგივე გამომეტყველება ეტყობოდათ სახეზედ.

— ჰენკოვ, მომეცი შენი რვეული! — მიჰმართა მასწავლებელმა და კათედრიდან ჩამოვიდა.

— მე ვერ გამოვიყვანე! — მიუგო მოწაფემ.

— სტოიანოვ! — მიუბრუნდა მეორეს, — რვეული!

სტოიანოვი ადგა, ერთი ელვის სისწრაფით გადაჰკრა თვალი ამხანაგებს და მყისვე თავი ჩაქინდრა.

— ვოლკოვ!

— არ გამომიყვანია, დრო არა მქონდა...

— დრაგანოვ!

დრაგანოვი ზანტად წამოდგა. ეს იყო ფერ-მიხდილი, სიმპატიური სახის გამომეტყველების ყმაწვილი, რომლის შავსა და ღრმა თვალებში მუდამ ჭმუნვა იხატებოდა.

— როგორ!.. შენაც!?. მრავალ მნიშვნელოვან გაკვირვებით შესძახა მასწავლებელმა, თან თვალებს არ აშორებდა მას, თითქოს არა სჯეროდა თუ ეს დრაგანოვი იყო.

— საუკეთესო მოსწავლე მთელს გიმნაზიაში!..

დრაგანოვი გაწითლდა; იმას რცხვენოდა ამ ქებისა.

— და შენ, დრაგანოვო, ვერ გამოიყვანე ამოცანები?!

მწუხარების სიმი შეირხა მოხუც მასწავლებლის სულის სიღრმეში და ნაღვლიანმა ნოტამ — სევდის კილოზედ გაიკრიალა. და იმის თვალების ქუთუთოებზე კრთომა-კამკამით გადმოეკიდა ცრემლის წვეთები. ამ უმართლო ცრემლებმა შეაძრწუნა უმანკო, სპეტაკი სული ნორჩი ყრმისა. იმათ დასწვეს-დასდაგეს, მოჰკლეს და მოსრეს იგი.

— გადი დაფასთან! — მიუბრუნდა ძალზედ შეურაცხყოფილი და ნაწყენი მასწავლებელი და დაჯდა.

დრაგანოვი შეეყოყმანდა, მაგრამ გამოვიდა.

მასწავლებელმა უკარნახა მას ერთი ამოცანათაგანი. იმან მსწრაფლად და შეუცდომლად გააკეთა იგი. მიაწოდა მეორე, — ესეც. უკვე წაიკითხავდით მოსწავლე ამხანაგების სახეზედ აღბეჭდილ უმადურობა უკმაყოფილებას. ბოლოს მასწავლებელმა მიაწოდა მას ყველაზე რთული და უძნელესი იმ ამოცანებში. ისევ ადვილად და შეუცდომლად გააკეთა მან იგი, როგორც პირველნი.

მოწაფეთა უკმაყოფილებას უკვე საზღვარი არა ჰქონდა.

— არა, მომატყუე? — მიჰმართა მასწავლებელმა დრაგანოვს და სათვალეები გაისწორა, — რად იტრუე: — ვერ გამოვიყვანეო? — ამ სიტყვებით თითქოს სურდა დაეფარა, თუ როგორი კმაყოფილი იყო იგი იმისი.

— მე არაფერიც არ მითქვამს! — წყნარად, დარცხვენით, თითქმის ჩურჩულით უპასუხა მან.

მოწაფეებს მღელვარება დაეტყუათ.

— მოლალატე! — წაილულლულა ვიღამაც.

ამ სიტყვას ყური მოჰკრა მასწავლებელმა და კვლავ მწუხარებით დაედვრიმა და ჩამოუბნელდა მოხუცი სახე.

— მაშასადამე, — დაიწყო იმან და გადავლო თვალი მოსწავლეებს, — აქ, როგორც სჩანს, შეთქმულობა ყოფილა.

ერთი, მათემატიკაში ყველაზედ ძლიერი მოწაფე, ფეხზედ წამოდგა.

— არავითარი შეთქმულობა აქ არ არის ბნო მასწავლებლო, — არამც თუ დრაგანოვს, ადვილი შესაძლებელია სხვა ვისმესაც გამოეყვანა ეს ამოცანები, მაგრამ საქმე ის არის, რომ უმრავლესობას ვერ გაუკეთებია. და, რადგანაც უმრავლესო-



ბის ინტერესები დაცულ უნდა იქმნეს და არა უმცირესობისა, ეს თქვენც არა ერთხელ გითქვამსთ ჩვენთვის.

— რასაკვირველია უმრავლესობისა! — დაუმოწმა მასწავლებელმა და კვლავ სავალეებს შეავლო ხელი.

— სხვათა ინტერესებს, — ავტორიტეტიულის კილოთი დასძინა მაღალმა, მოწაფეთა რევოლიუციონურ ჯგუფის ხელმძღვანელმა ყმაწვილმა, — ჩვენ მარადის მზად უნდა ვიყვნეთ მსხვერპლად შევსწიროთ ჩვენი პირადი ინტერესები. ხოლო ამ შემთხვევაში-კი არავითარი მსხვერპლიც არ არის; განა ბევრსა ნიშნავს, თუ მასწავლებელი გამოიცვლის შეხედულებას მისს საგანში რომელსამე ძლიერს მოწაფეზე? მაგრამ იმას არც-კი შეეძლო გამოეცვალა იგი, ვინაიდან ამით მოსწავლე არ გახდება უარესი, საკმაოა მხოლოდ იმან დახმარება აღმოუჩინოს თავისს ამხანავს.

მასწავლებელმა გადაჭედა დრაგანოვს, რომელსაც შემკრთალი სახე ტილოსაებრ გაფითრებოდა და, წუთიერის ჩაფიქრების შემდეგ, მიჰმართა მას ლმობიერი, დარიგების კილოთი:

— კარგნი მოწაფენი უნდა იყვნენ კარგნი, ყველაფერში და ყოველის მხრით. როგორც სჩანს თქვენ ვერ გიპოვნიათ სხვა უკეთესი საშუალება, რომ შეაჩეროთ თქვენი მასწავლებელი და მით საშუალება მისცეთ თქვენს, უფრო სუსტ ამხანაგებს — შეითვისონ გაკვეთილის მასალა. და ამ განზრახვით დაადგინეთ — განაცხადოთ ჩემს წინაშე, რომ ამოცანები ვერ გააკეთეთ. კეთილი! შენ-კი თუმცა გამოიყვანე, მაგრამ მჯერა, რომ თქვენს შორის კიდევ სხვანიც არიან ისეთები, რომელნიც გააკეთებენ ამ ამოცანებს, გარნა შენ, მხარი უნდა დაგეჭირა და არ გელა-

ლატნა შენი ამხანაგებისთვის; შენ-და როდესაც ისინი ამგვარ განაჩენს ადგენდნენ, უნდა განგეცხადებია, რომ შენ არ ეთანხმები მათ.

მოწაფენი შეიძრნენ თავიანთ ადგილებზედ.

— ხვალ თუ ზეგ — შეიქმნებით წვერნი საზოგადოებისა, — განაგრძობდა მასწავლებელი გატაცებული ისე, რომ თვითონაც ვერ ამჩნევდა, და არა განზრახ, ან თვალთ-მაქცობით, — სადაც მოგელისთ თქვენ დიადი ბრძოლა, ვინაიდან ყველანი — უსამართლოდ დაჩაგრულ-დამონებული და მრავალ-ტანჯულ მამულის შეილები ვართ. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და უკანასკნელი წუთები ჩვენის სიცოცხლისა მსხვერპლად შევსწიროთ მისს მონობისგან დახსნა-განთავისუფლებას. შეთქმულობანი ასეთს ბრძოლაში ისევე მიუცილებელია, როგორათაც მსხვერპლნი. მოგიხდებათ თქვენ ზოგჯერ დადგენა ისეთის განაჩენისა, რომელიც საფრთხილო და საშიშიც იქმნება თქვენის სიცოცხლისთვის; ეგ კიდევ ცოტაა; შეიძლება საქმემ მოითხოვოს თვით სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა-კი, მაგრამ ასეთ დროს უკან დახევა და ბრძოლის ველზედ განსაცდელში მყოფ მოძმეთა ზურგის შექცევა, სამარცხვინოა, თვით მტრისთვისაც ზიზღის მომგვრელი...

მოწაფენი თავდავიწყებამდის ალიტიცა ამ სიტყვებმა.

— დრაგანოვო! დაჯექი! შენი საქციელი გასაკიცხია და დასაგმობი. შენ უღალატე შენს ძმებს! — საცოდავად და მწუხარედ ამოიხენეშა მან, თითქოს მას აუწყეს გარდაცვალება დრაგანოვისა, ამ საუკეთესო და უძლიერესი მოწაფისა მთელს გიმნაზიაში!..

სტევა ესა და კლასიდან გავიდა, თუმცა ვაკვეთილის გათავების ჯერ კიდევ არ დაერეკათ. ეტყობოდა რალაც უცნაური გრძნობა, იდუმალი სულის კვეთება ჯოჯოხეთურად მტანჯველ მძიმე ლოდად დაწვა გულზედ; სულთქმა გაუძნელდა, სკოლის ჰაერი თითქოს ემძიმება და მასში დარჩენა, იმით სულთქმა აუტანელი გაუხდა.

გავიდა თუ არა მასწავლებელი, მოწაფენი მუშტ-მოღერებულნი, მუქარით მივარდნენ დრაგანოვს.

— მოლაღატე! —

— გაუტანელო! —

— განა შენ გსურდა მასწავლებელს

ალერსით თავზე ხელის დასმიტ-ქებადღებდა შეესხა შენთვის? შესაფერი ქება-დიდებაც მიიღე.

— არავინ გაბედოთ ამ გაფუჭებულ ფლიდთან დალაპარაკება, — ბრძანა ხელმძღვანელმა მოწაფემ.

— საძაგელო! თავლაფიანო!..

გაფითრებულ-დალურჯებული დრაგანოვი მიწიდგან ამოდებულ მიცვალებულს დაემსგავსა. გრძნობდა ის თავის უძლურებას, რომ ველარაფრით ვერ შესძლებდა თავის დაცვას და ჩაქვავებული უძრავად იდგა...

ილ. გოგია.

(შემდეგი იქნება)

† ნინო ივანე ნიკოლაიშვილის ასული ქიქოძისა

უიმიოდან მცირე ჯგუფს ჩვენებურ „კაი“ ქალებისას, მცირე რიცხვს სამაგალითოდ დედებისას გამოაკლდა ერთი საუკეთესო ქალთაგანი.

გასული ნოემბრის 19-ს დაბა უდიზმანში, ერსის ოლქში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე ნინო (ყოფო) ივანე ნიკოლაიშვილის ასული ქიქოძისა.

განსვენებული ეკუთვნოდა ჩვენებურ მასწავლებელ-ქალთა იმ ჯგუფს, რომელთაც დაიწვეს მოღვაწეობა მე-80 წლებში.

ამ უმად მასწავლებელი ქალები საკმაოდ ბევრნი არიან ჩვენში. ქალთა მოღვაწეობას პედაგოგიურ ასპარეზზე უკვე მოხლებული აქვს ჩვენში საკმაოდ სახატო და მტკიცე ალაგი. ყოველსავე ეტვს გარეშე, ჩვენი ქალების მოღვაწეობას ამ მხრით დიდი მამყავლი ექნება.

ხელთ რამდენად შესძლებენ ჩვენი ახლანდელი მასწავლებელი ქალები, მასწავლებლობასთან ერთად, აღმზრდელების წმინდა მოვალეობის აღსრულებას, — ამაზედ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, თითქმის არაფერი ითქმის.

სწორეთ ამ მხრით იყო განსვენებული ნინო იშვიათი მასწავლებელი, აღჭურვილი ნამდიდრად აღმზრდელის მაღლიანი ღირსებით.

ის დაიბადა გურიაში, სოფ. ნიგოთში თავის მამის, ივანე ნიკოლაიშვილის ღარიბ ოჯახში. განსვენებული იყო დისწული ჩვენში კარგად ცნობილის მოღვაწის გერასიმე სვიმონისძის კალანდარიშვილისა. ჰატარა ყოფო ადრე დაბოლდა დედით. იმ ხანებში ჩვენში სოფლის სკოლა თითქმის არსად იყო და ჰატარა ობოლმა თვითონ დაისწავლა წერა-კითხვა. ძალიან ადრე — 6 — 7 წლის უკვე მშვენივრად კითხულობდა „მხედრულსა“ და „ხუცურ“ წიგნებს.



ბუნებით ნიჭიერი, ჭკვიანი და მეტად სურათობითი ბავშვი, დიდის ხალისით ეტანებოდა წიგნების კითხვას და რაც კი მიხვდებოდა ხელში, ყველაფერს გატაცებით კითხულობდა. მაგრამ იმ დროში სოფელში კი არა, ქალაქშიაც ცოტა მოიძებნებოდა ჩვენში ხეივანი წიგნები და ჰატარა შეითხველიც უნებურათ უნდა დასწკრებოდა იმ რავდენსამე დახვსკეულ „მხედრულ“ „ხუცურ“ წიგნებს, რომლებიც მისსა და მისის ნათესავების ოჯახებში მოენახებოდა.

ათას წლის იყო ჰატარა ყიფო, რომელსაც ის წამოიყვანა ქუთაისში მისმა ბიძამ, გერსიძემ კალანდარიშვილმა და იკისრა ობოლი დისწულის გამოზრდა.

არ გასულა ამის შემდეგ ერთი წელიწადიც, რომ სრულიად მოულოდნელად უდროოდ გარდაიცვალა გერსიძემ, დარჩენ უძველეს გარდაცვალებული გერსიძეს ქვრივი და ჰატარა ყიფო.

სწორედ ამ დროს ქალ. ახალციხეში მოღვაწეობდა ჩვენში კარგად ცნობილი მაშინდელი საზოგადო მოღვაწე ქალი, დიდად გონებრივად განვითარებული, მადლი ზნეობით და მტკიცე ხასიათით აღჭურვილი, ახნა ბესარიონ დოღობერიძის ასული მუსხელიაშვილისა.

70 წლებში ახნა მუსხელიაშვილისამ დაარსა ახალციხეში, ძველ ქალაქში, იქაურ ქართულ კათოლიკეთა უბანში, ქალთა უფასო სკოლა.

როგორც კი შეიტყო ახნამ (ახუ, როგორც მას ყველა ეძახოდა, ახნეტამ) თავისი კარგი შეგობრის, გერსიძემ კალანდარიშვილის გარდაცვალება, მაშინვე მასწავლებლათ მიიწვია თავის სკოლაში გერსიძეს ქვრივი, მაშინდელი ჰატარის ჰატარა ყიფოსი. ამ გარემოების წყალობით ყიფო მიხვდა „ახნეტას სკოლაში“, როგორც მაშინ იხსენიებდნენ ახალციხის უფასო სკოლას. თავიდანვე ყიფომ მასწავლებლების ურადდება მიქცია თავის მხვილი გონებით, ბევრითობით და სწავლის უზომო

წყურვლით. ის შეიქნა საუკეთესო მოსწავლე. დასათვის საუკეთესო მოსწავლე. ყიფოს ნატარას და ოცნებს იმ დროში შეადგენდა რამე ნაინათ საშუალო სასწავლებელში მიხვდრას. ამ დროს ადგილობრივ შრესში დაიწყო დახარკი ქუთაისის მაშინდელ 4 კლასიან წმ. ნინოს სასწავლებლს 7 კლასიანად გადაკეთების შესახებ. სწავლას დახატრებული ყიფო დიდის აღტაცებით მიგებდა ამ ამბავს. თავისი სინარული მან გამოსთქვა მაშინდელ გაზ. „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერშიაც, სადა ის, სხვათა შორის, სწერდა: „გულგონად ქუთაისის გუბერნიის მოზარდ ქალებს ასეთი დიდ-მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას, როგორც არის ქუთაისში 7 კლასიან სასწავლებლს სასწავლებლის განსნა. დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანის გული ისეთივე უსზღვრო სინარულით აღტაცდება ამ სასინარული ამბის შეტყობაზე, როგორც ჩემი გული ტოკავსო...“ და სხვა.

გაიხსნა თუ არა მესოთე კლასი ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლისა, ყიფოც შევიდა ამ კლასში თითქმის მარტო საკუთარის ძალდებით მომზადებული.

თავისი ნიჭისა და შრომის წყალობით, ის თავიდანვე საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვში ითვლებოდა, ხოლო თავისი საუცხოო ხასიათის გამო ყოველთვის საუკეთესო და საუკეთესო ამხანაგათ იყო ცნობილი. სამი წლის შემდეგ მან ჩინებული დაამთავრა სწავლა 7 კლასიან სასწავლებლისა. ის იყო შირველი გურული ქალი, რომელსაც ელირსა საშუალო სწავლის მიღება. ამ დროს ყიფო ოცნებობდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას და შემდეგ მასწავლებლად წასვლას. მაგრამ ნივთიერმა უსაღსრობამ შეუძლებელი გახდა მისი ნატარის ასრულება და ყიფომ იმ თავიდანვე აიჩია მასწავლებლობის ასრულება. შირველად მან დაიწყო მასწავლებლობის ასრულება სახურვეთის საქალ. სამინისტრო სკოლაში.

ყოფისა და მის მისწავლეთა შორის თავიანთი და მარად გულწრფელი სიყვარული და ამხანაგური დამოკიდებულება: შაგირდები მასში ხელადაც მართლ მასწავლებელს კი არა, უფროს ამხანაგ-მეგობარს. ნამდვილ მზრუნველს და მოზიარეს თავის ჭირვარამისს.

ოზურგეთს შემდეგ ჟიფო მასწავლებლობდა დაბა ხონში, სადაც იგივე გულწრფელი სიყვარული, იგივე ზატივისცემა და სიყვარული დაიშინაურა, როგორც თავის მოწაფეთა და მათ მშობელთაგან, ისე ნაცნობთა და მთელ საზოგადოებისგან.

რადესაც დაწვრილშვილიანებამ და საკუთარი ოჯახის საჭიროებამ შეუძლებელი გახდა სკოლაში მისი მასწავლებლობა, ის სასკოლო განაგრძობდა სიყვარულ საქმეს მასწავლებლობისა და კერძოდ ამზადებდა შაგირდებს სხვა და სხვა სასწავლებელში მისაღებად. აქაც იმავე სიყვარულით, იმავე მოთმინებით და თავდავიწყებით ეწეოდა თავის წმინდა მოვალეობას აღმზრდელისა, როგორც სკოლის კედლებში. საკმაო იყო რომელიმე მისი მასწავლე ცოტათი მოაზრდებულნი დაენახა, რომ მთელი დამეგობრებულნი ზეზე გაეთქნებია და ნამდვილი დედობრივი სიყვარულით ეზრუნა ავადმყოფი შეგირდზე.

უკვლავურზე შეტად გააფრებდა კაცს ამ აღმზრდელის თავდავიწყება, მოყვანილობის თავდადება თავის ნორმ „ცხოვრებათათვის!“ სწორედ რომ ნამდვილი „კეთილი მშვემისა“ უნდა იყოს მასწავლებელი, რომ ასეთის თავდავიწყებით, ასეთის უზომო მოთმინებით მოეხერხოს თავის „ცხოვრება“, როგორც განსვენებული ეპურობდა თვითყოფის თავის შაგირდს! მისი დინჯი, სერიოზული ხასიათი, მისი საარაკო მოთმინება, მისი იშვიათი გულგუთიანობა, გამჭრინხი და ცხცხალი ჭკუა, საკმაო სერიოზული მომზადება და გონების განვითარება ერთნაირათ მიიზიდავდა განსვენებულისკენ

დიდსა და ზატარას, ჩვენებურსა და სხვა ჩვენებურს.

ყოფის ერთი კარგი ნაცნობი იწერება მის უღრმოდ გარდაცვალების გამო: „რა საშინელი დაცინვას ბედას!.. უღრმოდ სიკვდილი ასეთი კეთილის, ასეთი გონიერის, ასეთი მომქმედი აღმზრდელისა! ეს ხომ მოუნებელი რამეა, შეურბიკელი მოვლენაა. რომელიც უზომო სიძულვილს იწვევს ცხოვრებისადმი“!..



† ნინო ქიქოძისა

ერთი უფიქრი მასწავლე განსვენებულისა ამ ნაირათ ხასიათებს კერძო წერილში თავის სიყვარულ აღმზრდელს: „ჟიფო იშვიათი აღმზრდელი იყო! ასეთი აღმზრდელი განსაკუთრებით ძვირფასია ქართულ ქალთა შორის, იმ უფერულობის, უინიციატივობის და ზისსიურობის ფონზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი დროის ქართულ ქალებს ხასიათებს. მე ბევრჯერ მიუთქრნია ჩემ ძვირფას აღმზრდელზე და მუდამ ეს აზრი მომდიოდა ხელმე მასზე: „ის რომ ჩვენი თაობის ეკუთვნოდეს, უსათუოდ დიდი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იქნებოდა. ამისთვის მას უკვლავური ხელს უწ-



უბოძდა: სადი ჭკუა, სერიოზული ხასიათი, რიგანი მომზადება და განსაკუთრებით მშვენიერი გული. ვიდრემ სთქვა: გენიალობა ორ ნაირია: ჭკუისა და გულისა. თუ ეს ასეა, ჟიფი შეგვიძლია გენიალურ ადამიანად ვიცნოთ. მასხავს, რცა მე მასთან ვიზრდებოდი ყოველ ჩემ გაჭირვება-უსიამოვნებაში, ყოველ ჩემ ბავშურ დარღვა-ვარამში, მისი რადაც განსაკუთრებული, არა ჩვეულებრივი, სერიოზული სულის სიმშვიდით და იშვიათი გულკეთილბოთით მბნურება მალამოსავით ედებოდა ჩემ ბატარა დანადგოიანებულ გულს. ასეთი იშვიათი დირსებით აღჭურვილ ადამიანის ასე უდროთ სიკვდილი მით უფრო სამწუხარაა, რამ, რეგორც ვიცით, ცხოვრებაში მას უმთავრესათ მხლელად სიმწარე და მძიმე შრომა-ტანჯვა არგუნა ბედმა. მაგრამ ეს ხომ თითქმის საერთო კანონია: „ტანჯვა-ვაება სვედრია უცოდველთა“.

ასეთი იყო განსვენებული ჟიფი, რეგორც მასწავლებელი და აღმზრდელი. თუმცა ის საკუთარ პირად საქმეს, საკუთარი ოჯახისა და შვილების ინტერესებს ყოველთვის ანაცვალებდა თავის წმიდა მოვალეობას მასწავლებლისა და აღმზრდელისას, თუმცა ის ოჯახზე და ქმარ-შვილზე ათასჯერ ნაკლებ ზრუნავდა და შრომობდა, მაგრამ ეს

საფცარი ადამიანი მაინც სამავალთა და აღმზრდელი დედა იყო თავისი რვა შვილებისა, ერთგული და ჭეშმარიტი მეუღლე ამხანაგი იყო თავისი ქმრისა. მუდამ ხელმოკლეობაში მყოფი, მუდამ ნივთიერ გაჭირვების კამტდელი, ის საფცარის მოთმინებით და სულგრძელობით იტანდა ყოველგვარ უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას, მხნეთ და ენერგიულათ უძღვებოდა დიდი ოჯახის მოთხოვნილებას, თავგანწირულებით ზრდიდა შვილებს, რომელთაგან მისის ენერგიისა და შრომის წყალობით, ორი უმაღლეს მასწავლებელში იზრდებოდა, ერთს საშუალო მასწავლებელი დაემათავრებია და დანარჩენიც აგრეთვე საშუალო მასწავლებლებში სწავლობდნენ.

რეგორც ნამდვილ აღმზრდელს, მას კარგათ ჭქონდა შეგნებული დედა-ენის მნიშვნელობა აღზრდის საქმეში და რეგორც შვიკრდებს, ისე საკუთარ შვილებს სამომბლო ენაზე ასწავლიდა და ავითარებდა.

ასეთ იშვიათ პიროვნების უდროთ სიკვდილი უნებურათ დაამწუხრებს თითოეულ ჩვენგანს და აღუძრავს ნატვრას, რამ ჩვენს ქვეყანაში ხშირი ყოფილიყოს განსვენებული მსგავსი მასწავლებელი—აღმზრდელი, დედა და ადამიანი!

მეგობართავანი.

სასიქადულო სიცოცხლე და მშვიდობიანი გარდაცვალება
(ნიკო დოდობერიძის ხსოვნას)

ამ ბოლოს ხანში სიკვდილის ცელმა ჩვენზე მოიცალა. ეს წყეულ-შეჩვენებული სცელავს არა უბრალო ქართველებს, არამედ საუკეთესო ქართველ ინტელიგენტებს. ჯერ ხელიდან გამოგვაცალა დავით სარაჯიშვილი, მერე ნიკო ცხვედაძე და ამ დღეებში ნიკო დოდო-

ბერიძეს მოუსწრაფა დღე სრულიად მოულოდნელად. ნიკო დოდობერიძე იშვიათი პიროვნება იყო. მასში ძმურად მოთავსებული იყვნენ იმიერის და ამიერის ყველა საუკეთესო ღირსებანი. მომხიბლავი თავაზიანობა და შრომის მოყვარეობა, ნამდვილი

ჰუმანიზმი და დარბაისლობა, საფუძვლიანი განათლება, სამშობლო ქვეყნის სიყვარული, რომელიც ისე ბრწყინვალედ დაამტკიცა თავისი ანდერძით, ერთად იყვნენ შედუღებულნი ამ ქართველს ინტელიგენტში და ჰქმნიდნენ მეტად სიმპატიურს ტიპს **ქართველის დჟენტლმენისას.**

ნიკო ლოლობერიძე აღიზარდა იმავე პირობებში, რომელშიც იზრდება ყველა ქართველი ინტელიგენტი; მაგრამ სხვებისაგან იგი საგრძნობლად განსხვავდებოდა. იშვიათს ქართველს შეუძლიან დაიკვებოს ის ქართული დჟენტლმენობა, რომელიც ამშვენებდა მას. მიზეზი ამ განსხვავებისა, ვგონებ, მოიპოვება გვარეულობის საიდუმლოებაში. რომელი წევრიც გინდათ აიღოთ განსვენებულის ნიკოს სახლობიდან, ყველაში შეამჩნევთ განსაკუთრებულს ღირსებასა. მეტადრე ეს ითქმის მის განსვენებულ დაზე, ანა მუსხელიაშვილის მეუღლესზე, რომელშიაც მოიპოვებოდა ყველა მისი ძმის ღირსებანი და რომელიც წარმოადგენდა სამაგალითო ტიპს ქართულის განათლებულის მანდილოსნისას, ტიპს, რომელშიაც ჰარმონიულად იყვნენ შეზავებულნი მაღალნი ღირსებანი იმერეთის საუკეთესო ასულისა და სამაგალითო ამიერის მანდილოსნისა. მისი მეცადინობით დაარსდა, სხვათა შორის, ქალაქ ახალციხეში საქველმოქმედო საზოგადოება და გაიხსნა ქართველთა მოზარდი თაობისათვის პირველ-დაწყებითი სკოლა, წმინდა პედაგოგიურს გეგმაზე აშენებული და ჩინებულად წარმოებული მისი სიცოცხლის დროსა.—

განსვენებული ნიკო თბილისის გემნაზიის ვათავების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა ო ჩინებულად დაასრულა კურსიმესამოცე წლების დასაწყისში. მას ადვილად შეეძლო დარჩენილიყო

პრივატ-დოცენტად; მაგრამ სამშობლოში დაბრუნება არჩია. იგი იქმნა განწესებული თბილისის პირველს გემნაზიაში გეოგრაფიის და ისტორიის მასწავლებლად, რომელიც მისს სპეციალურს საგანს შეადგენდა, რადგანაც კანდიდატი იყო საისტორიო—ფილოლოგიურის ფაკულტეტი-სა. თავისი საფუძვლიანი ცოდნით, საგნის ნათელი ახსნით და მომხიბლავ ხასიათით იგი შეიქმნა უსაყვარლეს მასწავლებლად მთელს გემნაზიაში. პირდაპირი



† ნიკო ლოლობერიძე.

საქმის გარდა იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბევრს საზოგადო საქმეში. მის სადგურში ხშირად იმართებოდა სხვა და სხვა საზოგადო ჯგუფების კრებები. აქ იკრიბებოდნენ ქართველი ლიტერატორები, ქართველი აკტიორები, ქართველი მოღვაწენი. აქ დაიბადა აზრი ახალის ქართულის შრიფტის შექმნისა, ახალის სტამბის გახსნისა და ქართულის გაზეთის და-



არსებისა. ეს წადილნი მარტო ოცნებად არ დაჩნენ. ჩქარა შესდგა ახალი მრგვალი შრიფტი და შეკვეთილ იქმნა ვენაში, რის გამოც მას ვენური შრიფტი დაერქვა. ამის შემდეგ გაიხსნა ახალი სტამბაც ამხანაგობის მიერ, რომლის წევრებად იყვნენ: ნიკო ლოლობერიძე, დიმიტრი ბაქრაძე, ვახტანგ თულაშვილი და სტეფანე მელიქიშვილი. სტამბის გახსნას მოჰყვა დაარსება იმავე ამხანაგობის მიერ „დროებისა“, რომელიც ჯერ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მერმე სამჯერ და ბოლოს ყოველ დღე. ყველა ამ საქმეში მახლობელს მონაწილეობას იღებდა აწ განსვენებული ნიკო. დიდი ყურადღებით ეპყრობოდა თვით რედაქციას გაზეთისას. კალმითაც იღებდა მონაწილეობას. სხვა თა შორის, მან „დროებაში“ დაბეჭდა მეტად ვრცელი სტატია ევროპიის კონსტიტუციებზე, რომელიც ღირსია, რომ ცალკე წიგნად გამოიცეს.

რამდენისამე წლის შემდეგ ნიკომ ასპარეზი გამოიცვალა. გამოიცვალა იმის გამო, რომ გემნაზიის დირექტორის ჟელიხოვსკის რეჟიმს ვერ გაუძლო. მან მიიღო ინსპექტორობა ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სკოლებისა. მეორე ინსპექტორად ამავე სკოლებისა განწესებულ იქმნა ჩვენი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც ყმაწვილობის დროს რამდენსამე წელს იყო მასწავლებლად სამოქალაქო სასწავლებელში. ორნივე მომზადებულნი იყვნენ თავისი ახალი მისიისათვის და ერთგულად შეუდგნენ საქმესა. სასოფლო სკოლების მოწყობა, ორგანიზაცია და წარმოება მაშინ ახალი საქმე იყო, საქმე რთული, და ამიტომ ორივე ინსპექტორი ბევრს დროს ანდომებდა თვისი თანამდებობის პირნათლად გაძღოლას. მართავდნენ კრებებს და ამ კრებებ-

ზე მიწვევდნენ მეცა. კრებებში მონაწილეობდა ხან ბაქრაძესთან კუკიაში, ხან ნიკოსთან მთაწმინდაში, ხან ჩემთან სემინარიის კორპუსში. სკოლები მალე რიგზედ მოეწყო და ბევრს სოფლებში გაჩაღდა კერა განათლებისა. რევიზიაზე ორნივე ხშირად დაიარებოდნენ და ხელმძღვანელობას უწევდნენ მასწავლებლებსა. ეს მდგომარეობა რომ დიდ ხანს გაგრძელებულიყო, სკოლიანი სოფლები სხვა სოფლებზე ბევრით წავიდოდნენ წინ და ეს უკანასკნელიც დაიარსებდნენ განათლების კერებსა. მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ დიდმა დაბრკოლებამ იჩინა თავი. ეს სკოლები დაბეზლების, დასმენის, საგნად შექმნეს გარეულმა და შინაურმა ინტრიგანებმა. დაიწყეს დასმენა, რომ ლოლობერიძის და ბაქრაძის სკოლები ქრისტიანობის აღდგენას კი არ უმართვენ ხელსა, არამედ ქართულს ნაციონალიზმს და სეპარტიზმს სთესავენ სოფლებშიო. ამ დასმენამ ის შედეგი მოიტანა, რომ საოსტატო ინსტიტუტის დირექტორს ზახაროვს მიანდეს ახალი სამოსწავლო გეგმის შედგენა. ამანაც არ დააყოვნა და ისეთი სარუსიფიკაციო პლანი გამოაცხობ, რომ ქართული ენის სახსენებელიც კი თითქმის გააქრო. ეს პლანი მისცეს ორივე ინსპექტორს და უბრძანეს, ასე მოაწყეთ თქვენ მიერ მონდობილი სკოლებიო. პასუხად ორნივემ არძა მისცეს სამსახურიდან დათხოვნისა.—

სკოლები გადავიდა ზახაროვის განმგებლობაში, და, რა საკვირელია, რამდენისამე წლის შემდეგ საარაკო უნაყოფობა მოჰყვა ამას. მე ეს უნაყოფობა გამოვაშკარავე ქართულს ენაზედაც (იხილეთ ჩემს რჩეულს ნაწერებში: **ზე ნაყოფიო იცნობება**) და რუსულზედაც, გაზეთს თბილისის უწყებაში (Тифлисский Вѣстникъ)

მთელი რიგი სტატიებისა ვუძღვენ ამ საგანსა და იმდენი ფაქტები, — მოწოდებული, სხვათა შორის, ახალ-ციხიდან ნიკოს დის მიერ, — მოვიყვანე სკოლების უკულმართობისა, რომ თვით მეფის მოადგილემდღმა მთავარმა მიხეილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ჩამოართვა ზახაროვს მათი გამგებლობა და დაუბრუნა სასულიერო მთავრობასა. მაგრამ ეს მთავრობაც პოლიტიკანობის გზას დაადგა და შეუძლებელი გახადა დაბრუნება ინსპექტორის თანამდებობაზე ნიკო ლოლობერიძისა და დიმიტრი ბაქრაძისა.

ამის შემდეგ განსვენებულს ნიკოს ვხედავთ ჯერ მომრიგებელ მოსამართლედ და მერმე ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრად. ამ თანამდებობებზედაც მან დაიმსახურა სახელი პირუთვნელი, სვინიდისიერი და მიუდგომელი მოსამართლისა. მაგრამ ეს ოფიციალური სამსახურიც მას არაფრად ეპიტნავებოდა და ამიტომ იგი ვასცვალა კერძო სამსახურზე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში.

აქნობამდინ ამ ბანკის გამგედ იყო ბიძა-შვილი ნიკოსი-ბესარიონ ლოლობერიძე, ფრიად განათლებული ქართველი ინტელიგენტი, მეტად უნაგარო და სამაგალითო შრომის მოყვარე. მან დასტოვა სახალხო სკოლების დირექტორობა, რადგანაც გარუსების პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა დაადგა მაშინ, ჭირივით ეჯავრებოდა, და იმერეთის თავად-აზნაურობას ბანკი დაარსებინა, რათა ამ ბანკის შუამავლობით მეურნეობა აეყვავებინა თავის სამშობლოში. ბესარიონ ლოლობერიძე იმ გვარი ფართო განათლებით იყო აღჭურვილი და ისეთი მაღალი ღირსებებით შემკული, რომ ადგილობრივ კავკასიის განათლების სფეროში პირველი ადგილი ეჭირა და მას განსაკუთრებული

პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველა კასიელნი: რუსები, ქართველები, სომხები და სხვები.

ამისთანა პიროვნებას თვით ინგლისში დიდი სიამოვნებით ჩააბარებდნენ ყოველს ბანკსა. ჩააბარა მას თავისი ახლად დაარსებული ბანკი იმერეთის თავად-აზნაურობამაც, და ბესარიონიც შეუდგამის მართვასა. ბანკი ჩინებულს გზაზე დააყენა, და რომ დასცალეობდა, ბესარიონი მას უდიდეს და ფრიად სასარგებლო საფინანსო დაწესებულებად გადააქცევდა. მაგრამ აუტყდნენ მას ადგილობრივი ინტრიგანები, შურით გაყდენთილნი, გააბეს დაუსრულებელი ყფა გაზეთების საშუალებით და უდროვოდ ჩაიყვანეს საფლავში. თავად-აზნაურობამ მის ადგილზე ამოირჩია აწ განსვენებული ნიკო, რადგანაც ამისიც უსაზღვრო ნდობა ჰქონდა. ნიკომ, ყოყმანის შემდეგ, ეს თანამდებობა მიიღო და შეუდგა საქმესა. მაგრამ დიდ ხანს არც ეს აბოგინეს ამ ადგილზე. იგივე ინტრიგანები ამასაც დაეხვივნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. კარგა ხანს ითმინა ნიკომ; მაგრამ ბოლოს მოთმინების ძაფი გაუწყდა, დაანება თავი ბანკის გამგებლობას და შავი ქვის მრეწველობას შეუდგა. ინტრიგანობამ საგრძნობელად დააქვეითა ბანკი, გამგებლებად ირჩევდნენ თავის უნიჭო ყურმოჭრილს ყმებსა და ისე დასცეს იგი, რომ ეხლა უნიჭიერესს გამგესაც არ შეუძლიან იგი აყვავების გზაზე დააყენოს. ლოლობერიძეების ხელში კი რომ დარჩენილიყო ბანკი, ახლა იგი, ექვს გარეშეა, სწორედ საშურველს მდგომარეობაში იქმნებოდა. —

შავი ქვის მრეწველობაშიაც განსვენებული ნიკო იჩენდა თავის ძვირფასს ხასიათსა. მუშებს აძლევდა სხვებზე მეტს ფას-



სა და ეპყრობოდა მათ თავაზიანად, ძმურად. იგი ბრძანებით კი არ აკეთებინებდა საქმეს, პირადი მაგალითით მოქმედებდა: ყველაზე მეტს იგი შრომობდა დილიდან საღამომდინ. პეტრე უმიკაშვილი, რომელიც ნიკოსთან მსახურებდა შავი ქვის მრეწველობაში, უღრმესი მადლობით იხსენიებდა მას; აგრეთვე ბ-ნი ფილიპე გოგინაიშვილი, რომელსაც გერმანიაში წასვლამდინ ნიკოსთან ჰქონდა ადგილი და იქ შეგროვილი, ფულით მერმე მთელი ხუთის წლის განმავლობაში სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში. ერთი სიტყვით, ამ ხანაშიაც თავისი დეენტლმენობისათვის ნიკოს არ უღალატუნია.

ბოლოს, ხნიერებისა და დაქანცულობის გამო, განსვენებული ნიკო იძულებული გახდა თვისი საკუთარი მადანი შავის ქვისა გაეყიდნა და დასვენებას მისცემოდა. დასასვენებლად ევროპაში ცხოვრობდა, და მხოლოდ ზაფხულობით მოდიოდა ორიოდ თვით თავის სამშობლოში. თავის მარჯვენით შექმნილს ქონებას იგი დაზოგვით, ეკანონიურად ხარჯავდა, რა-

თა თავისი გაჭირებულის სამშობლოსთვის მეტი ფული დაეტოვებინა. და აკი კიდევ დაუტოვა. მთელი თანხა, 66 ათასი მანეთი, პატროსანი შრომით მოპოებული, მან უანდერძა წერა-კითხვის საზოგადოებას, საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოებას, განათლების და ლიტერატურის აყვავებას თავისს საყვარელს სამშობლოში.

ამისთანა ყოვლად ღირსეულს სიცოცხლეს მოჰყვა მეტად მშვიდობიანი გარდაცვალება. საღ-საღამათმა ნიკომ ღამის თორმეტ საათზე დაიძინა, უტანჯველად გამოესალმა ძილში წუთისოფელს და გადასახლდა ზეციურს სამშობლოში.

გადასახლდა მეთქი მოგახსენებთ იმის გამოც, რომ საფრანგეთის ერთი გამოჩენილი მეცნიერი—ფლამარიონი ამბობს: კვდიბიან და ქრებიან მარტო უგუნურნი და ბოროტნი, როგორც უარყოფობითნი არაფრობანი, ნულები; ხოლო გონიერნი და კეთილნი, როგორც მკვიდრნი ზნეობრივნი ძალნი, ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც, სტკბებიან არსებობითო.

იაკობ გოგებაშვილი.



აღაგირელ ქართველთა კულტურული ნაბიჯი

(წერილი ჩრდილო კავკასიიდან)

ქალაქ კავკავიიდან დასავლეთისაკენ 52 კერსის მანძილზე სოფელი **აღაგირი** მდებარეობს. აღაგირს საზღვრავს: აღმოსავლეთით—მდინარე ანდანი, ჩრდილო-აღმოსავლეთით—სოფელი სალუგარდანი, დასავლეთით—სახელმწიფო ტყე, სამხრეთით—ესეთის სამხედრო გზატკეცილი. აღმინისტრატორული აღაგირი თერგის ოლქის კავკავიის განყოფილის მესამე

საზოლინო უბანს ეკუთვნის და უბნის ბოქაულის რეზიდენციას შეადგენს. აღაგირი შავი ზღვას ზედა პირთან 2096 ფუტის სიმაღლეზე ქვს და კავკასიის მთათა მწკრივის კალთებ ქვეშ საუკეთესო მდებარეობის ადგილი უჭირავს: მარად დაუმშრალი, ჯანსაღი, მთის ანკარა, გემრიელი კალმასით მდიდარი, მდიანარე, **არღონი**, ნოყიერი და მოსავლიანი



ალაგირის სკოლა, ლიტანია სკოლის კურთხევის დღეს.



სახნავ-სათესი მიწები, მრავალი საბაღახოები, სამი მხრით შემოტრუმული ველებით, ტუეები—აი რა შეადგენს ალაგორელ მკვიდრთა სიამაყეს და სიმდიდრეს. სწორედ ეს უხვად დაჯილდოებული ბუნება და მასთან სახნავ-სათესი მიწების რაოდენობის სიმრავლე უფიქსირებს იმის მიზეზი, რომ უადგილობრივ შემწობებელი რაჭველი გლეხკაცობა ამ 30 წლის წინათ გადმოსახლებულა ალაგორში და ჩვეულებებისამებრ ხარბათ დასწავებია მეურნეობას. შირველი „ემიგრანტები“, რომელთაც წილად ხდებოდა საძირკველის გასკვნა და საფუძვლის ჩაყრა ალაგორში, უფიქსირებდნენ თხუთმეტობდე კომლი **ლობუანიძეები** და **მეტრეველები**. იმ დროს ალაგორში მოქმედებდა რუსეთის კამპანიის ტუევა-გურცხლის ქარხანა, სადაც **სადონის** საშთო მადნებიდან (35 ვერსის მანძილზე ალაგორიდან) ეზიდებოდნენ მადანს. ამ ქარხანას მიუზიდავს რუსეთიდან უსაქმოდ დარჩენილი მუშები. როცა ქარხანას მუშაობა შეუწყვეტია *), რუს მუშებს აუღიათ იჯარით ხაზინის სახნავ-სათესი მიწები და საბაღახო ადგილები, რა საკვირველია, თითქმის მუქთად, და მეურნეობისათვის მიუყვით ხელი. გარდა იმისა, რომ თვითონ ამუშავებდნენ იჯარით ადებულ მიწებს, მოთხოვნილებებზე გადაშტეტებულ ნაკვეთებს აქირავებდნენ დესიატინობით: სახნავ მიწებს წლიურათ 3 მანეთად—დესიატინის, ხოლო საბაღახოს—ათ შაურათ. ასეთ ათე ფასებში ადგილების ადებს ძლიერ ხელსაყრელი და სასარგებლო შეიქნა ახლად გადმოსახლებულ შრომის მოყვარე რაჭველ ემიგრანტთათვის. ისინი ბეჯითად და ენერგიულათ შეუდგენ ბაღებისა და ბოსტნების გაშენებას, ხვნა-თესვას და აი, მხოლოდ ეს დარგი მეურნეობისა შეადგენდა მათ ცხოვრუ-

ბის საღახოს, —უმეტეს ნაწილად დასახლებულნი იყვნენ შეადგენს დღესაც. გადმოსახლებულთა რიცხვს შრომისათვის დაუწყია ზრდა და დღეს ალაგორში მცხოვრებ ქართველთა რიცხვი 200 კომლამდე აღის, რაც 1000 სულზე მეტს შეადგენს. (ორთავი სტატისტიკა). ქართველები თითქმის ყველა **რაჭიდან** გადმოსახლებულნი არიან. შემოსახლებულ 200 კომლში შედიან: 46 კომლი — ლობუანიძე, 32 კომლი — მეტრეველი, 20 კომლი — რეხვიანი შვილი, 5 კომლი — გუგუშვილი, 4 — ჩიკვილაძე, ხიდაშელი, გაბისანი, ჩინლაძე — ოთხ ოთხი კომლი, გობჯიშვილი, კავაშვილი, ჯაფარიძე, სულთანშვილი, ტაბუნიძე, ალაგვიძე, დოკვიძე, სხირტლაძე, მასურაძე — ორ-ორი კომლი, ჩ. გიდაშვილი — 3; საბანაძე, მინდელაშვილი, გოგაური (კახეთიდან) გამურელი და სხვა — თითო კომლი... თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელს ალაგორში 4550 სული მცხოვრები ითვლება (იხილეთ *Стат. Тер. Обл. за 1911 г.*), ქართველები შეადგენენ თითქმის მთელ მცხოვრებთა **მეოთხედ** ნაწილს 1).

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საგრძობლათ აწეულია სახნავ-სათესი მიწის ფასები 2), (სახნავ-სათესი — დესიატინა იტემა — 30 მანეთად, საბაღახო — 15 მანეთად.) ქართველები, როგორც შემთავსებელად აღნიშნული, უმთავრესათ მიწის მუშაობას ეწევიან. სიმინდი, ზურბი, ლილითურა, კვანი, ბოსტნეული და სხვ. ბარაქიანათ მოდის. აქაური ვაშლი, ქლიავი, მსხალი — ხომ საუკეთესო თვისების ხილათ ითვლება. რკინის გზის სადგური-დარკონის სიახლოვედ და

*) მადნები იჯარით აუღია ბელგიის კამპანიის და ქარხანა კავკავში გაუხსნია. ეს ქარხანა ამხადებს გოგირდის სიმყავეს...

1) ალაგორში ცხოვრობენ: ოსები, რუსები (გარდა ქართველებისა) და ორიოდ სომეხი. ოსები თითქმის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენენ.
2) ოსს **ბახიშვილს** რუსებიდან აღებული აქვს წლით 600 დესიატინამდე საბაღახო და სახნავი მიწა იჯარით საეკსპლოატაციო მიზნით.



ალაგირის სკოლის მოწაფეები და მასწავლებლები.



მასთან კარგი გზებიც ხელს უწყობს მცხოვრებით თავიანთი ნაწარმოები, შრომის ნაყოფი გზავნონ სხვა და სხვა ადგილას და ბაზარი მოუზოვონ. გარდა მიწის მუშაობისა აქაური ქართველები აშენებენ აგრეთვე დორებსა კომერციულის მიზნით და კარგ ფასებშიაც ვიღიან. იშვიათად ნახავთ მიწის მომუშავეს, რომ საკუთარი ოჯახი, ხარ-ურემი, ძროხა და მიწური ცხოველები და ფრინველები არ ჰყავდეს. მცხოვრებთა შორის არიან აგრეთვე: 17-დე ვაჭარი, 25-დე—დურგალი, არიან: მეთონეებიც, მჭედლები. მეფურნეები და სხვა... შედარებით ალაგირში სანოვანისა და სხ. იათობას. მაგალითად: საყენი შემა მოტანითა და დადგით—10 მანეთი ღირს, ხორცი—გირვანქა—11 კაპ., ზური—1 შ., ფუთი მისხლი—40 კ. (ორი აბაზი) და სხ... ჰავა ჯანსაღი და მშკადაა. ზამთარში სიცივე ნშირად 20 %-ი ადის ხელმე. ზაფხულობით კავკავიდან და სხვა ქალაქებიდან ალაგირს, როგორც სააგარაკო ადგილს, ბევრი სტუმრები ეტანება.

სწავლა-განათლების მხრით ალაგირი არ ჩამორჩენია მის სოფლებს. აქ არსებობს: ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა, ოსების ერთკლასიანი ზირველ დაწვებითი სკოლა, **ქართული** (სამრეკლო) ერთკლასიანი სკოლა და წიგნთ-საცავ სამკითხველო. მკითხველის ეურადდება უნდა შევაჩერო ქართულ სკოლაზე და მის მოკლე ისტორიაზე.

როცა გადმოსახლებულ ქართველთა რიცხვი საკმაოდ გაზრდილა და სკოლის ასაკის ბავშვთა რიცხვსაც უმატნია, რამოდენიმე მოწინავე შეგნებულ გლეხს დაბადების აზრათ სკოლის დაარსება, ხელდა ამ აზრის განხორციელება ძლიერ საძნელო გამხდარა თავდაზირველად: უმრავლესობა წინააღმდეგი ყოფილა. მიუხედავად ამისა, ნადავ ჩინისა და ავითარის სკოლის სარგებლობაზე თავისი ნაყოფი გამოუღია და უმრავლესობა დაუთანხმების სკო-

ლის დაარსების საჭიროებაზე. მთავრობის წინაშე შემწეობა გაუწევიათ: კავკავის საგარეო დრო ტაძრის დეკანოზს შამა კ. **ალექსანდროვს** და კავკ. გიმ. მასწავლებელს ბ-ნ კახიძეს. 1897 წელს ნება დაურთავთ სამრეკლო სკოლის გახსნისა. დაარსებისათვისვე აღნიშნულ სკოლაში სწავლა ქართულს ენაზე დაუწყიათ. თვით ალექსანდროვი მუამდგომელი მთავრობის წინაშე, იმ აზრისა ყოფილა, რომ სკოლა მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა სავნების სწავლება მშობლიურს ენაზე იქნება (არ ჰგვანებია იმერეთის ეპარ. საბჭოს წევრებს—„ქართულ ტუავში განხეულ ზურიმკვირვებს, რომელთაც ქართული ენა შეუვიწროებიათ შ. დ. სკოლებში—იხილე—ი. გოგობაშვილის წერილი (სახ. გ. № 455) და მართლაც დღემდე სკოლაში თავისუფლად წარმოებს სწავლება თითქმის ყველა სავნებისა ქართულს ენაზე. ოფიციალური გამგე სკოლის მდებელი ანდრეევსკი (ქართული არ იცის) მხოლოდ ქალაქზე ითვლება სადგომ სჯულის მასწავლებლად, ფაქტიურად სადგომ სჯულს თვით მასწავლებლები ასწავლიან, სამშობლო ენაზე“). 1910 წლამდე სკოლის ყველა განყოფილების მოსწავლეებს ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. თავის არსებობის განმავლობაში სკოლას 5 მასწავლებელი გამოუცვლია: ზავლე დომთათიძე, ერმ. სირბილაძე, გრიგოლ რაზმაძე, დედუშაური, მექაშვილი. სკოლის გამორცხლებასში და ხალხის გულში სკოლის სიყვარულის შთანერგვის საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის ბ-ნ რაზმაძეს (ამ ჟამათ კავ. ქართულ სკოლაშია მ—ლათ) ზირველი ქართული ხორა ალაგირში მან შეადგინა და ზირველათ ქართული წარმოდგენა მან გამართა. 1910 წლიდან სკოლას ერთი მასწავლებელიც მოემატა და ამ ჟამათ ორი მასწავლებელი ასწავლის: გიორ. უტურაშვილი და ქ-ნი აგრათ. ფორცხვერაშვილი. სკოლაში 100 მოსწავლე ქალ-ვაჟი სწავლობს.



ალაგირის სკოლის ამუშენებელი კომისია და ალაგირელი ქართველები.



დღემდე სკოლა ნაქირავებ შენობებში იყო მოთავსებული და ხშირათ იცვლიდა ბინებს დღეს კი სკოლას საკუთარი აკურის, თუხუქის სასურავით, ვეპერთელა ერთ საართულიანი შენობა აქვს. შენობა 11,500 მან. ღამჯღარა, გარდა სკოლის ადგილისა, რომელიც მცხოვრებთ 1350 მანეთად უყიდნათ (150 ოთხ. საყ). დარბაზი 26 ანშინა სიგრძით და მოწყობილია წარმოდგენების გასამართავათ. ეს ვეპერთელა ტაძარი მეცნიერებისა, გამავრცელებელი განათლებისა მდაბიო ხალხში, სულ რაღაცა 8 თვის განმავლობაში აუგია ენერგიით სავსე, შრომის მოყვარე ქართველთ, „ვევლას ერთისთვის, ერთი ვევლასთვის — ვეველას ერთი მიზნისთვის“, აი დიადი ძალა, რომელსაც აუმჯამებობა მშრომელი ხალხი, შეუკავშირებისა და შეერთებული შრომის ნაყოფი გამოუღოს... დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვისთ საქმის მეთაურებს და წინამძღოლებს: ილია ლომჯანიძეს, ალექსი ლომჯანიძეს, ოქრუა ლომჯანიძეს, ილია გუგუშვილს, სოლომონ მეტრეველს და სხვ.

13 ნოემბერს მრავალი მოხატულებული სტუმრებისა და თითქმის მთელი ალაგორელი ქართველების თანდასწრებით, დღის 12 საათზე, მოხდა ახლათ აშენებული სკოლის შენობის კურთხევა. სკოლის კურთხევის შემდეგ ახალი შენობის ვეპერთელა დარბაზში და დერეფანში სტუმარ-მასწავლებლები რიცხვით 300-დი მოუსხდნენ სუფრებს და სადიდის ჭამის შეუდგნენ. „მოგილოცავთ ძებო, დიდებულ დღეს, თქვენი შრომის ნაყოფის დაგვირგვინებისას, მადლობისა და პატივის ცემის დროსა ალაგორელი ქართველი საზოგადოება, რომ მიბაძვის დროსი მაგალითი გვჩვენებს და თავისი შრომით ასეთი მშენიერი შენობა ააკო, გაუმარჯოს თქვენი შრომის ნაყოფს!“ — გაისმა პირველი ხმა ტალღებისას... ხალხმა „ვაშა“ დაიგრილა და ხორამ ბ-ნ უტურაშვილის ლიტარობით მრავალ-ყამიერი იგაღო-

ბა... „მით უფრო გასახარელი, დიდი პატივი და სამასხორე არის დღევანდელი დღე, რომ მშრომელი ხალხი, თავის დაკარძებული ხელებით აკებულ შენობას, თავის ნაშრომს თავის თვალთა ხედავს და მის დიად სარგებლობას თვითონა ჰგრძნობს, განაგრძეთ ასეთი გზით მსგელოება, მშრომელი ხალხი, და საუკეთესო მერმისი თქვენი იქნება“... ამბობს მეორე ორატორი და კვლავ „ვაშა“-ს ძახლი და მრავალ ყამიერ. „ის დრო, როცა თეზიკურა, ბარბაროსული ძალა, ერთი ერისა მეორე ერის მიერ დაპყრობა, განადგურება და შეუღანაჟა, სისხლის ღვრა — ითვლებოდა გმირობათ, დიდებულ დღესსწავლათ, შეიცვალა დღეს; დღეს სხვა რამე ითვლება გმირობათ, ვაჟაგრობათ, დღეს უფრო სხვა რამეს სდღესსწავლათ. სახელობობ ის, რასაც თქვენ დღესსწავლათ. დღეს — სწავლა-განათლების გავრცელება, მდაბიო ხალხის კათოთხრობიერება — აი რა ითვლება გმირობათ; „ხმალი იმოდენს ვერა იქმს, მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმის მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“, განა იანონიამ განათლებით, არ დაამარცხა ვეპერთელა რუსეთი!?... დიდათ მხნარული ვარ, რომ თქვენ სწორეთ ამ გზას დადგომიხართ, ნუ მოშორებით ამ კულტურულ გზას, იარეთ ამ გზით, და, მერწმუნეთ, რომ თქვენთვის ადვილი შეიქნება კერპის დამსხვრევა, მტრის ძლევა, ბნელ უკუნეთი კათარტება და თქვენთვის გათენდება“... დანძინა მესამე ორატორმა: „ამდენხანს აქა ვმისხურებ და ერთი მაგალითი არ მახსოვს, რომ ქურდობაში, ან რაიმე ცუდ საქმეში ქართველი გარეოდეს, ეს დიდად სისამოვნო მოვლენასა. აქაური ქართველების საქმე — შრომა და ვევლასე მეტი შრომა დღეს გამოიჩინა, — ეს განათლების ტაძრის აკება, მისი დაგვირგვინება“... რისიანი ხმით წარმოითქვა ადგილობრივმა გამომძიებელმა (ტომით აისორმა). ვეველას ორატორების სიტ-



ალაგირის სკოლის კურთხევის დროს დამსწრე სტუმრები.



ევაში მშრამელი ხაღის ხრტბა, მშრამელი ხაღის სიძლიერე იყო აღნუსხული.

კაკაკვიდან მრავალი მისაღობი დეპეშა მოვიდა: ბ-ნი იოსებ შვილიევისაგან (თავმჯ. წ. გ. ს. გ. ს.), თავ. იოსებ ლორთქიფანიძისაგან, გ. ბურდუღისაგან, ზ. კვიციანი-გან, შკედლიევიისაგან, ნათაძისაგან, თ. სარაჯიევიისაგან, ილია სხირტლადისაგან, ტ. კახიძისაგან (რამელმაც სკოლას თავაღ. ს. სურათები შესწირა), იმედაძისაგან... ს. უახბებევიდან—მღვდელ ბათლამე დუდუშაური-საგან და სხ.

აღდებრძელეს ი. შვილიევი, ი. ლორთქიფანიძე, სახელმწ. დუმის ქართული დეპუტატები: გეგეჭკორი და ჩხეიძე. კარგი შთაბეჭ-

დილება მოახდინეს თამადაშ ბ-ნმა განათლებამა, გოგოვაშკინმა (ტენიკია), კაკაკვიდან.

13 ნონბერი მარად დარჩება ალაგირელ ქართველთა ხსოვნაში, ამ დღეს აკურთხეს წყვდიადის უსაშანელესი მტერის, სკოლის გეგებრთელა შენობა, აგებული ზირდაზირი, საკუთარი გლენკაცობის შრამით და თფლით. გუსურკებ ალაგირელ ქართველებს, რამ ისეთი ცხოველ-მოთფელი სულით აღვსებულეფონ მათი შრამის ნაყოფი; რამ უოველ ქართველს ნათლათ გაეგოს და შეეგნოს სკოლის დიადი მნიშვნელობა თავისი ნამდვილი, და არა დამახინჯებული სასით...

ვარლამ ბურჯანაძე.

გიორგი სააკაძე

(სიტყვა წარმოთქმული სახაღხა სახლში გორგი სააკაძის გასამართლებობაზე)

ბ. მოსამართლენო და მსაჯულნო!

თქვენ დღეს წილად გხვდათ მეტად მძიმე და რთული საკითხის გადაჭრა, თქვენს წინაშე სდგას ადამიანი, რომელსაც ჩვენი მრავალ-ტანჯული ერის ისტორიამ დიდი მოურავის სახელი უწოდა. და აი თქვენ უნდა გვითხრათ დღეს გადაჭრით: მთელი მოღვაწეობა იმ ადამიანისა სამშობლო ქვეყნის ასპარეზზე ჭეშმარიტება იყო, თუ სიყალბე. კეთილი თუ ბოროტი, ქვეყნის საკეთილდღეოდ თუ დასაღუპავად მიმართული. გაიხსენეთ, ბატონებო პილატეს კითხვა: რა არის ჭეშმარიტებაო.

ორიათასმა წელიმა განვლო აგერ მას აქეთ; შეგნებული ადამიანი წინეთაც და ამ ხნის განმავლობაშიც მუდამ ეკითხებოდა თავის თავს: რა არის ჭეშმარიტებაო,

მაგრამ გადაჭრილი პასუხი ჯერ არავის არა ჰსმენია.

და მართლაც ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! რა არის ჭეშმარიტება, რა არის სიყალბე? რა არის კეთილი და ბოროტი! რა არის წასაბაძი ან რაა დასაგმობი, გასაკიცხი?

თუ ყველა ამ ცნებებს გამოჰყოფთ, გამოაცალკეებთ ცხოვრებიდან, მიიღებთ მხოლოდ უმინაარსო სიტყვებს.

რატომ? იმიტომ რომ აზრს, უმინაარს ყველა ამგვარ ცნებებს თვით ცხოვრება აძლევს.

ცხოვრების გარეშე ჭეშმარიტება და სიყალბე, კეთილი და ბოროტი, კარგი, ავი არ არსებობენ,—ყოველივე ეს თვით ცხოვრების პირობებში ისახება და ვითარდება.

ამიტომ როდესაც გვინდა, ადამიანის მოქმედებას ფასი დავსდოთ, უნდა ვიცოდეთ პირობები ამ მოქმედებისა ე. ი. უნდა გავიცნოთ ერთის მხრით თვით მოქმედი ადამიანი, მეორეს მხრით ისტორიული გარემო, რომელშიაც ის მოღვაწეობდა.

არავითარი მოქმედება ადამიანისათვის თავად, ცხოვრების პირობების გარეშე, არც კარგია, არც ცუდი, არც კეთილი, არც ბოროტი.

ყოველ მოქმედებას, ყოველ ნაბიჯს ადამიანისათვის თვით ცხოვრება აჯენს ბეჭედს. მივმართოთ სულ უბრალო მაგალითს: როსკიპობა საზიზღარი, საძაგელი რამ არის, მაგრამ რომელი თქვენგანი აიღებს ქვას იმ დედის ჩასაქოლად, რომელიც თავის სხეულსა ჰყიდის, რათა უსუსური ბავშვები შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩინოს, როდესაც მას სხვა გზა აღარა დარჩენია რა?

მკვლევლობაზე უსაშინელესი დანაშაული მე ვერ წარმომიდგენია. ვისა აქვს უფლება, თავის მზგავს არსებას სიცოცხლე მოუსპოს? არავის. მკვლელი ღირსია ზიზღისა, ჩაქოლვისა. მაგრამ განა თქვენ არ იცით ისეთი მაგალითები, როცა ხალხი მკვლელს ამართლებს? და არა თუ ამართლებს, აღიდებს კიდევ, ქებას ასხამს?

ბატონებო! საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის დასაფასებლად ზოგადი, ერთხელ და სამუდამოდ გამოჭრილი საზომი არ არსებობს,— ის რაც ერთ პირობებში ვასაკიცხია, მეოთხეში შეიძლება სანაქებოც გახდეს.

მე მინდა, მე გთხოვ ბ. მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ყოველივე ეს გაითვალისწინოთ, როცა თათბირი გექ-

ნებათ გიორგი სააკაძის მთელი მოღვაწეობის შესახებ.

ბ. მოსამართლენო. თქვენს წინაშე რომ იდგეს ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის მთელი მოღვაწეობაც ჩვეულებრივ პირობებში გაშლილიყოს, მაშინ მე პირველი დავეთანხმები ბ. ბრალმდებლებს, მოგახსენებდით: დიახ, გიორგი სააკაძე დამნაშავეა მეთქი.

მაგრამ ბ. მოსამართლენო, თქვენ წინაშე არის ადამიანი არა ჩვეულებრივი, მთელი მაგისი მოღვაწეობა სწარმოებდა არა ჩვეულებრივს პირობებში.

ამგვარ შემთხვევაში მეტი სიფრთხილე, ასჯერ გაზომვა უალაგო არ არის.

თქვენ თვითონ გაგვხსენებათ ბ. მოსამართლენო, რომ არა ჩვეულებრივ შემთხვევაში ზოგჯერ სათაყვანებელია ისეთი მოქმედება, რომლის სახელიც ჩვეულებრივ დროს მხოლოდ დანაშაულია. არა ჩვეულებრივ შემთხვევაში ზოგჯერ ადამიანი არა-თუ იძულებული, ვალდებულია ისეთ გზას დაადგეს, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში უარსაყოფია.

საქმე მხოლოდ ისაა, თუ ვინ რისთვის, რა მიზნისთვის ირჩევს ასეთს გზას.

— ეჰე! მიზანი შენ თვალში ყოველგვარ საშუალებას ამართლებს? შეიძლება გამკიცხოთ, მაგრამ არა ბატონებო, მიზანი არ ამართლებს ყოველგვარ საშუალებას. ხოლო როდესაც ყველა „რიგანი“ საშუალება უქმია და უნაყოფო, უკიდურესი საშუალების ხმარებაც ეპატიება მაშინ იმ ადამიანს, ვინც უმაღლეს მიზანს ახორციელებს.

რომ ჩაუკვირდეთ ბ. მოსამართლენო, საზოგადოებას, ორგვარი ბუნების პირებს შენიშნავთ.

ერთის მთელი მსოფლიო, მთელი მარადისობა მისი საკუთარი ოჯახია. თუ ის



და მისი ოჯახი კარგათ იქნენ, სხვა მას არაფერი აღარდებს, არაფერი აფიქრებს. ქვეყნის ვარამი, ქვეყნის მხიარულება იმის გულს არა სწვდება; მისი ოცნება საკუთარ კერას არ გასცილდება, მისი სურვილები საკუთარ კეთილდღეობას. დეე, მთელი ქვეყანა უბედური იყოს, რას დავეძებ, ოღონდ მე ვიყო ბედნიერიო, აი მისი სულთა სწრაფვა.

ბედნიერიაო, გაიგონებთ ამგვარი ადამიანის შესახებ, მაგრამ ბ. მოსამართლენო, ეს არის პირუტყვეული, ზოოლოგიური ბედნიერება. და მთელი კაცობრიობა რომ ასეთ ბედნიერთაგან შესდგებოდეს, ცხოვრება ჩირათ არ ეღირებოდა და ადამიანი დამპალ პანტათ.

მეორე ადამიანის მთელი ოცნება მთელი საზოგადოების, მთელი ერის, მთელი კაცობრიობის გარეშემო ტრიალებს; მთელის ბედნიერება მისი საკუთარი ბედნიერებაა. მისი პირადი ბედნიერება გათქვეფილა საზოგადო ბედნიერებაში; პირადი ბედნიერება და პირადი უბედურება მისთვის არ არსებობს.

შეუძლებელია ბედნიერი ვიყო იქ, სადა ჩემს გარეშემო უმრავლესობა უბედური იყო, ჰფიქრობს ის მუდამ. უბედური სულელი, გაიგონებთ ამგვარ პირების შესახებ. მაგრამ არა ბ. მოსამართლენო, უმაღლეს უზენაეს ბედნიერებას მხოლოდ ესენი ეწაფებიან. პირად ცხოვრებაში ისინი უბედურნი არიან, იმათ სდევნიან, აწამებენ, სტანჯვენ, ჰხოცვენ, მაგრამ მარილს კაცობრიობისას მხოლოდ ესენი შეადგენენ. და ამგვარი პირები რომ არ ევლინებოდნენ დრო და დრო კაცობრიობას, ცხოვრება ერთ ფურთხათ არ ეღირებოდა.

ამგვარ პირებს ჩვენ ვაღმერთებთ და როცა გულში უიმედობა დაისადგურებს,

ამგვარი პირების სურათი და მოგონება ხელ-ახალი იმედებით გვაგვებს, გვაფრთოვანებს და წინ, უკეთესი მერმისისაკენ გვეზიდება.

და თვით ცხოვრება განა რა არის, თუ არ მისწრაფება უკეთესისადმი!

ამ უკანასკნელ პირთა გუნდს ეკუთვნის დიდი მოურავიც.

მაგისტვის არა თუ პირადი ბედნიერება, პირადი სიცოცხლეც არ არსებობს.

უმაღლესი ბედნიერება ეს სიცოცხლეა; როდესაც გრძნობ, რომ შენ შეგნებული წევრი ხარ მსოფლიოსი, ეს უმაღლესი ნეტარებაა; მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ არსებობს დიდი მოურავისათვის.

მაგისტვის არსებობს მხოლოდ სამშობლო, მთელი ქართველი ერი.

არა თუ პირად ბედნიერებას, პირად სიცოცხლეს გასწირავს ეგ მთელი ერის კეთილდღეობისათვის.

პირად ცხოვრებაში მამას შვილზე—პაატაზე უძვირფასესი არავინ გააჩნია. მთელი იმედები პაატაზე აქვს დამყარებული, მაგრამ როცა მთელი ერის კეთილდღეობი ითხოვს პაატის სიკვდილს, ეგ ჰკლავს თავის საყვარელს, თავის უძვირფასესს, თავის ერთად ერთ—პაატას.

როგორც მამა ეგ სტირის, ლოყებს იხაკავს, ხოლო როგორც ღირსეული ადამიანი, როგორც სათაყვანებელი შვილი თავისი ერისა, ამაყად ამბობს:

პაატა მთელს ერს ვერა ჰშობავს, მთელი ერი კი ბევრ პაატას ჰშობავსო.

თქვენ გეცოდინებათ ბევრი დიდებული აფორიზმები, მაგრამ ამაზე დიდებული კი არა, ბ. მოსამართლენო.

არა თუ პაატას, ცოლს, მეგობრებს, ნათესავებს, საკუთარს თავს გასწირავს დიდი მოურავი, თუ კი ეს საჭიროა მამულის კეთილდღეობისათვის.



ვერ წარმოიდგენთ ვერავითარ მსხვერპლს, რის წინაშეც დიდი მოურავი გაჩერდეს, თუ კი სხვა გზა არ ექნება სამშობლოს გადასარჩენათ.

ნურავინ მეტყვის, ნურავინ გამაგონებს, რომ ეს გაუგებარია.

ვისაც თავისი ერი, ერი ბედნიერი კი არა ტანჯული, მრავალ-ტანჯული შეპყვარებია, ვისაც სიყვარული აი აქ გულში უგრძენია, მისთვის გიორგის სულიერი განწყობილება ცხადია ვითარცა ნათელი მზისა.

ცხოვრება გრძნობას მოკლებული, სიცოცხლე უსიყვარულოთ აუტანელი სამარის, სიმანხინჯეა.

და სიყვარული სამშობლოსადმი განა უმაღლესი გრძნობა არ არის?

განა სამშობლო ღირსი არ არი სიყვარულისა? განა ადამიანი ვალდებული არ არის, სამშობლოს სიყვარულით ყოველისფერი დაივიწყოს, ყოველისფერი სძლიოს და გადაჰლაზნოს?

თქვენ მეტყვით, ეს გრძნობა გარყვნესო, თქვენ გამაჩუმებთ: ყოველ დაბალ ადამიანს სამშობლო აკერია ენაზეო.

თქვენ პირში ჩამჩრით: ყოველი უბატონსო სამშობლოს სიყვარელის სამოსელში ახვევს თავის საკუთარ, პირად ინტერესებსო.

მეც გეტყვით: განა ამგვარი პირია დიდი მოურავი? განა ამგვარია ამისი სიყვარული სამშობლოსადმი?

ამან ხომ თავისი იმედი — პაატა საკუთარის ხელით ზვარაკათ შესწირა სამშობლოს საკურთხეველზე?

განა ამაზედ წმინდა, ამაზედ უნაგარო, ამაზედ ღრმა, ამაზედ ძლიერი სიყვარული არა თუ სინამდვილეს, დიდებულის პოეტის უსაზღვრო ფანტაზიას კი შეუქმნია?

ჰო წარსულიდან თქვენ იცით ერთი მაგალითი, როდესაც აბრაამის ძეგლსა და მისა სწირავდა მსხვერპლათ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აბრაამს ამოქმედებდა შიში ღვთისა, გიორგის კი სიყვარული სამშობლოსი.

ბ. მოსამართლენო, ასეთ ძლიერ სიყვარულს დაუპირდაპირეთ სამშობლოს მდგომარეობა, მისი მაშინდელი ბედ-იღბალი.

ჩვენი ფეოდალები სამშობლოს იდეის შეგნებას სრულებით მოკლებული იყვნენ. სამშობლო — ეს მე ვარ! აი რასა ჰფიქრობდა და გრძნობდა ყოველი მათგანი.

ათასათ დაქუცმაცებულ საქართველოს ისინი წურბელებსავით სასიცოცხლო სისხლსა სწუწნიდნენ და სამარეს უმზადებდნენ. აკი კიდევ გაუთხარეს სამარე!

მეფე სათამაშო ბურთათ ჰყავდათ ფეოდალებს გადაქცეული. საქართველოში მეფობდენ შადიმანის მზგავსი ფეოდალები და არა მეფე.

ერთათ ერთი გიორგი სააკაძე იყო, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა სამშობლოს აწმყო და მომავალი, რომელიც სამშობლოს ე. ი. მთელი ერის ინტერესს ყოველისფერზე მალა აყენებდა.

თუ ათასათ დაქსაქსული საქართველო არ გაერთიანდებოდა, მისი დაღუპვა აუცილებელი იყო. ამაში ღრმათ დარწმუნებული იყო გიორგი სააკაძე და ამიტომ მისი უძლიერესი სურვილი იყო ამ დაქსაქსული საქართველოს გაერთიანება.

როგორ, რა გზით, რა საშუალებით?

ფეოდალები საქართველოს გაერთიანების მოსისხლე მტერნი იყვნენ, რადგანაც საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება ფეოდალების აღაგმასა და მოსპობას მოასწავებდა. გლახობა შიშით იყო დამონებული და შებოჭვილი. ერთის სიტყვით თვით ერში არ იყო ისეთი ძალა,



რომელსაც შესძლებდა დიდი მოუზრავის ზრახვათა განხორციელება.

საშინელი ტრალიზმი დიდი მოუზრავისა სწორეთ აქ მდგომარეობს.

ერთი კაცი ჰლამობს საქართველოს გაერთიანებას მაშინ, როცა ყველა ძალის მექონე იმის წინააღმდეგ არის ამხედრებული; ერთ კაცს უნდა ბრძოლა ყველას წინააღმდეგ მაშინ, როცა ხუთ კაცს არც კი ესმის მისი სულის კვეთება, მისი დიდებული ზრახვანი.

ტიტანიური მიზნის განხორციელებას ერთი კაცი ჰკიდებს ხელს და ბ. ბრალმდებელი კიდევ ჰკიცხავს: საშუალებათა არჩევაში სიფაქიზე აკლდაო.

დიდ მოუზრავს ან გულზე ხელები უნდა დაეკრიფა და ცალიერის სიტყვებით ენუგეშებია ქართველი ერი: ნუ გეშინია, მომავალი შენია და გულს ნუ გაიტეხო, როგორც ამას ურჩევს ერთი ბრალმდებელი ან არა და საქმისთვის მიემართა.

მოუზრავმა სიტყვას საქმე არჩია და მიმართა სპარსეთს. რათა, რისთვის? საქართველოს ასაკლებად, როგორც ამას ბრალმდებელნი ამტკიცებენ? არა და ათასჯერ არა. იმათ ვერ იცნენს დიდი მოუზრავი. სპარსელები საქართველოს დასარბევათ კი არ წამოიყვანა გიორგი სააკაძემ, არამედ ქართლის მეფის წინააღმდეგ. ქართლის მეფე გიორგის აზრით საქართველოს დაღუპვას უქადოდა და აი მას უნდოდა სპარსეთის დახმარებით ქართლის მეფე ტახტიდან გადაეგდო, რომ ქართლ-კახეთი გააერთიანებინა.

გიორგი სააკაძეს მტერი ბევრი ჰყავდა და მათს ცილის წამებას თურმე დღესაცა აქვს გასავალი.

შაჰაბაზი სამჯერ შემოესია საქართველოს. პირველი შემოსვლის დროს მართლაც თან ახლდა მას გიორგი სააკაძე,

მაგრამ სწორეთ გიორგი სააკაძემ გადაარჩინა საქართველო დარბევას. მეორეთ კი შაჰაბაზი აღარ ენდო გიორგის, მარტო შემოესია საქართველოს და ააოხრა კიდეც.

გიორგი თუ საქართველოს მტერი იყო, უნდა გაჰხარებოდა კიდეც საქართველოს აკლება. მაგრამ მან შეჰკრიბა ქართველნი, ჩაჰბერა მათ ძლიერი სული თავგანწირულებისა და როცა სპარსელები მესამეთ შემოესიენ საქართველოს, ისეთი დღე დააყენა მათ, რომლის მზგავსიც ისტორიამ ორი-სამი თუ იცის მოსპო, მოსრისა სპარსეთის ჯარი.

ამას უძახით მოღალატეს, მამულის გამყიდველს?

ქართლ-კახეთი შეაერთა დიდმა მოუზრავმა. საჭირო იყო იმერეთის შემოერთება.

ამ მიზნის განხორციელებისათვის დიდმა მოუზრავმა ქართლელებსა და იმერლებს ერთმანერთის სისხლი დააღვრევინა.


სამოქალაქო ომი ფრიად სამწუხარო რამ არის, მაგრამ თუ სხვა გზა არ იყო, ვაშა დიდო მოუზრავო, რომ უკიდირეს ზომასაც არ დაერიდებოდა მთელი საქართველოს საკეთილდღეოდ.

თუ ამ სამოქალაქო ომისაგან მოყენებულ ზარალს გვერდს დაუყენებთ იმ სარგებლობას, რაც შედეგად მოჰყვებოდა მთელი ქართველი ერისათვის ქართლ-კახეთ-იმერეთისათვის გაერთიანებას, დამეთანხმებით, რომ ქართლელებისა და იმერლებისაგან ერთმანეთის სისხლის დაღვრა სახსენებელი არ არის იქ, საცა საქმე მთელი ქართველი ერის ბედ-იღბალს, მთელი საქართველოს არსებობის საკითხს შეეხება.

ერთ თავის სიტყვაში რობესპიერმა სთქვა: ღმერთი რომ არ ჰყოფილიყო, უნდა გამოეგონებიათო.

ბატონებო! ამ სიტყვებში ღრმა ჰემ-
მარიტებაა დამარხული, დიდი ცოდნაა
ხალხის ფსიხოლოგიისა.
სიცოცხლე ფუჭია და წარმავალი, ალა-

მიანი სუსტი, უძლური, ბუნებრივად
ზღვრო და ძლიერი. ჩვენი ოცნება ფრ-
თებ გაშლილია, ჩვენი ძალღონე კი მას
ვერა სწვდება და როდესაც აღამიანი თა-



დიდი შოურავი გიორგი სააკაძე.

ვის არსებაში სანუგუმოს ვერასა ჰხედავს,
სისრულეს, სიღიადეს თავის გარემე ეძი-
ებს და ჰპოებს ღმერთში, გმირებში.

ვანა ამირანი, ყარამანი არსებობდენ
როდისმე? არა. ესენი ხალხის სურვილ-
მა, ხალხის ოცნებამ შექმნა.



განა შვეიცარიელებს მართლა ჰყავდათ ვილჰელმ ტელი? არა. ის მხოლოდ ხალხის ოცნებამ წარმოშობა.

ხალხს გმირები უნდა, ის გმირებს ეძებს და როცა ცხოვრებაში მათ ვერა ჰპოვებს, იგონებს, თვითონვე ჰქმნის მათ.

ჩვენ კი... ქეშმარიტად ჩვენისთანა უბედური ერი დედა-მიწის ზურგზე არ მოიპოვება. ჩვენ თვით ცხოვრებამ მოგვცა დიდებული გმირი გიორგი სააკაძის სახით და ლამის ეგეც კი წუმპეში ამოვსვარათ, თავზე ლაფი დავასხათ!

ბატონებო! ორიოდ გმირი გავვაჩნია და გაუფრთხილდეთ ამათ, რომ ხალხმა სრულებით არ დაჰკარგოს იმედი უკეთესი მომავლისა!

დიდი მოურავი ბატონო მოსამართლე-

ნო, გაკიცხვის ღირსი კი არაა, ყვანებელია და მაგისი სახელი ნეტარად სახსენებელი.

ეგ ღირსია იმისი, რომ მაგისი სურათი ყოველი ქართველის ოჯახში ეკიდოს. რათა დედა შვილებს უთითებდეს და ეუბნებოდეს: აი ეს არის ის გიორგი სააკაძე, რომელმაც თავისი ოჯახი, თავისი ქონება, თავისი კეთილდღეობა, თავისი სიცოცხლე და თავისი შვილი საქართველოს კეთილდღეობას ანაცვალო.

მე კი ლოცვა რომ შემეძლოს, ყოველდღე ხელაპყრობილი შევედრდი ზეცას: გიორგი სააკაძისთანა პირები ბლომად მოუვლინე ბედკრულ საქართველოს მეთქი.

ივ. გომართელი.

მოწერილი ამბები

(წერილი საჩხერედან)

შველა მასწავლებლების დანიშნულებას შეადგენს დაუღალავი შრომა სამშობლოს კეთილდღეობისთვის, რაც დამყარებულია ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდაზე.

ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე საუკუნის დიდებული საბერძნეთის თეოლოგოსი ზღა-ტონი ამბობს: მოქალაქეთა აღზრდა განათლებასზე არის დამყარებული სრული ავგავება და კეთილ-დღეობა ყოველივე სახელმწიფოსა“-ო. თუ ჩვენ ცოტადნათ მაინც დაუკვირდებით ცხოვრებას ნათლად დავინახავთ, რომ ამ თეოლოგოსის აზრი სრულ ჭეშმარიტებას შეადგენს. ეს დიდებული აზრი არა ერთხელ იქმნა განმეორებული არისტოტელისა და სხვა დიდებულ თეოლოგოსებისგან. აქედან

ცხადათ სჩანს მასწავლებლების დანიშნულება რამდენათ სასარგებლოა და დიდმნიშვნელოვანი სამშობლოსათვის, რადგანაც მთელი მისი ახალგაზრდობა ამ მასწავლებლების საშუალებით დებულობს სწავლა-განათლებას და ხდება სამშობლოს გულშემატკივარ შვილებად. ამისთანა დიდებული დანიშნულება ნათლად უნდა იქნეს ასრულებული ყოველივე მასწავლებლისაგან, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ამისთანა მასწავლებლები ძალიან ცოტა მოიპოვებინ ჩვენს სკოლებში. სახალხო მასწავლებლის დანიშნულება მით უფრო დიდმნიშვნელოვანია სამშობლოსათვის, რამდენადაც მისი ჰელაგოკიური მადგაწეობა ტრიალებს ჩხვილ ბავშვებში, რომლებიც მასწავლებლის სრულ გავლენ-

ნის ქვეშ იმეოფებიან და მისი ხელმძღვანელობით ეხვევიან სისტემატიურად ცოდნის შეძენას, რასაც ამდენხანს მოკლებული იყვენ.

ბავშვები, რომლებიც მარცხენა ხელს ვერ აჩვენებენ მარჯვენისაგან, მასწავლებლის საშუალებით ითვისებენ ეოველგვარ უსაჭიროებს ცოდნას და სრულიად მომზადებული შედიან საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებში, სადაც უფრო კრიტიკულ თვალთ უყურებენ ეოველგვარ მოვლენას. რასაკვირველია ეველად რგვის მასწავლებლის დანიშნულება იფრიად სასარგებლოა ჩვენ სამშობლოსათვის, მაგრამ განსაკუთრებით ეველასე დიდ მნიშვნელოვანი არის სახალხო მასწავლებლის დანიშნულება, რომლის ხელში არის ზირველ-დაწვებითი აღზდა და განათლება ახალგაზრდობისა. ეს დანიშნულება რამდენადაც შტკიცედ იქნება ასრულებული მასწავლებლისაგან, იმდენად წინ წავსაშობლოს სკქმე; ამისთვის ეოველი მასწავლებელი უმეტეს სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს მისს წმინდა მოვალეობას და ნათლად ასრულებდეს მას, რადგანაც ზირველი აღზდა სწვეეტს ემსწვილის ეოველსავე ბედ იღბალს. თუ ზირველად ბავშვმა შესაფერი აღზრდა მიიღო, შემდეგ ის სულ ბუმბუკაზის ნაბიჯით წავს წინ, მხოლოდ თუ ბავშვმა ზირველად ცუდი აღზრდა იგემა, შემდეგში მისი გამობრუნება მეტად შეუძლებელია. ამას ნათლად გვიმტკიცებენ დიდებული ზედაგოგის ამას კომუნისკის შედარებანი. 1) ურმის თვალთ ათას გვარ ნაჭრებად დასქდება, ვიდრე თავდაზირველ სისწორეს მიიღებდეს. 2) როგორც ცუდი, როცა რბილია, ხელისნის ხელში მიიღებს სხვა და სხვა სახეს, ხოლო გამაგრებული ნამტეცებად იქცევა; აგრეთვე ადამიანიც, როცა ნორჩია ადვილად ითვისებს აღმზრდელის გავლენას, მოწითულობაში ძნელი მოსაქცევაა“.

ჩვენ ნათლად დავინახეთ რა მნიშვნელობა

ქქონია ზირველ-დაწვებითს აღზრდას. რაც კითხვას მასწავლებლებისაგან დიდ სიფრთხილეს თავისს მოვალეობის ასრულებაში. მაგრამ ჩხვილ ბავშვების აღზრდით არ განისაზღვრება სახალხო მასწავლებლების მოვალეობა. თვითონ სახელი „სახალხო მასწავლებელი“ ნათლად გვაჩვენებს, რომ ბავშვის აღზრდის გარდა, მას ვალად ადევს ხალხის განათლებისთვის ზრუნვა და მისი ზრტგრესისკენ წაწვეა. სახალხო მასწავლებელი დღითი-დღე უნდა ცდილობდეს, რითიმე სარგებლობა მოუტაროს ხალხს, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, წასწიოს ის განათლებისკენ და გაუფართოვოს გონების თვალსაზრისი. რასაკვირველია, ეს დიდი რეფორმა უცებ არ მოხდება ხალხში, მაგრამ ცოტ-ცოტაობით მისი წინ წაწვეა ადვილი და მოსახერხებელია სახალხო მასწავლებლებისათვის. ამის ზირველ და მშვენიერ საშუალებას შეადგენენ ზომულისარული ელქციები და სახალხო კითხვები. სახალხო კითხვები ერთადერთი საუკეთესო საშუალებას შეადგენს, ის აღუძრავს ხალხს კითხვის სურვილს, რაც დიდ მნიშვნელოვანია ხალხის წინსვლისათვის. ეოველი სოფლის მასწავლებელი მოვალეა გამართოს სახალხო კითხვები ეოველ კვირა-უქმე დღეს, ეს მას არც დიდს დროს წაართმევს და ადვილი მოსახერხებელიცაა მისგან. ამ ჩემს წერილში არ შემოიღია არ აფენიშნო საჩხერის მასწავლებლების სიმშატიური მიზანი.

აქაური სახალხო მასწავლებლები ეოველ უქმე დღეს, ჩინის სასწავლებლის დარბაზში, მართავენ სახალხო კითხვებს, რომლებსედაც აუარებული ხალხი ესწრება და გულმოდგინეთ ისმენს ეოველ კითხვას. რამდენიც დრო მიადის, იმდენათ იზრდება მსმენელთა რიცხვი, რაც ძლიერ სასიამოვნოა. სასურველია, სხვა სახალხო მასწავლებლებმაც მიჰბადონ საჩხერის



მასწავლებლებს და დაარსონ თავ-თავიანთ მასწავლებლებში იმისთანა კულტურული დაწესებულება, როგორც არის სახალხო კითხვების მწაწობა შით უფრო, რომ ამ კითხვებზე ნებართვის ადება ძალიან ადვილია.

საკმარისია მასწავლებლებმა მიმართონ სა-

ხალხო სკოლების ინსპექტორს, რომელთაგან ნებას დათავს შემდეგის კანონის ძალით.

„Уставъ утвержденный 2 декабря М. Н. П. 1902 года (циркуляръ 1903 г. ст. 180).“

სახიხრელი.

ბ-ნი პედაგოგის „კოლხიდის“ პედაგოგის

ბ-ნი პედაგოგი მაინც თავისას გაიძახის: „ჩემი სჯობსო, უცილობლობს, ვითა ჯორი“. მან „კოლხიდის“ № 211 და 213-ში ვეებერთელა წერილი დასტამბა „პედაგოგიური უკულმართობის“ სათაურით, რაც ზედმიწევნით უხდება ამ პედაგოგის საკუთარს პედაგოგიურს აზრებს. ჩემი „მცირე შენიშვნა“, წარსული წლის „განათლების“ მე IX-ში დასტამბული, ეტყობა, მას არ ეპიტნავე. „ავტორი ამ წერილისა უპირველესად მე საარაკო პირს მეძახის, რადგანაც გავბედე და ბ. გოგებაშვილის წინააღმდეგ გამოვილაშქრე.“ — ბრძანებს ბ-ნი პედაგოგი. არა, ბატონო, საარაკო პირი გიწოდეთ არა იმიტომ, რომ ვაჰბედეთ გოგებაშვილის წინააღმდეგ გამოლაშქრება, არამედ იმიტომ, რომ თქვენ წარმოსთქვით და ეხლაც იმეორებთ ბევრს ისეთს დუხჯირს აზრს, რაც ნამდვილ პედაგოგთა ყურს დღემდის არ სმენია. ერთი ამათგანი თქვენი უშინაარსო მსჯელობაა, სიმართლეს მოკლებული, ვითომ უშინსკის „Родное Слово“-ს, „Дѣтскій Миръ“-ის და ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ ერთს სისტემაზე აგებული იყოს. მოგახსენეთ და ვიტყვი კიდევ, რომ

დიდათ შემცდარი ბრძანდებით, ეს თქვენი აზრი სიყალბეა და ნაყოფი საქმეში ჩაუხედველობისა, სახელმძღვანელო წიგნების გარჩევის ნიჭის მოკლებულობისა, ან განძრახ ფაქტების, თვალსაჩინო საქმის მიფუჩეჩებისა. ამით თქვენ გულუბრყვილო ადამიანს თუ დააჯერებთ, თორემ საქმეში ჩახედულს ადამიანს სასაცილოდ არ ეყოფა თქვენი მართლა ახირებული მსჯელობა.

ბ-ნი პედაგოგი მაინც მიწვევს საპასუხოდ და მეუბნება: „აბა გამომყევით, ბ-ნო მასწავლებელო, და დაიწყეთ მტკიცება, რომ ბ-ნი გოგებაშვილის სახელმძღვანელოები უშინსკის სახელმძღვანელოებს არ წაგავსო“ და სხ. თუმცა, როგორც წინადაც მოგახსენეთ, საანბანო ქეშმარტებაზე გვექნება ლაპარაკი, მაგრამ რა გაეწყობა, გამოგყვებით, მხოლოდ ყური დაგვიგდეთ და კარგად დაიხსოვნეთ, რასაც ბ-ნო „პედაგოგო“ უბრალო მომავლადე მასწავლებელი გეტყვისთ.

დავიწყით ანბანიდან. უშინსკის ანბანში გატარებული აქვს სინტეტიური მეთოდი, იგი ასწავლის ჯერ რამდენსამე ასოს ცალკე, ჯერ ხმოვან ასოებს და შემდეგ გადადის სიტყვებზე, მთელს ან-



ბანში შეხვედებით სიტყვებს გარდა მოკლე წინადადებებსაც. თუმცა უშინსკი არ არის წინააღმდეგი წერა-კითხვის ერთსა და იმავე დროს სწავლებისა, მაგრამ მაინც უპირატესობას აძლევს ანბანის შესწავლას ჯერ ხელნაწერში და შემდეგ ბეჭდურში; უშინსკის ანბანში წერას კითხვა მიჰყვება.

ეხლა, ბატონო, პედაგოგო, გადავშალოთ თქვენ მიერ ათვალწუნებულის ჩვენი მოქირნახულე პედაგოგის ბ-ნის ი. გოგებაშვილის ანბანი, „დედა-ენის“ პირველი ნაწილი. აქ სულ სხვა სისტემას ვხედავთ. სახელდობრ ანალიტიურ-სინტეტიურს ნორმალური სიტყვების მიხედვით. როცა უშინსკი თავიდანვე ბავშვებს აწვდის ნორჩი გონებისათვის შეუფერებელს ცალკე ხმებს, ჩვენი პედაგოგი პირველ გაკვეთილიდანვე თვალწინ უყენებს ბავშვებს, მათთვის კარგად ცნობილის და საყვარელი საგნის სახელს (ია); ბ-ნი გოგებაშვილი ასწავლის ჯერ კითხვას, შემდეგ წერას, ანბანში შეხვედებით როგორც სიტყვებს და წინადადებებს თან და თან გართულებით, აგრეთვე მოკლე მოთხრობებს, პაწია ლექსებს, რაც ბავშვისათვის ადვილი გასაგებია, წასაკითხი და სახალისო. ბ-ნი გოგებაშვილი მოითხოვს კითხვისა და წერის ერთსა და იმავე დროს სწავლებას. ამ სახით ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ უშინსკისა და ბ-ნი გოგებაშვილის სისტემა და შეხედულება ანბანის სწავლებაზე ერთი და იგივე არ ყოფილა. ეხლა გადავიდეთ საკითხავ წიგნზე. ანბანის შემდეგ უშინსკის პირველ გვერდზევე აქვს საგნების ზოგადი სახელები მაგ. „სასწავლო ნივთები“ და ჩამოთვლილია ეს ნივთები, შემდეგ „სათამაშოები“ და სხვა. უშინსკი ასე განმარტავს ამ თავის სისტემას: „პირდაპირ

რამე აზრიან მოთხრობის კითხვას დასვლაც ძნელია, ათი სტრიქონიანი მოთხრობა იმდენს ძალას თხოულობს პატარა მკითხველისაგან, რომ მას უძნელდება გაიგოს წაკითხულის აზრი. ამას გარდა ბავშვს კითხვაში ხშირად შეცდომები მოსდის: მასწავლებელი შეაყენებს, უსწორებს, და მოთხრობა, რაც უნდა საინტერესო იყოს, ჰკარგავს მიმზიდველობას და მასთან კითხვაც მექანიკური გამოდის. ბავშვი ცნობილობს ხმებს, გამოთქვამს სიტყვებს და შინაარსს კი გულისყურს არ აქცევს, მაშასადამე პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევა შეუფერებელ კითხვას და სხ. (იხ. РУКОВ. КЪ ПРЕП. „РОДН. СЛОВУ“ გვ. 51 და 52).

ბ-ნი გოგებაშვილი კი სულ სხვა შეხედულობისაა ჯმ საგანზე: მას შესაძლებლად მიაჩნია ანბანის შემდეგ მოწაფეები პირდაპირ გადავიდნენ პატარა მოთხრობების და ლექსების კითხვაზე, რომლის აზრი მასწავლებლის დაუხმარებლადაც ადვილი გასაგებია ბავშვისათვის, რომელიც ანბანის გათავების შემდეგ კითხვაშიაც საკმარისად გავარჯიშებულია, თვითონ ზოგადი ცნება მოწაფემ უნდა შეითვისოს კერძო ცნებების განხილვის შემდეგ, ცხოველი სიტყვით, საუბრების საშუალებით და არა მარტო წიგნში წაკითხვით. უშინსკის მშრალი კლასიფიკაცია აქვს, ბ-ნი გოგებაშვილი კი ამ მშრალ მასალას „დედა-ენაში“ სიცოცხლეს აძლევს, ყოველ სასაუბროს წინ უძღვის მოთხრობები, ლექსები, არაკები, ზღაპრები და სხვა მასალა კერძოდ ამა თუ იმ სასაუბრო საგნების შესახებ და შემდეგ კი ინდუქციით გამოჰყავს საზოგადო ცნება, რაც პედაგოგიაში ჰემმარიტებად არის აღსარებული. მართალია ზოგი პედაგოგი წინააღმდეგია კლასიფიკაციისა სახელ-



მძღვანელო წიგნებში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდაქტიურის მიზნით საგნების გარჩევა და მოწესრიგება საუკეთესო საშუალებაა ბავშვის გარშემო არსებული ბუნების შესასწავლად და ჩვენში, საცა ოჯახი იმდენად მომზადებული არ არის, რომ ბავშვმა სკოლაში მიბარებამდის ოჯახშივე შეიძინოს ზოგიერთი განვითარება, ამის გამო დასაწყისი სკოლა ჩვენში ვალდებული ხდება საგნების კლასიფიკაციასაც ყურადღება მიაქციოს, რომ ამ სახით უფრო ადვილად გააცნოს ბავშვს ბუნება და მისი მოვლენანი. ამას გარდა „Родное Слово“-ში მეტად სქარბობს ესრედ წოდებული საქმიანი სტატიები (ДѢЛОВЫЯ СТАТЬИ, უშინსკის ამბობს: თუმცა ამ გვარი სტატიები საკითხავად ბავშვებისათვის უხალისოა და მოსაწყენიო, მაგრამ არ შეგვიძლია მოვსპოთ სწავლის სიძნელე, და არა სახალისო, მაგრამ აზრიანი შრომაც უუღიდესი მშობრავი ძალაა კაცის და კაცობრიობის გონებრივად და ზნეობრივად განვითარებაშიო (იხ. РУКОВОДЪ ПРЕП. ПО „РОДНОМУ СЛОВУ“ ნაწ. I გვ. 75) უშინსკის აზრი აწინდელ მეცნიერებას შემცდარად მიაჩნია. დღეს ყველა ცდილობს ბავშვს სწავლა გაუადვილოს, თვით მოქმედებას შეაჩვიოს და არა მშრალი მასალის სახელმძღვანელოში კითხვას. ბ-ნი ი. გოგებაშვილის „დედა-ენაში“ საქმიანი ხასიათის სტატიების ქაჭანებაც არ არის. უშინსკის „РОДНОЕ СЛОВО“-ს მეორე ნაწილი გარდა ოჯახისა და გარემოს გაცნობისა წელიწადის დროთა შესწავლის სისტემაზეა აგებული. სულ სხვა სისტემას ვხედავთ „დედა-ენაში“: აქ წელიწადის დროთა შესწავლა სულ სხვანაირად სწარმოებს ისეთს ცოცხალს მასალაზე, რომელიც იძლევა ამა

თუ იმ დროთა მხატვრულ შესრულების აღწერას; ხოლო ვრცელი აწერილობა წელიწადის დროთა, როგორც რთული მასალა, ბ-ნს გოგებაშვილს გადატანილი აქვს „ბუნების კარში“, რომლის მსგავსს „ДѢТСКИЙ МІРЪ“-ში ვერ იპოვიოთ. ამ უკანასკნელში და „ბუნების კარშიაც“ ზოგიერთი განყოფილება თითქოს ერთი და იგივეაო, მაგალითად, სხვათა შორის სამშობლოს აწერილობა და ისტორია მეტ-ნაკლებლობით ორსავე წიგნშია მოთავსებული, რაც ზოგიერთს ჩვენებურს პედაგოგებს ზედ-მეტ ბარგად მიაჩნიათ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დასაწყისს ეროვნულს სკოლაში სახმარებელ სახელმძღვანელო წიგნში ეს განყოფილებანი აუცილებელს საჭიროებას შეადგენენ, არა მარტო ჩვენში, უცხოეთშიაც, რუსეთშიაც. კარგად ვიცნობთ ევროპის დასაწყისს სკოლების დედა-ენის სახელმძღვანელოებს და იქაც ამ აზრს ვხედავთ გატარებულს.

ჩვენ წინ გვაქვს, სხვათა შორის, ფრანგული სახელმძღვანელო წიგნი „Livre de lecture“ ლოზანში დაბეჭდილი 1902 წელს, რომლის შინაარსი ძლიერ წააგავს „ბუნების კარს“, მაგრამ ეს იმას ამტკიცებს, რომ ბ-ნი გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნები არ არის ჩამორჩენილი და ისე დაძველებული, როგორც თქვენ მიაჩნიათ ბატონო, პედაგოგო.

უშინსკი თვითონ აღიარებდა, რომ იგი ძლიერ ჰბაძავდა გერმანელ პედაგოგებს და განსაკუთრებით შვეიცარიელ პედაგოგს შერრს, რომლის მეთოდი მას ძლიერ მოსწონდა. ბ-ნს გოგებაშვილსაც რომ რამე მიმბაძველობა ეტყობოდეს ეს სასირცხო არ იქნებოდა, საქმე ის არის რომელიმე დიდებული პედაგოგის აზრს როგორ ახორციელებს სახელმძღვანელო



წიგნში მისი შემდგენელი, როგორ ეროვნული ნიადაგი აქვს საფუძვლად ამა თუ იმ სახელმძღვანელოს. ამაში უშინსკის ძლიერ უჭირდა საქმე, როცა რუსულს მწერლობაში შესაფერის მასალას ვერ პოულობდა, იგი იძულებული იყო უვარგისი ლექსებიც კი ეთარგმნა გერმანულიდან. ჩვენმა პედაგოგმა ბ-ნმა ი. გოგებაშვილმა სასახლოდ ააგო „დედა-ენა“ ეროვნულს ნიადაგზე, ბ-ნი გოგებაშვილის „დედა-ენა“ ამ მხრით თან და თან გაუმჯობესობაშია და ყოველის მხრით სრულიად დაშორებული უშინსკის Родное Слово-ს. პირიქით „დედა-ენა“-ს ქართული ორგინალური პედაგოგიის ნიჭის ბეჭედი აზის და ვისაც ეროვნული თავმოყვარეობა აქვს, ამ ნიჭს ფრთხილად უნდა მოეპყრას და არ გაჰქელოს სილოვანისებურად.

ამ სახით, მგონია, ცხადია ბატონო ჩემო, რომ გოგებაშვილისა და უშინსკის წიგნებშიაც ყოფილა განსხვავება, როგორც სისტემაში, ისე შინაარსში და შეხედულობაშიაც. უშინსკი არ იყო კმაყოფილი თავის სახელმძღვანელოებისა, მას უნდოდა შეეცვლა, მაგრამ ვერ მოესწრო, დარჩა მხოლოდ გეგმა თუ როგორ აპირებდა იგი ამ ცვლილების მოხდენას სახელმძღვანელო წიგნებში. ბ-ნი გოგებაშვილი კი ანგარიშს უწევდა რუსების ღიღებულ პედაგოგის აზრსაც, თავის შეხედულობის დავარად ზოგში ეთანხმებოდა მას, ზოგში კი არა, მაგრამ თავისებურობა მაინც შეუნარჩუნა ბ-ნმა გოგებაშვილმა თავისს სახელმძღვანელოებს და თან და თან გააუმჯობესა და გაავითარა, როგორც „დედა-ენა“, აგრეთვე „ბუნების კარიც“. მაგრამ ამ გაუმჯობესობებსაშიაც ბევრს თქვენი ჯურის პედაგოგს, ბატონო „პედაგოგო“, ამ სა-

ხელმძღვანელოს ღირსება მაინც უნდა მიაჩნდა და უძლეურად იღრინებოდა კრიტიკის ფინიასავით. რა ვქნათ—ეს საზოგადო თავისებაა ისეთის ადამიანისა, ვისაც თავისთავად არაფრის გაკეთება შეუძლია და ძალღონეს იმაში ავარჯიშებს, რომ დაძრახოს დაჰკმოს უღირსად ისეთი მოღვაწე ადამიანი, რომელსაც ბევრი რამ კარგი გაუკეთებია ქვეყნის სასარგებლოდ.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, ბატონო პედაგოგო, რომ თქვენ ბ-ნი გოგებაშვილის დამცველს მიწოდებთ და ფილაც „რისხვას“ მადარებთ, რომელსაც სრულიად ვერ იცნობს თქვენი უმორჩილესი მონა. პირადათ ბ-ნს გოგებაშვილს არავინ დამცველი არ სჭირდება, ხოლო თუ თქვენსავით ვინმემ უძსგავსი რამ წარმოსთქვა იმ საგანზე, რომელსაც მე მასწავლებელი და თქვენ „პედაგოგი“ ვემსახურებით, მაშინ ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია სიმართლეს გამოვექომაგოთ, დარაჯად დაფუდგეთ, რომ ჩვენში ამდენს ყალბ პედაგოგიურს შეხედულობას კიდევ არ მივმატოს. ვიტყვი იმასაც, რომ არც ბ-ნს გოგებაშვილს ჩათვლება მომაკვდინებელ ცოდვად თავისი სახელმძღვანელოების დაცვა შინაური თუ გარეული მტრისაგან. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები გოგებაშვილისავე აზრია, დაცვა თავისის აზრისა გასაკიცხი არ გახლავთ.

ეხლა ეს ვიკმაროთ, დანარჩენს თქვენს აზრებს ამ ჟამად არ შევეხებით და თუ გნებავთ შემდეგ მოგახსენებთ. იმედი მაქვს „განათლების“ რედაქცია თქვენს შენიშვნას: „არ მეგონა თუ ჟურნალი „განათლება“ იმგვარ სასაცილოსა და რიგიანი ჟურნალისათვის სათაკილო რასმე დაბეჭდავდაო“, ქათინაურად არ მიიღებს და



ადგილს დაუთმობს ჟურნალში ჩემს წერილს. პირიქით სასაცილოთ ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ გაზეთი „კოლხიდა“ ბექდავს თქვენს ახირებულს წერილებს. მაგრამ გასაკვირველი არც აქ არის რა. „კოლხიდის“ ბაირახტარი ტკბილ პირწყლიანობით ცნობილი თქვენი მეგობარი ბ-ნი სილოვანი ხომ გეთანხმებათ ამ

ახირებაში და რატომ არ დაბეჭდვენ თქვენს წერილებს, ოღონდ უსაბუთოდ და ცილის წამებით ლანძღვთ, დაჰკმეთ ჩვენი ქვეყნის მოკეთენი და ამაში სილოვანიც მაღალს ბანს მოგცემსთ, რადგან მას „საკმლად მიუჩანს თვისი სიმყარლის სუნება“.

მასწავლებელი.

უცხოეთი

ახალი პროგრამა ბელგიის დასაწყისს სკოლებში

1909 წელს ბელგიის დასაწყისს სკოლებში შემოიღეს ახალი პროგრამა. ეს პროგრამა მეტად საყურადღებოა და ჩვენც უზიარებთ მკითხველებს რამდენსამე აზრს ამის შესახებ.

პროგრამაში თავდაპირველად განხილულია საკითხი მოქალაქობრივს და მორალურ აღზრდის შესახებ. იქ ნათქვამია—მასწავლებლის მუდმივ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს ბავშვის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვებს გა ცნონ, შეაყვარონ და აასრულებინონ ზნეობრივი მოვალეობანი. ბავშვებს ჩააგონებენ ეროვნულ დაწესებულებათა პატივისცემას. მასწავლებელი ამ საგანს შესწირავს მთელს თავისს არსებას და გაუადვილებს მოწაფეებს, რომ მათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. მან უნდა ჩააგონოს მოწაფეებს მოვალეობის გრძობა ერთმანეთში, მშობლებთან, ძვირფას სამშობლოსთან და მთელს კაცობრიობასთან. მოწა-

ფეები რომ კარგი მოქალაქეები გამოვიდნენ, მასწავლებელმა იმათ გრძობაზედ უნდა იმოქმედოს, სამშობლო ქვეყნის სიმშვენიერეზე და გამოჩენილ მოქალაქეთა ღვაწლზე საუბრებით და მოთხრობებით. მოწაფეს უნდა აღუძრან სამშობლოსადმი სიყვარული. აქვე ადგილი აქვს სასკოლო სიმღერებს, განსაკუთრებით ეროვნულს სიმღერებს და ნაციონალურ ნაშთების პატივისცემას. მასწავლებელმა უნდა განუფითაროს მოწაფეებს ეროვნული დროშის კულტი. მასწავლებელმა უნდა დაამყაროს მორალური დისციპლინა; გამოიწვიოს მოწაფეებში პატივისცემა და სიყვარული. მასწავლებელმა, როგორც მამამ ოჯახში, უნდა დაამყაროს სკოლაში სიმარტივე და სიკეთე. იგი სარგებლობს დასვენების დროს, თამაშობას, გასეირნებას და სხვას, იმ მიზნით, რომ განამტკიცოს მოწაფეებში კარგი დასაწყისი და მოსპოს ცუდი. ყველა გაკვეთილს ზნეობრივ დიდაქტიური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

აღზრდის დროს მასწავლებელი უნდა სარგებლობდეს პიროვნულ მაგალითებს, მოწაფეთა მაგალითებს, ცხოვრების აღწერილობებს, ისტორიულ მოთხრობებს და აგრეთვე ყურადღებას უნდა აქცევდეს პოეზიასაც, რადგანაც მას შეუძლია ბუნება შეაყვაროს ბავშვს, გაასპეტაკოს ზნეობრივი გრძნობა და განამტკიცოს მამულის სიყვარული.

სკოლიდან განდევნილი უნდა იქმნეს საზნეობრივო ფილოსოფიური, სამეცნიერო მსჯელობა. სკოლის უმთავრესი ტენდენციაა—შეაჩვიონ ბავშვები მოვალეობის შესრულებას. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოწაფეებს გარეგანი ელვარება, შემსუბუქოს კადნიერება, მოსპოს ერთმანეთში მეტი ვულგარიზმი თავისი ტლანქი ზნეობითა და ჩვეულებით.

ესტეტიური აღზრდის შესახებ პროგრამა ამბობს: ესტეტიური აღზრდა მოწაფეებისა სიმშვენიერის გრძნობის განვითარებაშია, ხატვის, გალობა-სიმღერის, კითხვის და გიმნასტიკის ვარჯიშობაში.

ხელოვნება ტექნიკისა და ისტორიის მხრით სწავლების საგანს არ შეადგენს სკოლებში. სიმშვენიერე ისეა განხილული, როგორც ერთი რამ, რაც თავს იჩენს ოჯახში, სკოლაში, სახელმწიფოში. კარგი გემოვნება ვითარდება მშვენიერ ნივთებთან დაახლოვებით. ამიტომ ყველაფერი, რაც ბავშვს გარშემო არტყია, უნდა ხელს უწყობდეს მშვენიერი გემოვნების განვითარებას. მოწაფეებს თვალწინ უნდა ქონდესთ ხელოვნების ნაწარმოებ-

ნი, უნდა კითხულობდნენ კარგს წიგნებს, უნდა იმღერონ როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც წუნ დაუდებელი სიმღერები. უნდა განიდევნოს ყველაფერი მქისე, რაც აღელვებს ესტეტიურ გრძნობას. ესტეტიური გრძნობის გასავითარებლად შეიძლება მიჰმართონ შემდეგს საშუალებას: მორთონ საკლასო ოთახი და გიმნასტიური დარბაზი ქანდაკებით, სურათებით, შესაფერისი წარწერით, მცენარეულობით, იხმარონ ფერადი წიგნები და რვეულები, ფერადი ღია წერილების და სურათების კოლექციის შეკრებით, ხატვის, სიმღერა-გალობის და პოეზიის შესწავლით, სკოლის ბიბლიოთეკაც ამის მიხედვით უნდა შეადგინონ. ბუნების ჩეტყველების, სამშობლო ისტორიის, გეოგრაფიის და სხვა საგნების შესწავლაც ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის ესტეტიური გრძნობის განვითარებას. სასკოლო დღესასწაულები და აქტებიც აქ თავისს როლს ასრულებენ. ბოლოს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ხატვის სწავლებას, რაც ითვლება ერთ უმთავრეს საგნად დასაწყისს სკოლებში, რადგანაც იგი ხელს უწყობს სხვა საგნების შესწავლასაც. „მასწავლებლობაც არ შეუძლია იმას, ვინც ცუდათ ხატავს“. ბევრს დროს უთმობს პროგრამა აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშობასაც. საყურადღებოა ისიც, რომ ეს პროგრამა განზრახულზე უფრო მეტად ხორციელდება ბელგიის სკოლებში.

Ratti.



ბიბლიოგრაფიები

Я. Гогобашвили. Методическое руководство для учителей къ преподаванію русскаго языка по учебнику тогоже автора „Русское Слово“, изданіе третье. Тифлисъ 1912 г. ц. съ переп. 40 к.

რუსული ენის სწავლებას რომ მეტად უხეიროდ არის დაეხებულები ჩვენებურს სკოლებში, ამასში ეჭვი არავის უნდა ქჷმნდეს. ერთი ამის მიზეზთაგანია ის ვაღბი შეხედულობა, რაც ბევრს მასწავლებელს აქვს უხეირო ენის სწავლების შესახებ და რასაც ჩსხიხინებურ მათ მათი უფროსები. ზოგიერთები უხეიროს და დედა-ენის სწავლების წესებს შორის არავითარს განსხვავებას ქჷმდგენ, არიან ჩვენს კურსულს ქვეყანაში ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ უფლებგვარი სახელმძღვანელო და იმას კი არ დაგვიკენ, თუ რა ნაყოფი მოქვეყნა შეუფერებელის წესით ისედაც უხეირო სახელმძღვანელოს ხმარებას. მთელი დიტერატურა არსებობს უხეირო ენის სწავლებისა, მაგრამ ჩვენებურს მასწავლებლებში თითო-ორჯალსაც კი ვერ იშვით, რომ განზომილი იყვნენ ამ მწერლობასთან, ზირიქით ბევრი მასწავლებელია. რომელიც რუსულს სვეს სკოლაში ბ-ნი ი. გოგებაშვილის „Русское Слово“-ში სწავლის, მაგრამ იშვითად იშვით იმაში ისეთებს, რომელიც წაკითხის ამ წიგნის ავტორის მიერ მეთოდური სახელმძღვანელო. უამისოდ კი წესიერად ხმარება სახელმძღვანელო წიგნისა ეგვლას არ შეუძლია.

ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი თავის „მეთოდურს სახელმძღვანელოში“ ბევრს საკითხს აჩვენებს. უმთავრესი საკითხია რუსული ენის

წესიერად სწავლებას ჩვენს სკოლებში. ავტორი ეხება საზოგადოთ დედა-ენისა და უხეირო ენის სწავლებას, როგორ უნდა მიახვიონ ბავშვები უხეირო ენაზედ ლაზარაკს, არჩვენს რუსულს ანბანს, ადარებს რუსულ შედგენების მიერ არა რუსთა სკოლებისთვის შედგენილს ანბანს «Русское Слово“-ს ანბანთან, რჩვენს იძლევა თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს რუსული ანბანი. ჩვენი შედგენილი მოძიერეს კითხვასწავლის და არა წერა-კითხვის სწავლებისა, წინააღმდეგ დისტურგების, უმანსისა, მირაზობისა და სხვათა. მას თავისი საკუთარი მოსაზრება აქვს ამ საგანზე დამყარებული, როგორც მეცნიერთა აზრზე, აგრეთვე გამომცემლობაზედაც. ზირადათ ჩვენ უფრო წერა-კითხვის მოძიერ ვართ, ვიდრე კითხვასწავლისა, მაგრამ არსებობს დიდი განსხვავება არსებობს ამ ორს სისტემის შორის, რადგანაც ორივე ერთსა და იმავე დროს სრულდება ერთმანეთთან დაკავშირებულია; წერა, რომლის დროსაც ბავშვის თვითმოქმედება უფრო დიდულია, უადვილესია ჩვენის აზრით, ვიდრე კითხვა, რომლის დროსაც ბავშვს ბევრი სიძნელე ედობება წინ: ასეთი გამომცემობა, მისი სახელი, გამომცემობა, გადაბმა და სხ. ბ-ნი ი. გოგებაშვილი განმარტავს აგრეთვე წერის სწავლებასაც, უჩვენებს მასწავლებლებს, სხვათა შორის, ჰიგოიური ზირობების დაცვასაც; „მეთოდური სახელმძღვანელოში“ ცხადათ არის გარკვეული თავსაჩინო გაკვეთილების დაცვასა საუბრების მნიშვნელობა რუსულ ლაზარაკში საფარჯიშოთ; აქ ავტორი ეხება სხვა და სხვა შედგენილი შეხედულობას ამ საკითხში და შესაფერისს მსჯავრს სდებს მათ. მეტად საკულისხმობა ბ-ნი გოგებაშვილის მოსა-

ზრება რუსულ საკითხავ წიგნის მასალის შე-
სახებ. ავტორი, სხვათა შორის, ამბობს:
„როცა რუსულად გამოქვეყნით იმას, რითაც
ცოცხლობს არა რუსთა ბავშვი, რასაც ის შეჭ-
ურებს ყოველს ფეხის გადადგმაზედ, რასაც
აგი შესისხლხორცებთ, რაც მას აინტერესებს,
რაც მას უყვარს და რაც, ერთის სიტყვით,
მისთვის მშობლიურია და ამიტომაც ძვირფა-
ნი, მშინ მისი ცხოველი სიმშატია შინაარ-
სიდან ენისკენ გადაგაქვთ და უცხო ენაც ამ
შემთხვევაში იძენს დედა-ენის სიმშებნიერეს
(მეთოდია გვ. 52.) ვერც ერთი სადი აზ-
რის მიმდევარი შედაგოვი ამის სწინააღმდე-
გოს ვერ იტყვის რასმე, თუ არა ზოლიტი-
კანი და ყოველი ტეშმარიტი აზრის უარყოფ-
ელი.“

რუსული ენის სწავლება ჩვენს სკოლებში
ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის აზრით დამყარე-
ბული უნდა იქმნეს ორს ძირითადს მტკიცე
საფუძველზე: თვალსაჩინობაზე და დედა-ენის
დახმარებაზე.

წიგნის ბოლოში ავტორს მოყვანილი აქვს
ქართულ-რუსულ ენების გრამატიკის შედარე-
ბა. ეს ნაწილიც ფრიად საეუროდღებოა და
სასარგებლო მასწავლებლებისათვის.

საზოგადოთ ჩვენი ზატყვიმული მსცოვა-
ნი შედაგოვის ბ-ნის იაკობ გოგებაშვილის
„მეთოდური სახელმძღვანელო“ ჩვენებურ
სკოლების ყველა მასწავლებლისათვის ფრიად
საჭირო და სავალდებულო წიგნს წარმოად-
გენს. მასწავლებლები ვალდებულნი უნდა იყუ-
ნენ კარგად გაიციონ და შეისწავლონ ჩვენი
შედაგოვის წმინდა შედაგოგური აზრები, რომ
მთ უფრო ნაყოფიერად და წესიერად აწარ-
მოონ სწავლების საქმე. დარწმუნებული ვართ
ამ „მეთოდური სახელმძღვანელოს“ შინაარ-
სის კარგად შეგნებით ჩვენებური მასწავლებ-
ლები ბევრს საგულისხმიერო აზრს შეითვი-
სებენ, უფრო სადის თვალთ დაუკვირდებიან
საკანს და რუსული ენის სწავლებასაც შედა-

გოგოურს ნიადაგზე დაამყარებენ და მასწავლებ-
თაც იხსნიან იმ ტანჯვისაგან, რასაც დღეს
განიცდებიან უხერხულად სწავლების წყალობით.

Библиотека И. Горбунова-Шосадова.
Томъ-Титъ. Научныя Забавы. Фи-
зика въ опытахъ, фокусахъ и заба-
вахъ, пер. съ французскаго, с мно-
жествомъ рисунковъ, цѣна 65 коп.
Москва 1912 г.

ბავშვების მეცნიერულად გაერთობა ერთ საუ-
კეთესო საშუალებად ითვლება აღზრდაში. ბავ-
შვი იმ დროს ეხვევა დაკვირვებას, თვითმო-
ქმედებას და ბუნების ძალთა შესწავლას,
კვლევა-ძიებას ხალისით, სრულიად ძალდაუ-
ტანებლად.

ხსენებულს წიგნში 150-მდის სხვა და
სხვა ცდა არის მოყვანილი, ყველა დასურა-
თებულია; ყველა ამ ცდას ადვილად შესარუ-
ლებს ბავშვი სრულიად ადვილი საშუალებით.
ავიღოთ მაგალითად შირველი უბრალო ცდა,
რომლიდანაც ბავშვი მიხვდება, რომ ფოლადი
სზილენძზე მაგარია. სზილენძის ფულში წვრი-
ლი ნემსის გაერა ერთის შეხედვით შეუძლე-
ბელია, მაგრამ ეს არა ძნელი საქმე. საჭი-
როა ჰრობაკში გაატაროთ ნემსი ისე, რომ
მეორე მხარეს წვერი გამოჩნდეს, ურწო მოს-
ტყნეთ მეორე მხარეზე, ორს ფიცარზე
დასდეთ სზილენძის ფული, ზემოდან დადეთ
ჰრობაკა და მაგრა დაჭკარიო ჩაქეზი, ნემსი
ვერ მოიხრება, რადგან ჰრობაკა. იჭერს და
გასჭრის სზილენძის ფულს. ასეთი უბრალო
მაგალითებით და სურათებით არის სავსე ეს
წიგნი, რომელიც ღირსია მშობლების და ზა-
ტანა ბავშვების აღზრდელთა უურადღებისა.

ლევ ტოლსტოი, „ბავშვობა და სიერმე“. მითხრობები „ნაკადულის“ სახეობრი. თარგმა-
ნი ნინო ნაკაშიძისა.
ამ მშენიერს წიგნს, წინ უძღვის ლევ



ტელსტის ბიოგრაფია, დაწერილი ილია ნაკაშიძის მიერ. უველა დიდებული ადამიანის ბავშვობის დროს მოგონებს და აწერილობას დიდი გავლენა აქვს მზარდ თაობის ზნეობრივად აღზრდაზე. ასეთი დიდებული ტელსტის „ბავშვობა და სიურმეც“, რაც უფრო დიდს შთაბეჭდილებას ახდენს რუსის ბავშვობაზე. არც ჩვენი ღარიბი საყმაწვილო მწერლობისათვის არის ზედ-მეტე ეს წიგნი. სასურველია, რომ ჩვენმა ბავშვებმა ჯერ მშობლიურ ენაზე გაიგონ დიდებული ადამიანების ცხოვრება. ამ მხრივ საიმედოებით აღვნიშნავთ ამ წიგნის თარგმნას ქართულად, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ წიგნი აჩქარებულად გამოუყნათ და შიგა და შიგ ენის მხრივ შეცდომები შეზარავთ, რაც საყმაწვილო წიგნში შეტად უხერხულია.

Изъ моего дѣтства. Воспоминанія А. Б. Чертковой. Подъ редакціей И. Горбунова-Посадова цѣна 90 коп.

დედ ტელსტის „ბავშვობის და სიურმის“ მოახრობებთან შეკვიდილან თამაშად ამოუყენებდ გვერდში ა. გ. ჩერტკოვის „ბავშვობის მოგონებანი“. აქ მკითხველი დაინახავს ბავშვის გულწრფელობას, ბავშვის სულის ვითარების სიმართლით მხატვრულად გამოთქმას. ამ წიგნში ბევრი მასალა ფრად საყურადღებოა მშობელთა, პედაგოგების და ფსიხოლოგებისათვის, ბევრიც კარგ მასალას წარმოადგენს ბავშვებისათვის სკაითხვად. როგორც გამოცემულის წინასიტყვაობიდან სჩანს, ეს „მოგონებანი“ წაუკითხავს თვითონ დედა ნიკოლოზის ძეს ტელსტის და ძლიერ მოსწონებია. საზოგადოთ ბავშვობის მოგონებანი ძვირფასი განძია ბავშვის ფსიხოლოგიის შესასწავლად. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს

მწერლებსაც მიეძახათ რუსთა ცნობილი ლებისათვის და დაწერათ თავიანთი ყმაწვილობის დროის მოგონებანი.

Врачъ В. В. Рахмановъ. О томъ, какъ надо жить, чтобы быть здоровымъ. Изданіе „Посредника“ ч. 35 к. Второе Изданіе.

ექიმის რჩებანთვის წიგნი საუკეთესო ზოგადი წიგნის ჭიგეინის შესახებ რუსულ ენაზე. ამ წიგნში იზოგით მდაბიურად გადმოცემულს სუბრებს ავადმყოფის გაჩენის მიზეზებზე, ჭიგზე, ბინაზე, ტანისამოსზე, სასმელ-საჭმელზე, მუშაობაზე, მოსვენებაზე და სხ. წიგნი შექმულია მრავალი სურათით, არის შიგ ფერადი სურათიც, მავალითად სისხლის ტრიალი ადამიანის სხეულში. ეს წიგნი სავსეა ცოდნას აქვს მკითხველებს ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჭიგეინიდან. საყურადღებოა ექიმის აზრი ჩვენს დროში მწვავე სკაითხის სქესობრივი მოახრობების და ბავშვების აღზრდის შესახებ. საზოგადოთ ეს წიგნი სასარგებლოა ყველასთვის, მომეტებულად სოფლის მასწავლებლებისათვის, რომელთაც შეუძლიათ ამ წიგნის სარგებლობა სკოლის მოწაფეების და მათის მშობლებისათვის ჭიგეინური დარბების მისაცემად.

О. В. Полетаева. Три года преподаванія естествознанія и географіи. Москва 1911 г. ц. 1.30.

ქ-ბ. ზოგადი წიგნის შემთ მოხსენიებული წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს, სხვათა მხრის, რომ სწავლების დროს უმთავრესად ბავშვთა სამი ინსტიქტის დაკმაყოფილება სდამუბია; ეს ინსტიქტები შემდეგია: ინსტიქტი ღაზმარჯის ანუ ურთიერთ შორის დაშო-

კიდებულებისა, ინსტიქტი გამოგვეფვის და დაგვირგუბისა და ინსტიქტი შექმნისა და აშუ-
 ნებისა. მართლაც ეს საბივე ინსტიქტი ფო-
 ველს ბავშვს აქვს ბუნებით მინიჭებული,
 შეიძლება ზოგს მეტად ზოგს ნაკლებათ და
 აღზრდის მოვალეობას ეს მინიჭებული ინს-
 ტიქტები განუვითაროს და გააფართოვოს,
 რომ ბავშვს შეგნებით შეეძლოს მთელი ბუ-
 ნების დაგვირგუბა, შეთვისება და შემდეგ შექმ-
 ნა და აშენება ამ თუ იმ საგნისა. ამას ჩვე-
 ნი სახელმწიფო სკოლა ძალიან მცირედ ახერ-
 ხებს, თითქმის სულაც ვერ ახერხებს. ამ აზ-
 რის სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა უფრო
 თავისუფალი სკოლა სხვა და სხვა ცირკულია-
 რებითა და წრე შემოვლებული პროგრამებით
 შეუზღვევლი.

ამნიანი სკოლები ზირველათ ამერიკაში გაიხს-
 ნა; ზირველად იქ მივიდნენ იმ დასკვნამდის,
 რომ ზემოთ ნათქვამს ინსტიქტების გასავი-
 თარებლათ საჭიროა არა მარტო ტვიინის ვარ-
 ჟიშობა, არამედ უფრო საჭიროა ვარჯიშო-
 ბა ფიზიკური, ხელებით რისამე გონივრულის
 კეთება, რომ შესწავლა-შეთვისებაში, გარდა
 ტვიინის მუშაობისა, მთელმა სხეულმა და გან-
 საკუთრებით კი გუნთებმაც მიიღონ მონაწი-
 ლეობა. და ეს სკოლები ცდილობენ კიდევ
 ამ პრინციპის გატარებას და მშვენიერს შე-
 დგესაც იძლევიან. ამ ნიარ სკოლას რუსეთში
 ზირტბები ხელს არ უწყობს, არც სწავით,
 ვისაც ჯერ არს, მათი აუცილებელი საჭიროე-
 ბა და სახელმწიფო სკოლებთან შედარებით
 უმჯობესობა. სწორეთ ამიტომ მეტის-მეტი
 ტანჯვა და ხათბადა გადახდა ქ-ბ. პოლეტა-

ევისსა, სხნამ მას ნებას მისცემდნენ ამ სხნას
 სისტემით წაეყვანა სადმე სკოლაში გულგოს-
 თვისა და ბუნების მეტყველების სწავლა. ბო-
 ლოს ეს ერთს გამოერციულს სასწავლებელში
 მოახერხა და აი ზემოხსენებული წიგნი შედე-
 გას მისი იქ სამი წლის მუშაობისა.

ეოველს ექვს კარეშე წარმოედგება ამ
 წიგნის მკითხველს ის კარემება, რომ ამ
 ნიარის მეთოდით სწავლება ბუნების მეტყვე-
 ლებისა, როგორსაც ქ-ბ. პოლეტაევისა მის-
 დეგს, უფრო ნუოფიერი, გონივრული და
 ჩქარია, ვიდრე ჩვენი სკოლებში არსებული
 მეთოდით, და ამიტომ არც გასავიარველია,
 თუ შედეგი ამ სწავლისა მეტის-მეტად კარ-
 გაა. წიგნში მრავალი სურათია ბავშვების ნა-
 ხატი, ნაკეთებ-ნამოქმედარსა და ეოველს
 მათგანს აშკარათ ეტყობა, რომ ამ ნახატების
 ავტორებს ძალიან კარგათ და სამუდამოთა
 აქვსთ შეთვისებული ეველს ის. რაც კი მათ-
 თვის უსწავლებით და უკეთებინებიათ.

ვიმეორებთ, ამ წიგნის დასეჭვავ მეტის-
 მეტს უურადლებას და ინტერესს უნდა წარ-
 მოადგენდეს არა მარტო სპეციალისტებისათ-
 ვის, არამედ ეველს მკითხველისათვისაც კი.
 წიგნი მშვენივრდაა გამოცემული და შედარე-
 ბით იავათაცა დირს.

ა. ა—ლი.

რედაქტორ-გამომცემელი
 ლ. გ. ბოცვაძე.



მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.

„კოლხიდა“

(წელიწადი მეორე)

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელმოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით 4 აბაზი.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მან. პირველ მარსს 2 მან. პირველ ენკენისთვის 2 მან.

თითო ნომერი ერთი შაური

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—ორი შაური, დანარჩენ შემთხვევებში ათი შაური. სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს, სტუდ. სათვისტომოებს, სოფლის მასწავ. და სკოლებს გაზეთი ნახევარ ფასად დაეთმობათ

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

Принимается подписке на 1911—12 годъ.

Педагогическія журналъ

„ОБНОВЛЕНІЕ ШКОЛЫ“

(первый годъ изданія.)

Для учителей и родителей.

Отдѣлъ экспериментальной педагогикѣи подъ редакціей пр. доцу. Нью-Йоркскаго Университета, д-ра философій и педагогикѣи П. Р. Радосавельевича.

Журналъ „Обновленіе Школы“ задается цѣлью разрабатывать вопресы воспитанія въ нашихъ дѣтяхъ дѣятельной творческой личности.

Въ связи съ этимъ журналъ стремится по мѣрѣ силъ и возможности выяснять задачи общаго образованія и способы индивидуализаціи обученія.

Программа:

1) Статьи, очерки, наброски, опыты по психології дѣтства и экспериментальной педагогикѣ. 2) Опыты, статьи, очерки, наброски по экспериментальной методикѣ обученія. 3) Статьи, очерки, наброски и опыты по гигиенѣ и физическому воспитанію дѣтей. 4) Очерки по народному образованію. 5) Критика и библиографія. 6) Педагогическая хроника. 7) Объявленія

Въ журналѣ принимаютъ участіе ученые русскіе и иностранные, психологи, педагоги, врачи-гигиенисты и художники

Кромѣ того, время отъ времени въ журналѣ „Обновленіе Школы“ будутъ помещаться труды „Передвижныхъ курсовъ обновляющейся школы“, организуемыхъ редакціей журнала для чтенія лекцій учителямъ, воспитателямъ и родителямъ (въ столицахъ и въ провинціи).

Журналъ выходитъ 10 книжками въ годъ

Адресъ редакцій и кон : Спб. Мойка, 54.

Подписная цѣна 2 рубля въ годъ.

Ред.-Изд. Александръ Зачиняевъ.

Открыта подписка на 1912 г.

ШКОЛА И ЖИЗНЬ

(второй годъ изданія)

Единствен. еженедѣльн. общественно-педагогическ. газета, съ ежемѣсячн. прилож.

Приложеній, по объему не менѣе 80-ти печатныхъ листовъ, будутъ освѣщать выдвигаемые текущей жизнью вопросы образованія и воспитанія. Въ числѣ приложеній находятся: „Эмиль XVIII вѣка“—Руссо, Проблемы дѣтскаго чтенія—Вольгаста, „Развитіе народа и развитіе личности—Наторпа—произведенія необходимыхъ каждому педагогу и каждой образованной семьѣ.

Газета издается по слѣдующей программѣ: 1) Руководящія статьи по вопросамъ: а) организациі школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ, характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризирующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія: дѣятельность законодательныхъ учреждений, правительства, мѣстнаго самоуправления и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и за границей. 7) Обзоръ спеціальной литературы и иностранной. 8) Справочный отдѣлъ 9) Объявленія.

Редакція газеты, стремясь къ возможно полному освѣщенію всѣхъ вопросовъ, касающихся воспитанія и образованія въ Россіи и за границей, пригласила къ участ. въ сотрудн проф. высшихъ учебныхъ заведеній, преподавателей средн. и низшей школы, земск. и город. дѣятелей, член. Г. Думы и Г. Совѣта и др.

Въ газетѣ принимаютъ участіе, въ числѣ прочихъ, слѣдующія лица:

Проф. М. М. Алексѣенко, Х. Д. Алчевская, акад. В. М. Бехтеревъ, проф. И. И. Боргманъ, И. П. Бѣлоконскій, проф. В. А. Вагнеръ, В. П. Вахтеровъ, акад. В. И. Вернадскій, В. А. Гердъ, проф. Н. А. Гредескулъ, проф. Д. Д. Гриммъ, проф. В. Я. Данилевскій, Я. И. Душечникъ, Е. А. Звягинцевъ, проф. П. Ф. Каптеревъ, проф. М. Я. Капустинъ, проф. Н. И. Карѣевъ, проф. М. М. Ковалевскій, акад. А. Ф. Кони, проф. Н. Н. Ланге, А. Л. Липовскій, проф. И. В. Лучицкій, прор. А. А. Мануйловъ, П. Н. Милуковъ, Н. Ф. Михайловъ, проф. А. П. Нечаевъ, акад. Д. Н. Овсяннико-Куликовскій, Ф. Ф. Ольденбургъ, А. Н. Острогорскій, А. В. Петрищевъ, И. И. Петрунkevичъ, А. С. Пругавинъ, Г. И. Россолимо, Н. А. Рубакинъ, М. А. Стаховичъ, І. В. Титовъ, Д. И. Тихомировъ, Н. В. Тулуновъ, проф. Г. В. Хлопкинъ, В. И. Чарнолуцскій, проф. Г. И. Челпановъ, Н. В. Чеховъ, П. М. Шестаковъ, Н. Д. Лубинецъ, графъ И. И. Толстой, А. А. Кизеветтеръ, А. И. Шингаревъ, акад. И. И. Янжулъ и другіе

Изъ иностранныхъ ученыхъ, между прочимъ, общали свое участіе въ газетѣ слѣдующія лица: проф. Ренэ Вормсъ, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Брюссонъ, де-Гревъ, Томасенъ и др.

Редакція газеты имѣетъ корреспондентовъ въ разныхъ городахъ имперіи и спеціальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтѣ и Г. Думѣ.

Подъ общей редакціей Г. А. Фальборка.

Подписка на годъ на 6 м. на 3 м.

Съ доставкой и пересылкой въ города имперіи 6 р. 3 р. 2 р.

Для учащихся въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка: при подпискѣ 2 р., къ 1 февраля къ 1 марта, къ 1 апр. и къ 1 мая—по одному рублю.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, Петербургъ, Кабинетская, № 18, тел. 547—34, во всѣхъ почтово-телеграфныхъ конторахъ Россіи и въ книжныхъ магазинахъ.

Объявленія принимаются въ Главной Конторѣ газеты. Цѣна объявленій за строку нонпарели на первой страницѣ 60 коп., позади текста—30 коп.

Издатели: Н. В. Млышковъ и Г. А. Фальборкъ.



Принимается подписка на 1911—12 годъ

(съ сентября 1911 по сентября 1912 г.)

(Годъ пятый)

НА ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ
(Органъ педагогической реформы)

„СВОБОДНОЕ ВОСПИТАНІЕ“

подъ редакціей И. Горбунова-Посадова,

для городскихъ и сельскихъ учителей и для родителей.

Цѣль журнала: разработка вопросовъ о такомъ воспитаніи и образованіи, которое основано на самостоятельности, на удовлетвореніи свободныхъ запросовъ дѣтей и юношества и на производительномъ трудѣ, какъ необходимой основѣ жизни.

Программъ журнала:

1) Статьи по вопросамъ умственного, нравственного и физическаго воспитанія, образованія и самообразованія; 2) изъ семейной, школьной и общественной жизни съ точки зрѣнія интересовъ воспитанія и образованія; 3) о материнствѣ и воспитаніи ребенка въ первые годы жизни; 4) по вопросамъ защиты дѣтей отъ жестокости и эксплуатаціи 5) о свободно-образовательныхъ начинаніяхъ для трудового населенія; 6) по ручному труду (земледѣльческому, ремесленному и т. д.); 7) по природовѣдѣнію, устройству экскурсій и т. д.; 8) по вопросамъ гигиены дѣтства и юношества; 9) „Изъ книги и жизни“: обзоръ журналовъ, книгъ и газетъ по вопросамъ воспитанія и образованія; 10) переписка между лицами, интересующимися вопросами реформы воспитанія и образованія; 11) вопросы и отвѣты читателей; 12) Библиографія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:

Е. М. Бѣмъ, И. А. Беневицкій д-ръ Г. М. Беркенгеймъ, П. И. Брижиковъ, д-ръ А. С. Бутевичъ, проф. Ю. Н. Вагнеръ, В. М. Величкина, К. Н. Вентцель, М. В. Веселовская, Ю. А. Веселовскій, А. М. Вихровъ, Е. Е. Горбунова, И. И. Горбунов-Посадовъ, А. А. Громбахъ, Н. Н. Гусевъ, А. Г. Дауге, д-ръ А. Дернова-Ярмоленко, Е. А. Дунаева, С. Н. Дурылинъ, Н. И. Живаго, А. У. Зеленко, А. С. Зюновъ, д-ръ Н. А. Кабаковъ, О. В. Кайданова, Е. А. Караваева, академ. Н. А. Касаткинъ, М. В. Кистяковская, Н. С. Киричко, А. Китаевъ, М. М. Клечковскій, А. Н. Коншинъ, П. В. Кротковъ, Н. Крунская С. А. Левицкій, В. И. Лукьянская, Ю. И. Менжинская, И. П. Накашидзе, Н. Оеттли, Сергій Орловскій, А. П. Печковскій, О. В. Полетаева, Е. И. Поповъ, С. А. Первухинъ, А. Б. Петрищевъ, В. В. Петровъ, С. А. Пырѣцкій, А. С. Пругавинъ, Ф. А. Рау, д-ръ В. В. Рахмановъ, Н. А. Рубакинъ, И. Е. Рѣпинъ, М. Х. Свентицкая, И. М. Соловьевъ, Е. К. Соломинъ, В. М. Сухова, Е. Я. Фортунатова, А-д-ръ А. Фортунатовъ, К. А. Фортунатовъ, А. М. Хирьяковъ, Г. Г. Черкезовъ, С. Г. Чефрановъ, Е. И. Чижовъ, С. Т. Шацкій, Л. К. Шлегоръ, д-ръ А. Шкарванъ и др.

Въ 1911—1912 г. въ „Свободномъ Воспитаніи“ появятся, между прочимъ: 1) рядъ статей. А. У. Зеленко, содержащихъ въ себѣ описаніе постановки и дѣятельности передовыхъ школъ Европы и Америки (по личнымъ наблюденіямъ), характеристики самыхъ выдающихся современныхъ европейскихъ и американскихъ педагоговъ-реформаторовъ и изложеніе проводимыхъ ими реформъ образованія и воспитанія; 2) рядъ статей (О. В. Кайданой и др.), описывающихъ школьную работу нѣкоторыхъ передовыхъ новыхъ школъ въ Россіи; 3) статьи (Н. Крунской, С. Дурылина и др.) по вопросу о свободѣ и дисциплинѣ въ воспитаніи, о школьномъ самоуправленіи и т. д.; 4) статьи, излагающія новые методы преподаванія родного языка, математики; естествознанія, рисованія и т.; 5) по вопросу объ обученіи отстающихъ и ненормальныхъ дѣтей; 6) по вопросу полового воспитанія, школьнаго алкоголизма и т. д.—Вообще же постоянною задачею журнала будетъ и общее освѣщеніе главныхъ вопросовъ образованія и воспитанія и снабженіе учителей и родителей практическими указаніями для ихъ работы съ дѣтьми.

Подписная цѣна: на 1 годъ съ пересылкой 3 р., на полгода—1 р. 50 к., за границу 3 р. 60 к. Для сельскихъ учителей 2 р., на полгода 1 р. Подписка принимается: Москва, Дѣвичье поле, Трубенкой пер., 8; редакция журнала «Свободное Воспитаніе».



„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „განათლება“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, წედაგოგები და ჰოყტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათი შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ისილორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება კალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ეოველგვარ ღონისძიებას სძარბობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

გამოვა 1912 წ. საშააწვილო შუხნალი


ნაკადული

(წელიწადი მერვე)

ხელას მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში.

კლდეინას ზრისნექტზე ზუბანაშვილის სსსში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში, თაგ. აზნ. ქარვასდა)

1912 წლის 1-ლ იანვრიდან 1913 წლის 1-ლ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერლებს მიეცემა: მოზრდილთათვის **12** წიგნი **3** მან. მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი **3** მან. ნახევარი წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად—**3** მან.



ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1912 годъ
на газету **ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ**

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія четвертый.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ: Въ Тифлисѣ Въ провинц.
На годъ 6 руб.—коп. 8 руб.—коп.
„ полгода. 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца 2 руб. — коп. 2 р. 25 к.
„ 1 мѣсяць. — 70 коп. — 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисѣ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“ Дворцовая ул., домъ Д. З. Сараджева.

Для телеграммъ: Тифлисѣ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ вн. Г. И. Палавандовъ.

Издатель Э. Д. Горделадзе.

1912 წლის 1 იანვრიდან გამოვა
ორშაბათობით დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

— თ ე მ ი —

(წელ. მეორე)

წლიურათ 2 მან. 50 კაპ. ნახევარო
წლით 1 მან. 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.
ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი:
Дворцовая, 6 д. насл.

Д. З. Сараджева.

რედაქტორ-გამომცემელი

გრ. დიხაშიძე.

О ПОДПИСКѢ въ 1912 году
на еженедѣльную иллюстрированную журналъ

ВОКРУГЪ

XXVIII **СВѢТА** XXVIII
годъ издаи. годъ издаи.

Въ 1912 году подписчики получаютъ:

50 №№ журнала путешествий и приключений „ВОКРУГЪ СВѢТА“, содержащаго цѣлый рядъ научно-популярныхъ отдѣловъ: географія, этнографія, естествознаніе, научныя открытія, техническія изобрѣтенія и т. д.

12 КНИГЪ собранія сочинений незабываемаго англійскаго юмориста **ДЖЕРОМА К. ДЖЕРОМА.** Англійскій юморъ — лучший юморъ въ мірѣ. Самое цѣнное у юмориста, это когда онъ рассказываетъ смѣльные вещи съ невозмутимо-серьезнымъ лицомъ. Таково именно свойство англійскаго юмора вообще и Джерома К. Джерома — его лучшаго представителя — въ частности.

6 великолепно иллюстрированныхъ сборниковъ новѣйшихъ романовъ, повѣстей и ра сказывъ путешествий и приключений **На Сушѣ и на Морѣ,** издающихся по образцу лучшихъ англійскихъ изданій этого рода. Ускористан печатъ въ 2 колонки. Увлекательный матеріалъ для чтенія.

6 КНИГЪ иллюстрированной научно-популярной библиотекы: научно-литературные рассказы нѣмецкаго популяризатора **Вильгельма Бельше.** „Первобытныи человекъ“. — „Тайны природы“. — „Гибель міра“. — „Сказки жизни“. — „Дни творенія“. — „Въ нѣдрахъ земли“. — „Тайна южнаго полюса“. — „Языкъ обезьянъ“. — „Сказки о драконахъ“ и т. д.

Наконецъ, съ доплатою 1 руб. подписчики получаютъ цѣнную премію:

12 ВЫПУСКОВЪ замѣчательно-интереснаго издаія совершенно новаго типа: **„ЧУДЕСА МІРА“.**

Описание всѣхъ чудесъ міра, созданныхъ природою и человѣческими руками во всѣхъ частяхъ свѣта и во всѣхъ странахъ. Текстъ принадлежитъ известнымъ путешественникамъ. Въ текстѣ множ. иллюстрацій.

ЦѢНА на журн. „Вокругъ Свѣта“ **НА ГОДЪ:** съ доставкой и пересылкой **12** книгами сочиненій Джерома К. Джерома, **6** сборниками „На сушѣ и на морѣ“ и **6** книгами „Научно-популярной библиотекы“. **То же съ преміей „ЧУДЕСА МІРА“.**

4 Р. Разрочка: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р. и къ 1 июля 1 р. **5** Р. Адресъ конторы ж. „Вокругъ Свѣта“: Москва, Тверская, домъ 48, Т-ва И. Д. Сытина. Изданіе Т-ва И. Д. Сытина.

О подпискѣ въ 1912 г. на еженедѣльный дѣтскій журналъ XI г. издаи.

МИРОКЪ

1 Р. 50 К.

Кромѣ 12 книгъ журнала, всѣ подписчики „Мирка“ получаютъ въ 1912 году бесплатно замѣчательно популяренъ и высококачественно иллюстрированную книгу: **ПРИКЛЮЧЕНІЯ ФИСТАШКИ** — знаменитой петрушки — маркизетты. **Сезонъ 9** № 1, подписка оканчивается 1 февраля 1912 г. **ПОЛУЧЕНІЕ СТѢННОЙ ОТРЫВНОЙ КАЛЕНДАРЬ** съ дѣтскими картинками, загадками и анекдотами. Подписка на журналъ „МИРОКЪ“ принимается въ конторѣ журн. „Вокругъ Свѣта“.